



# ისტორიული გეგვიდრაობა

«საქარ-  
თველო  
იყო  
გათი  
საოხნეო  
სახელი...»  
**37**

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. მარტი, №3 (55), ფასი 3 ლარი



## გიორგი ლომიძე – 115

„მისი ლექსი ისევე გუნებრივად იზა-  
დებოდა, როგორც ყვავილები იზადა-  
ბა ბარაჯის დალოცვილ მინაზე. ყვა-  
ვილები ჭკნებთან, მისი ლექსი კი ქარ-  
თული სულის მარადიული, უჭკნოვი  
ყვავილობაა...“

ლომიძე ლომის ბოკვერს ნიშნავს,  
გიორგი — გუთნისდედას, თითქმის  
პოეტის სახელდებაშიც დიდი სიმბო-  
ლური აზრი იყო ჩაქსოვილი განგებინს  
თუ არსთა განმრიგის მიერ. სიტყვას-  
თან ჭიდილში — ლომობა, კეთილი  
აზრის თესვაში — ბიბლიური გუთ-  
ნისდედობა.

...სანამ ქართველი იქნება ამ ქვეყა-  
ნაზე, გიორგი ლომიძეც იცოცხლებს,  
მის პოეზიასთან ზიარება ყოველ ქარ-  
თველს ორჯერ ქართველად აქცევს“  
(ვლადიმერ ალფინიძე). **33**

## სისლითა და არაადამიანური კალისხევის ფასად მოპოვებული გამარჯვება

თბილისში დიდ  
სამაგლო ოფი  
გამარჯვების  
70 წლისთავი  
აღნიშნეს



პატრიონის  
ღვთის-  
მუოხლის  
საკვირველ-  
მოქმედი  
ქართული  
ხატი **39**



როსტომ  
ნეკეთელი  
და  
ბორდოელი  
ვაჭრები

„ვისაც  
უღვაში  
სნამს, ის არც  
საუღვაშეს  
უღალატავსო!“ **21**



**\* დიდ საბრძოლო ომში საქართველოდან 700 ათასამდე  
მეომარი იბრძოდა, მათ შორის –**

**23 ათასი ოფიცერი, 46 გენერალი და ადგირალი.**

**\* 300 ათასამდე მეზრძოლი ვერ დაბრუნდა სამშობლოში.**

**\* საქართველოდან 16 ათასამდე ქალი იხაზდა  
სამშობლოს.**

**\* 224 700 ჯარისკაცს და ოფიცერი დაჯილდოვდა  
სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით.**

**\* 164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება**

# სარჩევი

მაგულიშვილი

- **ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან – სხელმწიფო გადატრიალება საქართველოში** 4
  
- მართალი ისტორია
- **სისხლითა და არაადამიანური კალისხევის ფასად მოკოვებული გაგარჯება** 9
  
- **ისინი სემოგლოსთვის იბრძოდნენ** 14
  
- **პარტიზანული ბილიკებით** 17
  
- **განათლება, მუხნიარება და კულტურა ოვის წლებში** 19
  
- **ნიკო ჯავახიშვილი: „ქართველი შინდღარი“** 26
  
- მუბლიშური ჩემო მიფაგ...
- **ოგარ ქეშელაშვილი: თუ აბრარულ მუხნიარებას ვერ გადავარჩენთ, ბედის ანაბარად დარჩება ჩვენი სოფალი** 28
  
- ქართული ხასიათი
- **აკაკი წარათელი: როსტომ წარათელი და ბორღოლი ვაჭრები** 30
  
- იუბილე
- **ბიორგი ლეონიქა – 115. უქანასქნელი უხევედრა ბიორგი ლეონიქასთან** 33
  
- XVIII საუბუნის მებრძოლი ქალები
- **„საქართველო იყო მათი სოხნეზო სხელი...“** 37
  
- რელიგია
- **პეტრიწონის ღვთისმუბლის საქვირველმოქმედი ქართული ხატი** 39
  
- სამარღო და სამაისო
- **ქუთაისის ბოტანიკური ბაღი** 42
  
- ეს საინტერესოა
- **როგორ დანიბადა საყოვლადმუინდო სადღაბრკალო ქართული ვაზის გამორჩეული ჯიუბები** 45
  
- სელთმნება
- **ზაქარია მუინურაქა – პროფანული ქარაბიქის ხელოვნების პიონარი** 49

გამომცემელი: არასამენარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)

0-892

# 31 მარტი — ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია (1939-1993) იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობების ლიდერი საქართველოში (1960-1990), დემოკრატიულად არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, თეოლოგი), მწერალი და მთარგმნელი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროში შედიოდა: ქართული მწერლობის ისტორია, იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის ისტორია, ქართული კულტურის ისტორია, ამერიკული პოეზიის ისტორია, რუსთველოლოგია, ანთროპოსოფია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია და ა.შ. ის იყო ავტორი 40 მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომისა (4 მონოგრაფიის) და 200-ზე მეტი პუბლიცისტური ნარკვევის.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტი 14 წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 28 მარტს ღამის 2 საათზე ოჯა-

ხის წევრები და ოფიციალური წარმომადგენლები დახვდნენ ზვიადის ნეშტს საქართველო-რუსეთის საზღვრის „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე და 50 ავტომანქანისაგან შემდგარი სამგლოვიარო კორტეჟის თანხლებით დილით თბილისში შემოაბრძანეს. მიუხედავად ღამისა და ცუდი ამინდისა, გზაზე კორტეჟს უამრავი ხალხი ხვდებოდა, მათ შორის ბავშვებიც, ხელში სანთლებით, შინდისფერი დროშებითა და ზვიადის სურათებით.

ზვიადის ნეშტი კოლხურ კოშკში დაასვენეს. სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა კოლხურ კოშკში და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

1 აპრილს, ბზობას, ზვიად გამსახურდიას ნეშტი დაიკრძალა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ათიათასობით საქართველოს მოქალაქემ კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს პირველი პრეზიდენტისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა.

## ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში

როცა სადღაც აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაციჭამიაობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების უხემ დარღვევას“ და დიქტატორის საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან. მაგრამ როცა საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება. იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას.



— მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია, განუდგნენ დემოკრაციას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ გააძლიერონ თავიანთი გალენა და სამ-

ხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი, თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბო-

ლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და ამკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

— ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო და-



**ლები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?**

— კაცობრიობის მტრებს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით): ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიიღტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ძოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუნოდებდი. მთავარ დამკვერელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმედან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვაკურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

**— რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?**

— ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქ-



**„ღინეზის მიმართულებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“**

ტატს, არ ვიქეციოთ მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტა-

ცია არ იწვევდა სწორედ საერთო-ევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში-მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ ნმიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დე-

**«მჯერა დადგება ღრმ, რომლისაჲს ქართველი ხალხი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ ჯონსტაპას თავის უდიდეს ეროვნულ გმირებად შერაცხავს».**  
**პეტრა ბრიგოკანკო,**  
**ვიიგანტული ჟურნალი «თავისუფლების ტრიბუნა»**



მორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი. ამ ზრახვათა განცხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი. დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაზს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.



ვის, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზედაც ვლახარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისათვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე; მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოველად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

**ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისაკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის?**

— პირველ რიგში, აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუზრეღ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათ-

— **რატომ ქმნიდით მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?**

— სწორედ, ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერი საგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა, ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისაგან. კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავი-

— **ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ**

**«მივაჩნია, რომ, როგორც ეროვნულ მოღვაწეს, ზვიად გამსახურდიანს დიდი ღამსახურება მიუძღვის თავისი ქვეყნის წინაშე. ის იყო, საქართველოს პირველი პრეზიდენტი და თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. მე მასთან ხშირად მქონია კამათი, მაგრამ უღვაწოა, რომ ზვიად გამსახურდია იყო დიდი საზოგადო მოღვაწე. სოლო, როგორც პოლიტიკოსი, იგი შევარდნაქაზე ნაქლაბი ნამდვილად არ არის, მისი პოლიტიკა გახსილავით უფრო წინააღმდეგობით იყო, როგორც მხიკა ერაზის, ისა ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ასე ვაფასებ მე ზვიად გამსახურდიანს... გამსახურდია ისტორიული პიროვნებაა და სამუდამოდ დარჩება ისტორიაში...»**

**იური ორლოვი,**  
**ჰელსინკის საერთაშორისო ფელაჩისის საპატიო თავმჯდომარე**

**«ზვიად გამსახურდია არის ტრაგიკული პიროვნება, იგი საქართველოში მოვიდა მისი ისტორიის, ალბათ ყველაზე ტრაგიკულ მომენტში და მოვიდა ოქროს საუკუნიდან, სადაც მას თაღობა და მოაზროვნის შესაფარისი ადგილი ეჭირა თამარ მეფის ბრწყინვალე სასახლის ფილოსოფიურ დისკუტაზე. მაგრამ იგი დაიბადა სისხლიან XX საუკუნეში, როცა შინაგანად აფეთქებული ღრმით ქვეყნიერი დაიკლვა. ქართველი ჰაელატი მოწოდებული იყო აღედგინა იგი, მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, როგორც მისი წინამორბედი დანიის პრინციპალი... ხალხის რჩეული, საქართველოს რჩეული ვაჟი იყო ემსახურა მისთვის, როგორც რაინდი, მაგრამ იგი არასდროს ყოფილა პოლიტიკოსი თანამედროვე გაგებით და პოლიტიკა მას ესმოდა როგორც დისკუტი ჭეშმარიტების დასადგენად. მისი მონივრულად გაკეთებული იყვნენ პროფესიონალი ჯალათები, მისი პრაქტიკანობის გზა ხნობილია - ეს არის გოლგოთისაკენ აღმავალი გზა! პრაქტიკანობის დინამიკი, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ, იქნა პრაქტიკანობა-მონაბედი. საერთოდ მასში იყო რაღაც ქრისტიანი მონაბედი და სხვა დროს რომ ესმოდა გახდებოდა ჩვენი მოღვაწე».**

**ნატალია ტალაჰანი,  
«სოცოტალია გაგაუბა» (მოსკოვი, 1999)**

სი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წყვეტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

**— რა ძალები აღუდგენ სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?**

— საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები მზად არიან ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება.

ისინი ისე განუყრელად შეზღუდვიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი ჰიბრიდები. სწორედ, ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია და საქართველოში სწორედ „მაფიოზური რევოლუცია“ მოხდა.

**— რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?**

— ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ხიდს

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე. საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაგან.

**— ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?**

— ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გა-


ლმიდან აქვს თავს მოხვეული.

ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის საფრთხით რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების; პირველ რიგში, რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულსაკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის აღზე.

**მე მნამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უპანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან.**

**„ნაროდნია კრავდა“**  
1992 წელი სანკტ-პეტერბურგი  
წყარო: [www.mamuli.net/sinatle](http://www.mamuli.net/sinatle)



### სიტყვები

\* ქართული ეროვნული ცნობიერება უნდა აღსდგეს ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებითა და პროპაგანდით, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაციით, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

\* დღეს „ნაციონალიზმი“ საძრახის სიტყვად აქციეს სოციალისტებმა, კომუნისტებმა, კოსმოპოლიტებმა, გადაგვარებულმა ეროვნულმა ნიჰილისტებმა. მსოფლიოში ნაციონალიზმს გამობენ ის ამორფული, უტრადიციო, დენაციონალიზებული კონგლომერატები, რომელთაც არ გააჩნიათ ისტორია, თვითმყოფადი კულტურა, რომელთაც სურთ, კაცობრიობა აქციონ ერთგვაროვან მასად, რომელსაც ამოძრავებს მარტოდენ მხეცური ინსტინქტები და მატერიალური ფასეულობებისადმი ინტერესი.

\* „ნაციონალიზმი“ და „ნაციზმი“ არ არის იდენ-

ტური ცნებები. ნაციონალიზმი ნაციის თვითმყოფადობის და განვითარებისთვის ზრუნვაა. იგი არ უარყოფს სხვა ერების სიყვარულს, მათთან თანამშრომლობასა და კეთილმეზობლობას. ნაციზმი კი შოვინიზმის უკიდურესი ფორმაა. ეს არის საკუთარი ნაციის ფეტიშიზაცია, სხვა ერებისადმი სიძულვილი, ერთი ერის სხვა ერებზე ბატონობისაკენ, მათი მოსპობისაკენ სწრაფვა.

\* ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა კი ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს. ის, ვინც „გაინგლისელდება“, „გაგერმანელდება“, „გაფრანგდება“, „გარუსდება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი ან ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს. და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც, ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიო მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაცია ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების წაშლა და გათქვეფა.

წყარო: „აირჩიე, ქართველო ერო“





# სისხლითა და არააღამიანური ქალისხმევის ფასად მოპოვებული გამარჯვება

## თბილისში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავი აღნიშნეს

11 მარტს სასტუმრო „ვერე-პალასში“ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გამართა. ღონისძიება არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობისა“ და „ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის“ (მოსკოვი) თაოსნობით ჩატარდა. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ შეაფასეს ისტორია, გაიხსენეს ომში მონაწილე ჯარისკაცების გმირობა და თავდადება და ისაუბრეს სტალინის დამსახურებაზე. მრგვალი მაგიდა ჩატარდა გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმის — „ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება“ — ფარგლებში და მას, ქართველ პოლიტოლოგებსა და ისტორიკოსებთან ერთად, ესწრებოდნენ რუსეთიდან საგანგებოდ მოწვეული სტუმრები: მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომლები. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ომის ვეტერანებიც, ადამიანები, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს მეორე მსოფლიო ომის საშინელება. როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, აუცილებელია, დაღუპული გმირების თავდადება ყოველთვის გვახსოვდეს, ვინაიდან დღეს ზოგიერთი ცდილობს, გააყალბოს ისტორია და ჩრდილი მიაყენოს ფაშიზმზე მიღწეულ უდიდეს გამარჯვებას. არადა, მეორე მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოებიდან საქართველომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო — ამ ომმა 300 ათასი ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

**ტარიელ ბაგნიძე**, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი:

— დღევანდელი ღონისძიება დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავს ეძღვნება. **გამარჯვება, რომელიც სისხლითა და არააღამიანური ქალისხმევის ფასად მოვიპოვეთ, დღეს ბევრს უნდა შევასხენოთ, ვინაიდან, სამწუხაროდ, ზოგიერთი ამ დიდ გამარჯვებას, კერძოდ კი, დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა როლს, ეჭვებუ აყენებს. უფრო მეტიც, ზო-**

**ბიართი თავისი კონიუნქტურულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად მიზანმიმართულად ცდილობს ისტორიის გაყალბებას.**

ამის მიუხედავად, დიდი სამამულო ომის ხსოვნა დავინწყებით არ იზინდება და მისი მონაწილეები, ადამიანები, რომლებიც ამ გამარჯვებას სჭედდნენ, დღეს აქ გვესწრებიან. მინდა, ჩემი პატივისცემა გამოვხატო და მათ მადლობა გადავუხადო, ქედი მოვიხარო მათი გმირობისა და მამაცობის წინაშე.

**ოქსანა სოლოჰოვა**, მიხეილ



ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სწავლული მდივანი, დოცენტი:

— მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ქართველ კოლეგებს, პირველ რიგში კი — ომის ვეტერანებს, ადამიანებს, რომლებმაც სრულიად ახალგაზრდებმა, ბედნიერებისთვის დაბადებულებმა, იარაღი აიღეს და ომში წავიდნენ. მათ თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს გამო საფრთხეში ჩააგდეს. მე ახლა მინდა, ვისაუბრო, არა როგორც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, არამედ, როგორც დედამ. მე ბიჭი მეზრდება, ის 15 წლისაა, კიდევ ცოტაც და იმ ასაკში იქნება, როდესაც თქვენ დიდ სამამულო ომში წახვედით და მე კარგად მესმის, რას განიცდიდნენ იმხანად თქვენი მშობლები.

ამიტომ, ჩემი, **ჩემი მშობლების, ჩემი შვილის სიცოცხლის გამო, მინდა მადლიერება გამოვხატო თქვენადმი. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ჩვენი გამარჯვებისთვის ბრძოლას განვაგრძობთ. ეს იყო დიდი გამარჯვება, რომლის ინტერპრეტაციაც საგმობლოსა და საკუთარი**



# «გაგაჩვენა, როგორც სისხლითა და არაადამიანური კალისებების ფასად მოვიპოვეთ, დღეს გავს უნდა შევასწავლოთ, ვინაიდან, სამწუხაროდ, ზოგიერთი ამ დიდ გაგაჩვენებს, კერძოდ კი, დიდ საგაგალო ომში გაგაჩვენებულთა როლს, ეჭვქვეშ აყენებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი თავისი კონსენსუსული ინტერესების დასაკმაყოფილებლად მიზანმიმართულად ხდილობს ისტორიის გაყალბებას»

ხალხისადმი უპატივცემულობის გამოხატულების დამადასტურებელია.

რეზონანსი ნაცარაშვილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების, ომისა და შრომის ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:

— ჩვენი ორგანიზაცია 1986 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ურთულეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. თავდაპირველად ხელისუფლება თითქოს თანამშრომლობდა ჩვენთან, მაგრამ ბოლო პერიოდში საერთოდ არ გვაქცევდა ყურადღებას და ორგანიზაცია გაუქმების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა ყველა სირთულე გადავლახეთ და ვეტერანების საკითხებზე მუშაობას დღემდე განვაგრძობთ.

დიდი სამამულო ომი მე-20 საუკუნის მთავარი მოვლენა იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისთვის, არამედ მსოფლიოსთვის, თუმცა, ასე თუ ისე, ამ ომში გამარჯვება საბჭოთა

კავშირის სახელმწიფოს ძლიერებასთან ასოცირდებოდა. **სამამულო ომის განსაკუთრებული სიმბოლო არის „გაგაჩვენების ლენტი“, რომელიც ნიშანი სამამულო ომში თავდადებულთა ხსოვნისა, პატივისცემისა და სოლიდარობისა. ადამიანები ამ ლენტს იმაგრებდნენ სამამულო ომის ხსოვნის პატივისცემად, თუმცა შემდეგ ვითარება შეიცვალა. მაგალითად, ახლა „გეორგიევსკის ლენტს“ ოფიციალურად მხოლოდ რუსეთში უჭერენ მხარს. უკრაინაშიც ასე იყო 2014 წლის ცნობილ მოვლენებამდე, ახლა კი უკრაინელებისთვის გამარჯვების სიმბოლოდ წითელი ყაყაჩო იქცა, დასავლეთის სახელმწიფოების გამარჯვების სიმბოლო, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებასთან არის დაკავშირებული.**

**მანია გოპენკო, მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის**

ასისტენტი:

— მინდა, გიამბოთ საბჭოთა სივრცეში არსებულ იმ ახალ სიმბოლოებზე, რომლებიც მოგვითხრობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებასა და მიღწევებზე. **წითელი ღრუბა, გამარჯვების აღლუმი, „გაგაჩვენების ლენტი“, წითელი მიხაკები, გამარჯვების სალუტი და ა.შ. — ეს სიმბოლოები დაკავშირებულია დიდ სამამულო ომში გამარჯვებასთან. ჩვენში აღრულებული გავმეოვნიდან არის გამარჯვებული ამ სიმბოლოებისადმი ხსოვნა და დღესაც ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის განუყოფელ ნაწილად სწორედ ეს სიმბოლოები უნდა იყოს.** ეს ერთ-ერთი ინსტრუმენტია, ახალგაზრდობამდე მივიტანოთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების მნიშვნელობა. რაც მეტი დრო გადის, მით მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ ამ დიდი გამარჯვების ხსოვნა, რომელიც აყალიბებს პატივისცემას საკუთარი გმირების, საკუთა-





რი ისტორიისა და სამშობლოსადმი და დღეს ამ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებენ თუ არა დიდი სამამულო ომში გამარჯვების ხსოვნას.

**ბრიგოლ ონიანი, საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე:**

— ბოლო ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, მათ შორის, 40 ქვეყანა ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. ომის პერიოდში სამხედრო ფარაჯა ჩაიცვა ას ათმა მილიონმა ჯარისკაცმა, მათგან 12 მილიონი საბჭოთა კავშირიდან იყო. ჯერ მსოფლიოში არც ერთ მხედართმთავარს არ გამოუყვანია ამდენი ჯარისკაცი საომრად.

დღეს ბევრს საუბრობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებაზე, თუმცა იშვიათად იხსენებენ ამ გა-

მარჯვების სულისჩამდგმელს — იოსებ სტალინს.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ათასი ჯურის ნაძირალას იცავენ და მე არავინ მიცავს. ჩემს ინტერესებს, ადამიანისა, რომელსაც უნდა, თავის ფესვებს დაუბრუნდეს, ჩემი ქვეყანა არ იცავს. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ ახლა ყველაზე დიდ საქმეს აკეთებს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რომლის ფურცლებზე ყველას, ვინც სიმართლეს ლაპარაკობს, ადგილს უთმობენ. მე მაქვს მასალები, რომლებიც გმირ ქართველებს ეხება და სწორედ ამ გაზეთის საშუალებით მალე ყველა გმირის ბიოგრაფიას გამოვაქვეყნებ, ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი საქმე იქნება.

რა თქმა უნდა, დიდი სამამულო ომის ყველა ასპექტის დანახვა ძალიან რთულია,

**ვინაიდან მსოფლიოს გავრცა ქვეყანამ იმუშავა, რუსებისთვის ეს დიდი გამარჯვება რომ წაერთმიათ და ღრმად დაეხარხართ მისი მთავარსარდალი, მებრამ სამამულო ომი მაინც ისე წარმოჩინდება, როგორც საჭიროა.** მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორებს, განსაკუთრებით — ბატონ ტარიელ გაგნიძეს.

**ვლადიმერ სიმინდელი, აქტუალური ისტორიული კვლევების მხარდამჭერი ფონდის — „ისტორიული მემსიერების“ — საკვლევო პროგრამების ხელმძღვანელი:**

— პოსტსაბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში, როგორც აქ უკვე ითქვა, სახელმწიფო დონეზე ეთმობა ყურადღება სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილ





იუბილეებსა და ვეტერანებს, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ნაცისტების მხარდაჭერა ღიად მიმდინარეობს. მაგალითად, **ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ნაცისტების წინააღმდეგ მებრძოლ ვეტერანებს არათუ უთანაბრებენ ფაშისტების მხარეს მებრძოლებს, არამედ ამბობენ, რომ, ვინც ჰიტლერს უჭერდა მხარს, ის ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის თავისუფლებისთვის იბრძოდა. არადა, ჰიტლერი და ფაშისტები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ არც ერთი ერის ნაციონალურ ინტერესებს არ განიტვიტებდა.** ამიტომ ვფიქრობ, **ღღეს ქალიან მნიშვნელოვანია, ისტორიკოსებმა ყურადღება მიამჩვიონ სარწმუნო ისტორიულ ფაქტებს, რათა საზოგადოებაში, ახალგაზრდობაში მიიტანონ სიმართლე, რომელსაც ღღეს ზოგიერთი მიზანმიმართულად ამახინჯებს.** საზოგადოებამდე სიმართლის მიტანის საქმეში ისტორიკოსებსა და ჟურნალისტებს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ომის გაკვეთილები და ომის ხსოვნა რომ არ დაიკარგოს.

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:**

— რატომ სურს ზოგიერთს სტალინიზმი ჰიტლერიზმთან გააიგივოს? ეს ტყუილუბრალოდ არ ხდება და ჩვენთვის, ქართვე-

ლებისთვის, განსაკუთრებით მტკივნეულია, რადგან სწორედ სტალინი იყო მთავარი პირი, რომლის წარმატებული მოღვაწეობის წყალობითაც გავიმარჯვეთ. აღსანიშნავია, რომ **მეორე მსოფლიო ომში პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი მონაწილეობდა.** ამ სახელმწიფოებს და მათ ლიდერებს შორსმიმავალი გეგმები აქვთ და სტალინის ფიგურის წინააღმდეგ ბრძოლა ჩემთვის გასაგებია, ვინაიდან სტალინიმა გლობალისტებს გეგმები ჩაუშალა. ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან უარყოფითად არის განწყობილი, როგორც საბჭოთა კავშირისადმი, ასევე სტალინის ფიგურისადმი. ღღეს საქართველოში პროდასავლური ელიტაა, რომელიც, რათქმა უნდა, ისტორიას ისეთ შეფასებას აძლევს, რომელიც მომგებიანია მისთვის და დასავლეთისთვის. ჩვენი ახალგაზრდობა იზრდება დასავლური ფასეულობებით, რომლებიც ჩვენი ფასეულობებისა და რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

**ბულბაათი რცხილაძე, ვერაზის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

— საქართველოში არის აგრესიული უმცირესობა, რომელიც ძალიან აქტიურია და ფინანსდება დასავლური ორგანიზაციების მიერ. რამდენიმე ხნის წინათ ისინი აჩერებდნენ მანქანებს, რომლებსაც „გეორგიევსკის ლენტი“ ეკეთათ და აძრობდნენ მათ, პოლიციამ კი არ იცოდა, რა რეაგირება მოეხდინა, ვინაიდან „ნაციონალურმა“ და მათთან დაკავშირებულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე, მასმედია გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს „გეორგიევსკის ლენტი“ ოკუპაციის სიმბოლოა. ჩვენთან კი მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენებას და ის ფაშისტურ სიმბოლიკასთან არის გაიგივებული. ეს სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია და ვერ დავმაღავ.

ჩვენს ორგანიზაციას დიდი შესაძლებლობები არ აქვს, ამიტომ მადლობელი ვარ ტარიელ გაგნიძის, მისი ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“, რომელიც რეგულარულად გამოსცემს ჟურნალს, სადაც სიმართლე იბეჭდება ისტორიული მოვლენების შესახებ.

რაც შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოებს, **ხალტი მაძვს მე-12 კლასის სახელმძღვანელო, რომელშიც იმ ქართველების შესახებ, რომლებიც წითელ არმიას იბრძობდნენ, ერთ გვირგვინს მოთხრობილი, ხოლო იმ ქართველებს, რომლებიც გერმანელების მხარეს იბრძობდნენ, 3 გვირგვინი აქვთ დათმობილი.** ეს ქალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ არა შემთხვევითი.

არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც სამამულო ომში მიღწეულ ამ დიდ გამარჯვებას არაფრად მიჩნევენ, იმ ომში ხომ ყველა მათგანის წინაპარი იბრძოდა?!





**ანზორ დანელია, სამამულო ომის ვეტერანი:**

— მიმაჩნია, რომ **რუსეთს სამი დიდი ხელმძღვანელი ჰყავდა: პეტრი პირველი, იოსებ სტალინი და ახლა — ვლადიმერ პუტინი.** ეს ჭეშმარიტებაა. დღეს არ სურთ დიდ სამამულო ომში სტალინის როლისა და დამსახურების აღიარება, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ჩვენ, ვეტერანები, მივდივართ და, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს არ ესმით და არ იციან სიმართლე, მათ რუსული ენაც კი არ იციან, რუსული სიმღერებიც კი აკრძალა სააკაშვილმა, ეს ჩემთვის გაუგებარია.

**შოთა ბუაძე, სამამულო ომის ვეტერანი:**

— მინდა, მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც დღეს ამ შეკრებაში მონაწილეობს, განსაკუთრებით — „ისტორიულ მემკვიდრეობას“, რომელიც ვეტერანებს არ ივიწყებს. არადა, დრო გადის და ვეტერანები ცოტანი რჩებიან. შეიძლება ითქვას, რელიქვიასავით შემოვრჩით. საქართველოში სულ 1500 ვეტერანიღა დარჩა ცოცხალი, მათგან 500 თბილისში ცხოვრობს.

ეს ჭორები სტალინისა და დიდი სამამულო ომის შესახებ ვრცელდება ახლა, როდესაც ჩვენ, ამ ომის უშუალო მონაწილეები, ჯერ კიდევ ცოცხალი ვართ და ვიცით, რაც ხდებოდა სინამდვილეში და ჩვენ შემდეგ რა იქნება?!

როდესაც დიდ სამამულო ომზე ვლაპარაკობ, შეუძლებელია, გვერდი ავუარო სტალინის პიროვნებას. სტალინი ეპოქალური მოვლენა იყო, დადგება დრო და სტალინის პიროვნებით საქართველო აუცილებლად იამაყებს.

**რამდენიმე წლის წინათ ტუაფსეში ვიმყოფებოდი ფორუმზე, სადაც 39 მოხსენება მოვისმინე, ისაუბრეს დიდი სამამულო ომის მნიშვნელობაზე, სხვა სახელმწიფოების როლზე ფაშისტური გერმანიის დამარცხების საქმეში და არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ დიდი სტალინის შესახებ. მხოლოდ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭაჭია გამოვიდა და იკითხა, ნუთუ ამ ომს მხედართმთავარი არ ჰყოლიაო?! მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს და მთელი დარბაზი გაიტრუნა. არ შეიძლება, დიდ სამამულო ომზე სიტყვა დავძრათ და სტალინი არ გავიხსენოთ. ვინაიდან სტალინი იყო ამ გამარჯვების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი. „ისტორიული მემკვიდრეობის“ ამოცანაა, დავამკვიდროთ სიმართლე სტალინის შესახებ. როდესაც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი სტალინსა და პიტლერს შორის ტოლოზის**

ნიშანს სვამს, ეს დანაშაულია. ისტორიის დამახინჯება არ შეიძლება, რადგან ისტორია რეალობას უნდა ასახავდეს.

**სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობის წევრებმა არ იციან და ვერც წარმოუდგინათ ის უბედურება, რომელიც იმ ომში ხდებოდა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არიან ასე უყურადღებოდ ვეტირანები მიტოვებულნი, როგორც საქართველოში. დიდი სამამულო ომის მონაწილეებს პენსიაც კი გაუშუქმეს. აი, სადამდე მივიდა ჩვენი მთავრობის უყურადღებობა.**

**ტარას იჩქიტინი, სამამულო ომის ვეტერანი:**

— როდესაც ომი დაიწყო, მეორე დღესვე გამოვიდა სტალინი და განაცხადა, ჩვენი სახელმწიფო საფრთხის წინაშეა და ყველა უნდა დავირაზმოდ სამშობლოს დასაცავად. იმხნად ჩვენი სამშობლო საბჭოთა კავშირი იყო და დავინყეთ ბრძოლა ჩვენი ტერიტორიების გასათავისუფლებლად, ამიტომ არ შეიძლება სამამულო ომში გამარჯვების ხსოვნა დავინწყებას მივცეს.

**მოამზადა შორენა ციციქოშვილმა**

**P.S. უახლოეს მომავალში, „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი“ ღონისძიებები მოსკოვსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების სხვა ქალაქებშიც გაიმართება. სხვადასხვა ქვეყნის ვეტერანები პირადად მიაგებენ პატივს დაღუპულ თანამებრძოლებს და ომში გამარჯვებას კიდევ ერთხელ იზეიმებენ.**





# ისინი სამუოგლოსთვის იბრძოდნენ

## საქართველოდან განვადი, დარუკული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მეორეების დარუსტარული სტატისტიკა

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ბიუროს 2014 წლის 3 დეკემბრის №12 გადაწყვეტილებით, დამევალა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-45 წწ.) საქართველოდან განვადი და ბრძოლებში დარუპულ მეომართა რაოდენობის განსხვავებული მონაცემების გაანალიზება, შეჯერება და შესადლო რეალური მარჯვენების განსაზღვრა. ეს დავალება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

2015 წლის 9 მაისს მსოფლიო საზოგადოება ფართოდ აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავს.

ამ თარიღის შესახებ პრესაში, სატელევიზიო გადაცემებში, ვეტერანთა მემუარებში, სამეცნიერო ნაშრომებში ქვეყნდება მონაცემები საქართველოს წვლილზე ამ გამარჯვებაში;

წყაროებში აღნიშნულია საქართველოდან დიდ სამამულო ომში განვადი მებრძოლთა და ბრძოლებში დარუპულთა სხვადასხვა რაოდენობა;

მაგალითად, „საქართველოს ისტორიის“ მე-4 ტომში (თბილისი. 2012 წ.) მითითებულია, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში 1942 წლის 15 აპრილისთვის საქართველოდან წარგზავ-

ნილი იყო 500 ათასამდე მებრძოლი, მაგრამ არ არის მონაცემები შემდეგმ განვადებზე ომის დამთავრებამდე.

ამავე წყაროში აღნიშნულია, რომ საქართველოდან განვადულთაგან დარუპულებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულების საერთო რაოდენობამ შეადგინა 163 311 კაცი, ანუ მობილიზებულთა 23,3 პროცენტი.

ამ მონაცემების მეშვეობით, მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებით შეგვიძლია, დავადგინოთ, რომ განვადულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 700 905-ს.

ნიგნში „Великая Победа над фашизмом“ (Москва. 2014 გ.) აღნიშნულია, რომ 1941 წლის 23 ივნისიდან 1942 წლის 15 აპრილამდე ფრონტზე და სამხედრო

ოლქებში საქართველოდან განვადი იქნა 354 332 ადამიანი. ამასთანავე, დიდი სამამულო ომის დანყებამდე სამხედრო ნაწილებში უკვე იმყოფებოდა ადრე განვადი 126 039 სამხედრო მოსამსახურე. ამგვარად, სულ მითითებული პერიოდისთვის წითელ არმიამ განვადულთა რაოდენობა შეადგენდა 480 371 კაცს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საგანგებო კომიტეტის 1955 წლის №6 სპეციალურ ანგარიშში „კომუნისტური აგრესიის შესახებ“ აღნიშნულია, რომ, „როდესაც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირს შეუტია“, ...წითელ არმიამ 200 000-დან 300 000-მდე ქართველი გაინვიქს“. საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების მოქალაქეთა განვადის შესახებ ანგარიშში არაფერია ნათქვამი.

რეალური ცნობების მიღება რუსეთის ქ. პოდოლსკის სამხედრო არქივიდან ვერ მოხერხდა. გაირკვა, რომ არქივის სათანადო დოკუმენტები გაგზავნილი იყო საქართველოს პარტიულ არქივში, რომელსაც ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგებს.

შსს-ს არქივის დირექტორმა, პოლკოვნიკმა ომარ თუშურაშვილმა წერილით (№231757 02.02.2015) გვაცნობა, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან განვადი მებრძოლების საერთო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არის დარუული. პირადი საუბრისას განმარტა, რომ ქ. პოდოლსკის არქივიდან გამოგზავნილი მასალები თავდაპირველად ინახებოდა საქართველოს პარტიულ არქივში, იმავე პრეზიდენტის

### კანდიდ ჩარკვიანი:

**«1944 წლის 1 დეკემბრისთვის საბჭოთა არმიამ ომის დროს განვადულთა რაოდენობამ 563 ათასი შეადგინა. თუ ამ სიფრს დარუებატაბთ 130 ათას სარდათს და ოფიცარს, როგლებიც 1941 წლის 22 ივნისისათვის სამხედრო სამსახურს გადიოდნენ, დარუინახავთ, რომ სამამულო ომის ყველა ფრონტზე ქართველი მიწის 693 ათასი შვილი იბრძოდა»**



არქივში („იმელის“ შენობაში).

1992 წელს თბილისში პოლიტიკური დაპირისპირებისას არქივის ნაწილი განადგურდა, რის გამოც წარმოდგენილი მონაცემები არ არის სრული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი თავის მემუარულ ნაშრომში „განცდილი და ნააზრევი“ (ქ. თბილისი 1985 წ., „საბჭოთა საქართველო“, გვ. 234) აღნიშნავს: „1944 წლის 1 დეკემბრისთვის საბჭოთა არმიის ომის დროს განვუღოთ რაოდენობა 563 ათასი შეადგინა. თუ ამ ციფრს დავუმატებთ 130 ათას სალდათს და ოფიცარს, რომლებიც 1941 წლის 22 ივნისისათვის სამხედრო სამსახურს გადიოდნენ, დავინახავთ, რომ სამაგულო ომის ყველა ფრონტზე ქართული მიწის 693 ათასი შპილი იბრძოდა“.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სხვაობა მონაცემთა შორის თვალშისაცემია.

აღნიშნული მონაცემებიდან სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ბოლო, რომელიც უახლოვდება „საქართველოს ისტორიის“ მე-4 ტომის მონაცემებს და დასტურდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, გადამდგარი



გენერალ-მაიორის ივანე ბაბა-ლაშვილის კვლევებით.

აი, რას წერს გენერალ ბაბალაშვილის კვლევების შესახებ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მაყვალა ნათქვამი: „ივ. ბაბალაშვილს პირველს ეკუთვნის ომის წლებში საქართველოდან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში განვუღოთა საერთო რიცხვის (700 000-მდე) განსაზღვრა, რომელიც ეფუძნება სანდო და უტყუარ მასალებს, ამიტომაც იგი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივ. ბაბალაშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, საქარ-

თველოდან ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობის სავარაუდო განსაზღვრა“ („ომგადახდილი მეცნიერები“, თბილისი, 2000).

დიდ სამამულო ომში საქართველოდან განვუღოთ მეომართაგან დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის საკითხი, აგრეთვე, საყურადღებოა და პრობლემური.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, მონაცემები ბრძოლებში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების შესახებ ეროვნულობის მიხედვით იკრიბებოდა და ჯამდებოდა გენერალურ შტაბში სამხედრო ოლქების მონაცემების მიხედვით.

ამ მიზეზის გამო ხშირად ეს მონაცემები არ ემთხვეოდა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მონაცემებს. ამასთანავე, ეს დოკუმენტები იყო გასაიდუმლოებული და მათი შეჯერება ადგილობრივ სტატისტიკურ მონაცემებთან არ ხდებოდა (იხ. „Памяти павших“. Великая отечественная война 1941-1945 г.г. Москва 2005, стр. 79.).

ამ თემაზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას სათავე დაუდო ჯერ კიდევ კავკასიაში საომარი მოქმედებების მსვლელობისას (1942 წლის თებერვალში) მარქ-

**გერმანელთა ჯარის შემოჭრა კავკასიაში**





სიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შექმნილმა სამამულო ომის ისტორიის მასალების შემგროვებელმა და შემსწავლელმა კომისიამ, აკადემიკოს გ. ხაჭაპურიძის თავმჯდომარეობით.

შემდგომ პერიოდში ამ თემატიკაზე მუშაობდნენ და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები ნ. ჭეიშვილს, მ. ქოჩიაშვილს, ა. იოსელიანს, კ. ცქიტიშვილსა და სხვებს.

სხვადასხვა ავტორის ნაშრომების შეჯერებით, აგრეთვე, გენერალ ბაბალაშვილის კვლევებით (რაც ზემოთ იყო აღნიშნული), საქართველოს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ დიდ სამამულო ომში **საქართველოდან განვსვლ პირთაგან დაიღუპა და უზგო-უკვლოდ დანიკარბა 300 ათასამდე მებრძოლი.**

ეს მონაცემი დასტურდება 1985 წელს გამოცემული „დიდი სამამულო ომის (1941-1945 წ.წ.) ენციკლოპედიით“, რომელიც მოიცავს „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის“ ბიუროს წევრმა **როზინზონ პაპიამ.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქ. პოდოლსკის ცენტრალურ სამხედრო არქივში შედგა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები რესპუბლიკების მიხედვით.

ამ სიების ნაწილი მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (5 ყუთი) და საქართველოს პრეზიდენტის არქივმა (8 ყუთი). სიები შედგენილია კომპიუტერული ბანკისთვის და შეიცავს სრულ ინფორმაციას თითოეული მებრძოლის შესახებ (დემოგრაფიული მონაცემები, საცხოვრებელი, განწვევის, დაღუპვის, დაკრძალვის ადგილები და თარიღები).

ამ სიების დამუშავების შრომატევად და საპასუხისმგებლო საქმეს წარმატებით გაართვეს თავი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა პროფესორების — **მაყვალა ნათელაძისა და**

**\* დიდ სამამულო ომში საქართველოდან 700 ათასამდე მებრძოლი იბრძოდა, მათ შორის — 23 ათასი ოფიცერი, 46 გენერალი და ადმირალი.**

**\* 300 ათასამდე მებრძოლი ვერ დაბრუნდა სამშობლოში.**

**\* საქართველოდან 16 ათასამდე ქალი იხავდა სამშობლოს.**

**\* 224 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით.**

**\* 164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება**

**ელვირ კუპატაძის** ხელმძღვანელობით.

იყო მცდელობა, **შებროვილი მასალების საფუძველზე გამოცემული ყოფილიყო დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და უზგო-უკვლოდ დაკარგულთა სიები 8 ტომად, სათაურით „წიგნი მარადიული ხსოვნისა“. პირველი ტომი გამოვიდა 1985 წელს და მიეძღვნა თბილისელებს. მეორე ტომი დაიბეჭდა 1987 წელს, რომელიც მიეძღვნა ავტონომიურ ფორმირებებს, მომზადდა მესამე ტომი, მამრამ მისი გამოცემა შეწყდა საქართველოში შექმნილი ფინანსური სიძნელეებისა და განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო.**

დადგინდა, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაში **ნაპრაუდვი 300 ათასი დაღუპული და უზგო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლიდან, ქართველი იყო 117 014 (ყოფნალი „საპოვნელა“ №2, 2002 წ.), ამით შეივსო დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ხარვეზი, თუმცა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ეს რიცხვიც სავარაუდოა, რადგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საარქივო დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა დაკარგულია.**

დღეს საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს არქივში შემორჩენილია მონაცემები ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მხოლოდ 135 363 ადამიანზე.

დასასრულ, შეიძლება დავასკვნათ:

**\* დიდ სამამულო ომში საქართველოდან 700 ათასამდე მეომარი იბრძოდა, მათ შორის — 23 ათასი ოფიცერი, 46 გენერალი და ადმირალი.**

**\* 300 ათასამდე მებრძოლი ვერ დაბრუნდა სამშობლოში.**

**\* საქართველოდან 16 ათასამდე ქალი იხავდა სამშობლოს.**

**\* 224 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით.**

**\* 164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.**

ეს მონაცემები მიღებულია საქართველოს ისტორიოგრაფიაში და აღიარებულია საზოგადოებრიობის მიერ (იხ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-3 ტომი, გვ. 538).

**შენიშვნა:** ცნობას გაეცნო ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაყვალა ნათელაძე, რომელიც დასკვნას დაეთანხმა.

**გურამ გვითაძე,**

გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ბიუროს წევრი





# პარტიზანული ბილიკებით

ჩვენს ხელთ არსებული მასალით, პოლონეთის პარტიზანულ მოძრაობაში ქართველები 1942 წლის დამდეგიდან ჩანან (მხედველობაში არა გვაქვს ემიგრანტ თანამემამულეთა ანტიფაშისტური ბრძოლის ადრეული ფაქტები). ვლ. ბორტნოვსკის სიტყვით „პირველი ქართველი პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობის რიგებში უნდა იყოს მაიორი გიორგი დუბაშვილი“, მან ბელოსტოკში მოქმედ ანტიფაშისტურ ორგანიზაციაში „ჩამოაყალიბა სადივერსიო ჯგუფი“ და 1942 წლის ზაფხულში რამდენიმე აქციაც განახორციელა. პოლონელი ისტორიკოსის ცნობით იმავე წლის აგვისტოში გ. დუბაშვილი დაიღუპა ბელოსტოკში ჰიტლერულ შუსტერზე თავდასხმისას მიღებული მძიმე ჭრილობისაგან. აპრილის დამლევს იგი მოითვლიდა 27 მეტრძოლს, მაისში — 35, ხოლო 1943 წლის დამდეგს — 170. ვლ. ბორტნოვსკის ცნობით რაზმის „პირადი შემადგენლობის დიდ უმრავლესობას“ ქართველები შეადგენდნენ.



## მასკა ბრუზინი

ვასილ მანჯავიძის (პარტიზანებს შორის ცნობილი იყო „ვასკა გრუზინის“ სახელით) რაზმი მოქმედებდა სსრ კავშირის საზღვართან ლიუბლინის სავოევოდოს ტომამუჟ-ლიუბელსკის რაიონში. 1944 წლის თებერვლამდე, სოფ. ბოროვეცთან ს. კოვპაკის დივიზიასთან შეერთებამდე, მან მრავალი ოპერაცია ჩაატარა და მტერს დიდი ზიანიც მიაყენა. ამის შესახებ შედარებით დაწვრილებით ინფორმაციას გვანვდის თვით ვ. მანჯავიძის მოხსენებითი ბარათი. ირკვევა, რომ რაზმი ამოქმედდა 1942 წლის გაზაფხულზე. მის პირველ ოპერაციებს, დივერსიებთან ერთად, იარაღისა და საბრძოლო მასალის დატაცე-

ბის ხასიათი ჰქონდა. მართლაც, მარტ-აპრილში რაზმმა დაარბია პოლიციელთა საგუშაგოები ზამოშნის და ტომამუჟის რაიონებში; 1 მაისს ჩაუსაფრდა გერმანელთა ალაღს ტომამუჟ-ტარნავატკას გზატკეცილზე, ააფეთქა 2 სატვირთო ავტომანქანა, ხელთ იგდო სხვადასხვა სისტემის იარაღი და ტყვია-წამალი; 20 მაისს ტარნავატკაში დანვა სახერხი საწარმო და ააფეთქა აგურის ქარხანა. ერთდროულად განხორციელებული ორი ოპერაციის დროს მოსპო 6 ავტომანქანა და გაიტაცა დიდძალი იარაღი საბრძოლო მასალითურთ და ა. შ.

ლიუბლინის სავოევოდოში პარტიზანების გამოჩენა-გააქტიურებას მტერმა რეპრესიებით უპა-

სუხა. უკვე 1942 წლის აგვისტოში რაზმს თავს დაესხა სადამსჯელო ექსპედიცია. პარტიზანები გაერიდნენ რიცხოვრივად ჭარბ ძალებთან შეტაკებას, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მათგან მთლიანად თავის დაღწევა. ამიტომ სექტემბერში ისინი რამდენჯერმე ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში ფაშისტებთან.

1943 წლიდან „ვასკა გრუზინის“ რაზმი კიდევ უფრო გააქტიურდა: მარტში დაარბია ბილგორაის რაიონის სოფ. ლუკოვას გარნიზონი და ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი; აპრილში გადახსნა ბიელჟეც-სუშეცის რკინიგზის ლიანდაგი და გადაჩეხა ორი ორთქლმავალი; მაისში ამავე ხაზზე ააფეთქა ფრონტისკენ მიმავალი ტანკებითა და ავტომანქანებით დატვირთული ეშელონი, აგრეთვე ცეცხლი წაუკიდა ბილგორაის სპირტის ქარხანას; ივლისში გაათავისუფლა დაბა იუზეფუვი და გერმანელების დატაცებული 250 ცენტნერი ხორბალი მოსახლეობას დაუბრუნა; აგვისტოში დაანგრია ორი ხიდი; სექტემბერში პულავდემბლინის რკინიგზაზე ააფეთქა ეშელონი. აფეთქებამ დააზიანა 5 კმ სიგრძის სატელეფონო ხაზი. მოძრაობა ამ უბანზე ხუთი დღით შეფერხდა; ოქტომბერში რუდკა-სუშეცის რკინიგზაზე ააფეთქა რკინიგზის 2 ხიდი; ნოემბერში გერმანელები განდევნა სოფ. შაროვილიდან; დეკემბერში თავს დაესხა სოფ. ჟურავიცას სპირტის ქარხანას და გაანადგურა იქ არსებული სპირტის მარაგი და სხვ. ამ ოპერაციების დროს პარტიზანებმა დახოცეს ათობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ადგილობრივი ჟანდარმი და პოლიციელი, მწყობრიდან გამოიყვანეს საბრძოლო ტექნიკა, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი.

ვ. მანჯავიძის რაზმის ასეთი წარმატება მნიშვნელოვნად გა-




ნაპირობა ადგილობრივ მოსახლეობასთან მისმა გულთბილმა დამოკიდებულებამ. უკრაინის პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოლკ. ბონდარევიც აღნიშნავდა, რომ „რაზმის სარდლობამ, სწორად ანხორციელებდა რა ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის პოლიტიკას პოლონეთის მიმართ, მიაღწია მოსახლეობის მხარდაჭერას და თანამშრომლობას“, ამასვე ადასტურებს ცნობილი პ. ვერშიგორაც. მისი სიტყვით „რაზმი... მშრომელთა შორის ავტორიტეტით სარგებლობდა“, ცხადია, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

**მოკმა ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირებისა და მამაცობისათვის ახალი პოლონეთის მთავრობამ 1965 წელს ვასილ მანჯავიძე დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი „ვირტუტი მილიტარის“ ოქროს ჯვრით. აღნიშნავდა რა „ვასკა ბრუზინისა“ და მისი რაზმის მეომრების დამსახურებას, პოლონელი ჟურნალისტი ეჟი სროკა სამართლიანად წერდა, რომ „მათი სახელები მარად დარჩება პოლონელი ხალხის გულში, როგორც ჩაუძრობელი დიდებისა და საბრძოლო მებრძოლის სიმბოლო“.**

**ივანე შუბითიძის პარტიზანული ბრიგადა**

პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ განმაზოგადებელ ნაშრომში პოლონელი ისტორიკოსი ვლ. გურა ორჯერ ახსენებს პოლესიეში მოქმედ პარტიზანულ ბრიგადას, რომელსაც ივანე გიორგის ძე შუბითიძე ხელმძღვანელობდა (კომისარი არქივ პროტასენია, შტაბის უფროსი გიორგი დოროში).

აღნიშნული ბრიგადისა და მისი მეთაურის საგმირო საქმენი სა-



ზოგადობისათვის მხოლოდ უკანასკნელ ხანს გახდა ცნობილი პრესაში გამოქვეყნებული წერილით. ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ივ. შუბითიძე სმოლენსკის მისადგომებთან იგდეს ტყვედ გერმანელებმა და სხვებთან ერთად პოლონეთისაკენ წაიყვანეს. ივ. შუბითიძე მალე გაექცა ფაშისტებს და პოლონელი პატრიოტის — მილკა ბობჩევსკას მეშვეობით ფელიქს დუბროვსკის პარტიზანულ ჯგუფს დაუკავშირდა. 1942 წლის გაზაფხულზე პოლესიეში, დაბა მენძიჟეც-პოდლიასკის მახლობლად, ივ. შუბითიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა რაზმი, რომელშიც ტყვეობიდან თავდახსნილ საბჭოთა ადამიანებთან ერთად, ისტორიკოს ვლ. გურას ცნობით, გაერთიანდნენ პოლონელებიც. მტერზე გადებული თავდასხმებით რაზმმა მალე მოიპოვა ავტორიტეტი ადგილობრივ მოსახლეობაში და სხვა პარტიზანული ჯგუფების თავისებური მიზიდულობის ცენტრად გადაიქცა. 1943 წლის ივლისში მას შეუერთდნენ თავდევნილი კოსტიუშკოს სახელობის პოლონელთა რაზმი ჩესლავ კლიმის მეთაურობით, აგრეთვე, სტალინის, ჩაპაევისა და ნემიტოვის სახელობის რაზმები. ამის შედეგად ჩამოყალიბდა პინსკის პარტიზანული ბრიგადა, რომელშიც ერთი ცნობით, „6 ათასი კაცი შედიოდა“,

ამან გაზარდა მისი აქტიურობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, ბრიგადა დისლოცირებული იყო და მოქმედებდა ბელორუსიაში ივანოვის რაიონის ტყეებში დნეპრ-ბუგის არხსა და მდ. პრიპიატს შორის, მაგრამ სარდლობა ძალზე ხშირად დივერსიებს გეგმავდა მოსაზღვრე პოლონეთის ტერიტორიაზეც. მაგალითად, 1943 წლის დამლევამდე მან დახლოვის ტყეში განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქცია, კერძოდ გადაჩეხა აღმოსავლეთის ფრონტისაკენ მიმავალი 4 ეშელონი, ააფეთქა 23 ხიდი, ათეულობით კილომეტრზე მოშალა სატელეგრაფო-სატელეფონო კავშირ და ა.შ. სულ ომის განმავლობაში ივ. შუბითიძის ბრიგადამ „გაანადგურა 70-ზე მეტი ეშელონი და ორმოცამდე ფაშისტური გარნიზონი“.

პოლონეთის მთავრობამ ივ. შუბითიძის დამსახურება ფაშისტური ულლისაგან ქვეყნის განთავისუფლებაში აღნიშნა ორჯინით „გრიუნვალდის ჯვარი“, ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ იგი „დაჯილდოვდა ჰიტლერულ დამპყრობლებთან ბრძოლაში დიდი დამსახურებისა და პოლონელი პარტიზანებისათვის აღმოჩენილი დახმარებისათვის“.

გაბრძელება  
შემდეგ ნომერში



# განათლება, მესწიერება და კულტურა ომის წლებში

მეორე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების უმაღლეს სასკოლო შენობათა ნაწილი საქართველოში გადაეცა სამხედრო უწყებას ევაკუაციისპიტილების, ყაზარმებისა და ჯარის შტაბებისთვის. ამან გამოიწვია სასკოლო ქსელისა და, შესაბამისად, მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება, კერძოდ, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა რესპუბლიკაში ომის ბოლოს — 1945-1946 სასწავლო წლისთვის შემცირდა 397 ერთეულით, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა — 1381 ათასით 1940-41 სასწავლო წელთან შედარებით (4114 სკოლა — 766,8 ათასი მოსწავლე), უფრო მეტად შემცირდა დაწყებითი განათლების სკოლების რაოდენობა.

მაღალი იყო სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მაჩვენებელი, რის გამოც მიღებულ იქნა ზომები საღამოს სკოლების ქსელის გაფართოებისათვის. თუ ომის დაწყებამდე საქართველოში ითვლებოდა 260 საღამოს სკოლა 26 ათასი მოსწავლით, 1944 წელს ამ სკოლების რაოდენობა გაიზარდა 495-მდე, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტი — 39 ათასამდე.

სახალხო განათლების სისტემას დიდი სიძნელეები შეუქმნა საბჭოთა კავშირის ფრონტისპირა ზონიდან და სხვა რაიონებიდანაც ევაკუირებული ბავშვების დიდი რაოდენობით მიღებამ და სწავლებაში ჩაბმამ. ამ მიზნით შეიქმნა ახალი საბავშვო სახლები. ამასთან, არსებულ საბავშვო დაწესებულებებში მოიმატა ადგილების რაოდენობა.

1944 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში, ასევე სხვა ეროვნულ რესპუბლიკებში რუსული ენის სწავლების გაძლიერებისათვის, პირველ რიგში, არმიაში სამსახურის სირთულეებთან დაკავშირებით. საშუალო სკოლებში შემოიღეს სამხედრო საქმისა და სასოფლო-სამეურნეო დარგების სწავლება სოფლის მეურნეობაში მუშახელის შექმნილი დეფიციტის შემსუბუქებისა და სოფლისადმი დახმარების მიზნით. ეს ერთგვარად მიძიმე

ტვირთად აწვებოდა სასკოლო განათლებას.

**საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, 1943-44 სასწავლო წლის დასაწყისიდან ქვეყნის 77 ქალაქში, მათ შორის საქართველოს ქალაქებში, შემოღებული იქნა ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება.** 1944 წლის 1 ივნისის დადგენილებით კი, დაწესდა გამოცდები მეოთხე და მეშვიდე კლასებში, საშუალო სკოლის დამთავრება სიმნიფის ატესტატით, ხოლო მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისა და სანიმუშო ყოფაქცევითვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

**1944 წელს ქართული ეროვნული სკოლებისთვის გადამუშავდა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედაენა“, რომელიც იმ დროიდან დაწყებითი კლასების სტაბილური სახელმძღვანელო გახდა.** 1943 წლის 1 აგვისტოდან გაუდიდათ ხელფასი 1,5-ჯერ მასწავლებლებს. ამასთან, შეიქმნა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფონდები მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მოსწავლეები ჩაბმულნი იყვნენ მეტროპოლისისთვის თბილი ტანსაცმლისა და საჩუქრების, საბრძოლო თვითმფრინავების ესკად-

რილის „საქართველოს კომკავშირელისათვის“ სახსრების შეგროვების კამპანიებში.

ომის წლებში, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, არ შეწყვეტილა სასკოლო მშენებლობა. 1942-1945 წლებში საქართველოში აშენდა 27 ახალი სკოლა 7,4 ათასი მოსწავლისთვის.

1944 წელს საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან მაჰმადიანი მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების გასახლების წინ რესპუბლიკის ხელისუფლება იხილავდა ახალციხის, ადგიგენისა და ასპინძის რაიონების სოფლებში ქართული სკოლების გახსნისა და მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების პროექტს, რომლის მომზადების მიზნით სამცხე-ჯავახეთის აღნიშნულ რაიონებში გაიგზავნა სპეციალური კომისია გ. კიკნაძის, ს. ჯანაშიას, ირ. აბაშიძის და ბ. გოგუაძის შემადგენლობით. პროექტი მიზნად ისახავდა 44 სკოლაში სწავლების ქართულ ენაზე შემოღებას. 1954 წელს ახალციხეში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი, ასევე ქართული დრამატული თეატრი. ამავდროულად დაწესდა სწავლაში გამორჩეულ საშუალო სკოლის 25 კურსდამთავრებულის გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის 11-კურს-



დამთავრებულისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 6-ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 5-ის სამედიცინო ინსტიტუტში და 3-ის ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

ქართველი საზოგადოებრიობა ნიადაგ იჩენდა ყურადღებას ქართული ისტორიული პროვინციის — საინგილოსადმი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შედიოდა. **ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო საკითხი ქართული სკოლების აღდგენის თაობაზე საინგილოში.** პირველ რიგში, კახის რაიონში, სადაც ცხოვრობდა ქართველ ინგილოთა დიდი ნაწილი. ამ მხარეიდან გამოსული ქართველი მოღვაწეები: არჩ. ჯანაშვილი და გ. გამხარაშვილი არაერთგზის მმართველთაგან ნერილებით საქართველოს ხელისუფლებას, ი. სტალინსაც თხოვნით, აღედგინათ ქართული სკოლები საინგილოში. მართლაც, 1944-45 სასწავლო წელს იქ გაიხსნა კიდევ 15 სკოლა, მათ შორის 3 საშუალო, 7 შვიდწლიანი და 5 დაწყებითი სკოლა, სულ 4161 მოსწავლით. მიღწეულ იქნა ისიც, რომ 1945-46 სასწავლო წელს თბილისის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაიგზავნა 19 ინგილო, პედაგოგიურ ინსტიტუტში 9, სამედიცინო ინსტიტუტში 8, ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში 4, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 3 და ინდუსტრიულ ინსტიტუტში 2 ახალგაზრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის პერიოდში განათლების სისტემაში დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები, რომლებიც ეხებოდა აფხაზური და ოსური სკოლების რეორგანიზაციას. 1945-46 სასწავლო წლიდან აფხაზური და ოსური სკოლების დაწყებით კლასებში სწავლება გადაყვანილ იქნა ქართულ ენაზე, ხოლო დანარჩენი კლასები ქართულ ენაზე სწავლებაზე გადადიოდნენ შემდგომ წლებში. რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, აფხაზური სკოლების მასწავლებლები გაათავისუფლეს სამუშაოდან და მათ შესაცვლელად აფხაზეთში გაიგზავნა 30 ქართველი მასწავლებელი პედა-

გოგიური სასწავლებლის 1944 წლის კურსდამთავრებულთაგან. სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის შემდეგაც აფხაზური და ოსური ენები დატოვებულ იქნა, როგორც სავალდებულო საგანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით, აფხაზურ და ოსურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის მოტივაცია ეფუძნებოდა იმას, რომ „აფხაზურ და ოსურ საშუალო სკოლებში მოსწავლეებს არ ჰქონდათ რა შესაბამისი სახელმძღვანელოები (აფხაზური და ოსური საშუალო სკოლები არც არსებობდა, მხოლოდ დაწყებითი კლასები იყო), არ შეეძლოთ, მიეღოთ საკმარისი მოცულობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნა. ამის შედეგად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ ცალკეული პირები შედიოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მათ უმრავლესობას არ შეეძლო აეთვისებინა უმაღლესი სკოლის პროგრამა, რის გამოც ისინი სტოვებდნენ სასწავლებელს უკვე პირველი კურსიდან. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა ომის წლებში — მხოლოდ 12 აფხაზი, ხოლო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი 1945 წელს დაამთავრა მხოლოდ ერთმა აფხაზმა.

„ეხელმძღვანელობთ რა შექმნილი მდგომარეობით, — ნათქვამია გადაწყვეტილებაში, — აფხაზურ სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მომზადების რადიკალური გაუმჯობესებისთვის მიღებულ იქნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინადადება აფხაზური სკოლების I-IV კლასების სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის შესახებ“.

გარდა აფხაზური სკოლებისა, აფხაზეთში დაიხურა რამდენიმე სომხური სკოლა; სოხუმისა და აფხაზეთის პედაგოგიური სასწავლებლები გაერთიანდნენ ერთ პედაგოგიურ სასწავლებლად.

1945 წლის 1 ოქტომბრიდან კი გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებლები ოჩამჩირესა და გუდაუთაში, დადგინდა მისაღები კონტინგენტი 30 მოსწავლის რიცხვით თითოეულში.

ფაქტობრივად, ეროვნული სკოლების დახურვა გაუმართლებელ და მცდარ ეროვნულ პოლიტიკას ეფუძნებოდა. მან ხელი შეუწყო ადგილობრივი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებას, მიუხედავად იმისა, რომ დაშვებული შეცდომა სულ მალე 50-იანი წლების დასაწყისში გასწორდა — აღდგენილ იქნა სწავლება აფხაზური და ოსური სკოლების დაწყებით კლასებში ეროვნულ ენებზე.

**ქართული მეცნიერება ომის წლებში რთული ამოცანების წინაშე იდგა. მას უნდა გადაეწყვიტა როგორც ფუნდამენტური, ასევე ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოყენებითი-პრაქტიკული საკითხები. მეცნიერების ცენტრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ომის დაწყებისას დაარსებიდან ოთხი თვის თავზე ორგანიზაციულ-სტრუქტურული ჩამოყალიბების პროცესში მყოფი უმაღლესი აღმორჩნდა სირთულეების წინაშე, რომელთა დაძლევას ხელი შეუწყო სამეცნიერო დაწესებულებათა პრობლემატიკის და კვლევის მეთოდების რამდენადმე გარდაქმნა-გადახალისებამ.**

1941 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა თავდაცვითი მუშაობის ხელშემწყობი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია აკადემიის პრეზიდენტის, აკად. ნ. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით. კომისია ახორციელებდა აკადემიის სისტემისა და, აგრეთვე, საუნეებო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციას. ამას გარდა, შეიქმნა ამიერკავკასიის გეოლოგიურ-გეოგრაფიულ და გეოგრაფიულ-გეოდეზიური კომისიები, რომელთაც დაეკისრათ ფრონტის დასახმარებლად გეოგრაფიულ-გეოლოგიური მუშაობის



ორგანიზაცია ამიერკავკასიის მასშტაბით.

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ თავდაცვითი ხასიათის საკითხების გადაჭრის მიზნით ბუნებრივ სიმდიდრეთა და სხვა აუცილებელ საშუალებათა ძიების საქმეში დიდი როლი შეასრულა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილმა რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემსწავლელმა საბჭომ აკად. ა. თვალჭრელიძის თავმჯდომარეობით. აღნიშნული საბჭო წარმართავდა სამხედრო უწყების დაკვეთების შესრულებას. 1942 წელს ამ საბჭოს ხაზით შედგენილი იქნა ბუნებრივ და ხელოვნურ თავშესაფართა რუკები და სხვ.

მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობა ყოველმხრივ დახმარებას უწევდა საომარ ყაიდაზე გარდაქმნილ სამრეწველო საწარმოებს ახალი სახის პროდუქციის ათვისებაში, ეძიებდა დეფიციტური მასალების შემცვლელებს და ა. შ. ნაგებობათა ჰიდროტექნიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უკვე 1942 წლის დასაწყისში დამუშავდა მაღალი ხარისხის ცემენტისგან საავიაციო ბომბების წარმოების ტექნოლოგია, ავიაბომბების სტაბილიზატორის ლითონი შეიცვალა ცემენტით, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეტალის მწვავე ნაკლებობის პირობებში. ომის წლებში ფრონტს გაეგზავნა ათი ათასობით ცემენტის ავიაბომბი.

ქიმიის ინსტიტუტის ელექტროქიმიის ლაბორატორიაში დამუშავდა ლითონური მანგანუმის მიღების ელექტროლიზური მეთოდი, ინჟინრისა და მეცნიერის, აკად. რ. აგლაძის ხელმძღვანელობით, მაღალი სიმინდის ლითონური მანგანუმი აუცილებელი იყო ასე საჭირო საჯავშნე ფოლადის მისაღებად. 1943 წელს რ. აგლაძეს, გ. სიორიძეს და ა. ბერიკაშვილს ამ სამუშაოსათვის სტალინური პრემია მიენიჭათ.

დიდი ეკონომიკური და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა ქიმიის ინსტიტუტის მეტალურგიულ ლაბორატორიაში ტყიბულის ქვანახშირის ფუჭი ქანების ფიქალისაგან სილიკო ალუმინის ელექტროთერმული გზით მიღების მეთოდის დამუშავებას გ. მიქელაძის ხელმძღვანელობით. მისივე თაოსნობით ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში 1944 წელს აგებულ იქნა ღუმელი და გაშვებულ იქნა საამქრო დეფიციტური პროდუქციის — კარბორუნდის მისაღებად. იქვე მუშავდებოდა ნაბურღი წყლებისგან იოდისა და ბრომის და ახალი ინდიკატორების მიღების, ნორიოს ნავთობის საბადოსგან ნახევრად ქარხნული წესით სხვადასხვა დეფიციტური ნავთობპროდუქციის მიღების პრობლემები.

ქართველმა მეცნიერ-ქიმიკოსებმა დიდი მუშაობა გასწიეს თხევადი ამიაკის წარმოებაში და ნერგვისთვის თავდაცვითი მრეწველობისთვის ფეთქებად ნივთიერებათა დამზადების მიზნით.

ფართო მუშაობას ეწეოდა ქიმიურ-ფარმაცევტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ადგილობრივი სამკურნალწამლო მცენარეებისაგან მედიკამენტებისა და პრეპარატების დასამზადებლად.

ომის წლებში აკად. ნ. მუსხელიშვილის ნაშრომებში მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი შედეგები დრეკადობისა და ჰიდრომექანიკის დარგში; გრძელდებოდა 30-იანი წლების ბოლოს დაწყებული კვლევა ატომგულისა და ელემენტარული ნაწილაკების, კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში. სტალინური პრემიით აღინიშნა ნ. მუსხელიშვილის და ივ. ბერიტაშვილის ნაშრომები.


1943-1944 წლებში ქართველმა გეოლოგებმა დაადგინეს სასარგებლო წიაღისეულის 100-ზე მეტი ახალი საბადო, მათგან 27 ფერადი ლითონისა, 33 იშვიათ ლითონთა, 42 სამთამადნო ნედლეულისა და ა. შ.

აკად. პ. წულუკიძის მიერ დამუშავებულ იქნა ქვანახშირის მოპოვების ჰიდრავლიკური მეთოდი, რომელიც დიდი ეფექტურობით ხასიათდებოდა.

თვალსაჩინო წარმატებებს ჰქონდა ადგილი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების დარგშიც. ამან განაპირობა 1942 წლის მაისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების შექმნა.

ფართო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოები მიმდინარეობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკად. ივ. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით კონტუზიისა და ნერვულ-კუნთოვანი სისტემის დაზიანების მკურნალობის მეთოდების შესამუშავებლად. ზოოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდნენ ჭრილობის შეხორცების დამარქარებელი სტიმულატორების შესწავლაზე, ამზადდნენ სპეციალურ კონსერვანტებს, რომელთაც წარმატებით იყენებდნენ სამედიცინო პრაქტიკაში.

ომის წლებში აკად. გ. ახვლედი-



**ომის წლებში აკად. ნ. მუსხელიშვილის ნაშრომები მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი შედეგები დრეკადობისა და ჰიდრომექანიკის დარგში; გრძელდებოდა 30-იანი წლების ბოლოს დაწყებული კვლევა ატომგულისა და ელემენტარული ნაწილაკების, კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში. სტალინური პრემიით აღინიშნა ნ. მუსხელიშვილის და ივ. ბერიტაშვილის ნაშრომები.**



ანის ხელმძღვანელობით ენის ინსტიტუტში შეიქმნა ლოგოპედთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებებთან კავშირში კონტრუნიამილებულ მებრძოლთა მეტყველების ფუნქციის მკურნალობა-აღდგენის მეთოდების შესწავლაზე.

ჰუმანიტარული, კერძოდ, საისტორიო, საენათმეცნიერო და სხვა დარგების მეცნიერების განვითარებისათვის ომის წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო დაწესებულებათა სტრუქტურის გარდაქმნას. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი გაიყო ორ დამოუკიდებელ — ისტორიისა და ენის ინსტიტუტებად; შეიქმნა საისტორიო პროფილის ახალი დაწესებულებანი; ქართული ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ და მუზეუმ-ნაკრძალი „ვარძია“. ომის დროინდელ მოთხოვნებისდაკავალად წინა პლანზე იქნა წამოწეული სამხედრო-პატრიოტული თემატიკა.

ომის წლებში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, მესამე ნიგნი; 1943 წ. ს. ჯანაშიას საქართველოს ძველი ისტორიის დარგში შექმნილი ნაშრომებისათვის მიენიჭა სტალინური პრემია. 1943 წელს გამოიცა ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის და ს. ჯანაშიას ავტორობით შედგენილი პირველი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიისა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე (1947 წ. მიენიჭა სტალინური პრემია), რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. ომის წლებში გამოქვეყნდა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (1941), თამარის მეორე ისტორიკოსის ბასილ ეზოსმოდვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“ (1944); ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და სხვ.

**1942-45 წლებში ჩატარდა მუშაობა მეორე მსოფლიო ომში სა-**

**ქართველოს მონაწილეობის ისტორიის დოკუმენტებისა და მასალების შეგროვებისათვის.**

მართალია, 1941 წლის ივლისიდან შეწყდა არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობა, მაგრამ ომის წინა ხანებში საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე გამოქვეყნდა რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი: ბ. კუფტინის „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, რომელსაც 1942 წელს მიენიჭა სტალინური პრემია. 1942 წელს გამოქვეყნდა გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის — გ. ნერეთლის „არმაზის ბილინგვა“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და სხვა ნაშრომები. 1943 და 1944 წლებში კვლავ განახლდა არქეოლოგიური გათხრები მცხეთის სამთავროსა და კოლხეთის დაბლობზე. ომის წლებში სავსე საექსპედიციო სამუშაოებისთვის საჭირო მატერიალური სახსრების უქონლობის პირობებშიც ქართველი ეთნოგრაფები აგრძელებდნენ მასალების მოპოვებით სამუშაოებს. ომის წლებში შეწყდა გამოცემა კრებულისა „მასალები კავკასიის ეთნოგრაფიისათვის“. ეთნოგრაფიული ექსპედიციები კვლავ განახლდა 1944 წლის ივნისიდან გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით სვანეთში, გურიაში, ხევსურეთსა და გუდამაყარში.

ომის წლებში გამოქვეყნდა ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომები დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკისა და სხვა დარგებში.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა აფხაზეთისა და ყოფ. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

**ომის პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ განიცადა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებანი, გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ქსელი.** 1945 წლის მაისისთვის აკადემია აერთიანებდა 40 სამეცნიერო დაწესებულებას. 1941 წლის მარტში შეიქმნა გეოგრაფიის, სატყეო, მემინდვრეობისა და თელავის მევენახე-

ობა-მეღვინეობის ინსტიტუტები.

1943 წელს შეიქმნა შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები, 1944 წელს ეკონომიკის ინსტიტუტი, სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

1945 წლის მარტში შეიქმნა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტები.

გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რიცხვი. თუ 1941 წელს აკადემიაში მუშაობდა 337 მეცნიერ-თანამშრომელი, მათგან 16 აკადემიკოსი, 1945 წელს მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა 542-მდე, მათ შორის აკადემიკოსი იყო 29, ნევრ-კორესპოდენტი — 13, 1944 წელს აკადემიაში ნამდვილ ნევრად აირჩიეს ნ. ბერძენიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, შ. ნუცუბიძე, ვ. თოფურია, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების განყოფილებაში თ. დავითაია, ალ. დიდებულიძე, გრ. მუხაძე, ალ. ნათიშვილი, გრ. ნულუკიძე, ალ. ჯავახიშვილი; სოფლის მეურნეობის დარგში — ს. ჩოლოყაშვილი; აკადემიის საპატიო ნევრად — ვ. ვორონინი. აკადემიის ნევრ-კორესპოდენტად არჩეულ იქნა 13 მეცნიერი.

\*\*\*

ქართველი ხალხის გმირული და რომანტიკული მხატვრული შემოქმედება მკვეთრად გამოვლინდა ომისდროინდელ პოეზიასა და პროზაში, დრამატურგიაში.

ომის პირველსავე დღეებში დაინერა გ. ტაბიძის „ყველა საომრად გავიდეთ“, გ. ლეონიძის „ჰეი, არწივნო!“ ი. გრიშაშვილის „ჩვენს დებს და დედებს“, რომლებშიც გამოხატულია მონოდება სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლისა და გამარჯვების რწმენაც.

ომში დაღუპულ მეომრებს მიეძღვნა გ. ტაბიძის ლექსები „უცნობ მეომართა სამარე უღელტეხილზე“, ს. ჩიქოვანის „სიზმარი“. გრ. აბაშიძის, ა. მაშაშვილის (მირცხულავას), კ. კალაძის, ლ. ასათიანის და სხვა ავტორთა ლექსები ეძღვნებოდა წარსულის გმირთა გახსენებას, რომელთა თავდადებული გმირობა სამშობლოსათვის



სამაგალითო იყო ყოველი მებრძოლისათვის.

მრავალი ქართველი პოეტი იარაღით ხელში ებრძოდა ფაშისტ ოკუპანტებს. რ. მარგინის ლექსების ციკლში გამოხატულია მძიმე ფრონტული ცხოვრების რომანტიკა, შ. ამისულაშვილის ლექსებში — მტერზე გამარჯვების ოცნება.

ომში გამირულად დაღუპულ მირზა გელოვანის ლექსი „ფრონტი“, „განგაში“, „ბრძოლის წინ“ და სხვ. პოეტისა და მეომრის ერთგვარი აღსარებაა. მ. გელოვანის ბედი გაიზიარეს ახალგაზრდა პოეტებმა სევერიან ისიანმა და გიორგი ნაფეტვარიძემ.

ეროვნული პოეზიის მრავალ ლირიკულ ნაწარმოებს დაედო საფუძვლად კავკასიის დაცვის თემა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს იმ დროის ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში ირ. აბაშიძის ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“. მასში გაცოცხლებულია ბრძოლის ჟინით ანთებული ვაჟკაცის გრძნობები.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ქართულ პოეზიაში ფართოდ განვითარდა ქართული ბალადა, რომელსაც მდიდარი ტრადიცია გააჩნდა ფოლკლორულ-პოეტურ შემოქმედებაში. კავკასიისათვის ბრძოლის თემას ეხება კ. კალაძის ბალადები „ქართული ბალადა“ და „ბუქურაული“ (1942).

აღსანიშნავია გრ. აბაშიძის პოეტური ეპოსი „უძლეველი კავკასიონი“ (1943), მისი მეორე პოემა „გიორგი მეექვსე“ მიმართავდა ქრონოლოგიურად დაშორებულ ისტორიულ პარალელს და ამით შთააგონებდა მეომრებს ბრძო-

ლას ფაშიზმის წინააღმდეგ.

ომის წლებში დაინერა პოემები ისტორიულ თემაზე: ს. ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ (1944) და ლ. ასათიანის „ბასიანის ბრძოლა“, ალ. გომიშვილის ლირიკული პოემა „დარიალი“.

ომის დიდ სიძნელეებს და ადამიანების გმირობას არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც ეხებოდა ქართული პროზაიკული ნაწარმოებები: შ. დადიანის მოთხრობები „თამბაქო“ და „ამბები ფრონტიდან“. ომის წლებში გამოქვეყნდა ლ. ქიაჩელის მოთხრობა „მამა და შვილი“ და რომანის „მთის კაცი“ ცალკე ფრაგმენტები; კ. ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდამოხუცი მეზადური“, რ. გვეტაძის „მართალი ნოველები“, გ. ნატროშვილის მოთხრობები და ნარკვევები „დასავლეთის ფრონტზე“, ს. კლდიაშვილის მოთხრობა „ერთი ღამის ამბავი“ და სხვ.

მოქმედ არმიაში ბრძოლების მონაწილე და გაზეთების კორესპონდენტებად მყოფ ქართველ პროზაიკოსთა — დ. შენგელაიას, გ. ნატროშვილის, ელ. ზედგენიძის, ან, ლომიძის და სხვათა ნაწარმოებებს საფუძვლად დაედო ფრონტული შთაბეჭდილებანი.


ომის პერიოდში მრავალი ქართველი პროზაიკოსი — კ. გამსახურდია, ალ. ქუთათელი, მ. მრევლიშვილი, გ. შატბერაშვილი და სხვ. მიმართავდნენ ისტორიულ წარსულს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. გამსახურდიას ტეტრალოგიის — „დავით აღმაშენებლის“ პირველი ტომის გამოქვეყნება. რომანი ასახავს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშ-

ვნელოვანეს პერიოდს, როდესაც ყალიბდებოდა ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფო.

ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აკ. ბელიაშვილის რომანს „ბესიკი“, რომლის დიდი ნაწილი ომის წლებში დაინერა, ა. ქუთათელის ოთხტომიანი რომანის მესამე ნიგნს „პირისპირ“.

კავკასიის დაცვის ეპოპეას გამოეხმაურა ს. კლდიაშვილი პიესით „ირმის ხევი“ (1944), რომელიც ომის თემაზე დანერგილი ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. შინდაბრუნებულის ფრონტულ ცხოვრებას მიეძღვნა გ. შატბერაშვილის პიესა „ფიქრის გორა“. ისტორიულ თემატიკაზე დაინერა ს. შანშიაშვილის პიესები „კრწანისის გმირები“ და „იმერეთის ღამეები“.

ომის წლებში საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა საქართველოს თეატრალური ცხოვრება, რაც პირველ ყოვლისა თეატრების რეპერტუარში ანტიფაშისტური, სამხედრო-პატრიოტული და ისტორიულ-საგმირო თემატიკის შემოტანაში გამოიხატა. ამასთან შემცირდა თეატრების რიცხვი 48-დან 39-მდე, რაც გამოიწვია ახალგაზრდა მსახიობთა და თეატრის მუშაკთა განწვევამ არმიაში. მაგრამ ამის მიუხედავად წამყვან — რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებთან ერთად ა. გრიბოედოვის სახ. რუსულმა, ს. ჭანბას სახელობის აფხაზურმა, ს. შაუმიანის სახელობის სომხურმა, კ. ხეთაგუროვის სახელობის ოსურმა, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, გორის და თელავის თეატრებმა ომის წლებში განახორციელეს მთელი რიგი ქართული პიესების დადგმები: გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ცის ქვეშ“ და „პარტიზანები“, გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“, ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“ და „კრწანისის გმირები“, ლ. გოთუას „ერეკლე მეორე“ და „უძლეველი“, ა. სამსონიას „ბაგრატიონი“, მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“, აგრეთვე, რუსი ავ-





ტორების: ს. სელვინსკის „ბრუსილოვი“, ა. რაევსკის და ს. კაცის „ოლეკო დუნდიჩი“, ვ. კატაევის „ჯარისკაცი ბრუნდებოდა ფრონტიდან“ და სხვ.

თბილისში იყვნენ ევაკუირებულინი გამოჩენილი რუსი და უკრაინელი თეატრალური მოღვაწეები ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ. კაჩალოვი, ო. კნიპერ-ჩეხოვა, მ. თარხანოვი, ვ. შევენკო, ე. მასალიტინოვა, ვ. კლიმოვი და სხვები.

ომის წლებში რესპუბლიკის თეატრებთან ჩამოყალიბდა სამხატვრო ბრიგადები, რომლებიც სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო, მეჩონგურე ქალთა ანსამბლებთან, მომღერალთა სხვა გუნდებთან ერთად მართავდნენ საშეფო კონცერტებს ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში, ბევრი თეატრი გამსვლელ წარმოდგენებსაც მართავდა სამხედრო შენაერთებსა და ევაკოჰოსპიტლებში.

1944 წელს განახლდა თეატრის შენობების აგება ქუთაისში, სოხუმში, ზესტაფონში. ომის ბოლოსათვის გაიზარდა თეატრალური დასების რიცხვი. 1945 წელს საქართველოში 41 თეატრი იყო.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ახალი ქართული ოპერები — ო. გოკიელის „პატარა კახი“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“.

ომის წლები ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებით, კომპოზიტორთა ინტენსიური შემოქმედებით ხასიათდებოდა. შეიქმნა მრავალი საგუნდო სიმღერა, რომანსი, რომელთა ავტორები იყვნენ დ. არაყიშვილი, ა. მაჭავარიანი, რ. გაბრიჭაძე, ა. ჩიმაკაძე, ვ. ცაგარეიშვილი, გრ. კოკელაძე, ი. ტუსკია, ა. ბუკია, შ. და ო. თაქთაქიშვილები და სხვ. რომანსებიდან გამოირჩევა ა. მაჭავარიანის „არ დაიდარდო დედაო“ (გ. ლეონიძის ტექსტზე). კავკასიის გმირულ დაცვას მიეძღვნა გუდიაშვილის კანტატა „კავკასიონი“ (1944), ნ. ნარიმანიძის „საბჭოთა არმიასი გაცილება“, რომელიც 1943 წ. შესრულდა მოსკოვში.



ომის თემა აისახა შ. მშველიძის პირველ და მეორე სიმფონიაში (1943-1944); დაინერა ნ. გუდიაშვილის პირველი და კ. მეღვინეთუხუცესის მეხუთე სიმფონიები; 1944 წ. ი. ტუსკიამ შექმნა ერთნაწილიანი სავიოლინო კონცერტი.

ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის თემა აისახა ოპერებში ვ. გოკიელის „პატარა კახი“ (1943 ა. ნერეთლის პოემის მიხედვით) და ა. მაჭავარიანის „დედა და შვილი“ (1945, ი. ჭავჭავაძის მიხედვით).

**ქართველი კომპოზიტორები ქმნიდნენ მუსიკალურ წარმოებებს კინოფილმებისა და სპექტაკლებისათვის.**

აღსანიშნავია, რომ ომის წლებში იმართებოდა თბილისში მცხოვრები ევაკუირებული ცნობილი რუსი კომპოზიტორების — ს. პროკოფიევის, ნ. მიასკოვსკის საავტორო საღამოები, დირიჟორების ა. გაუკის და ა. სტასევიჩის, მომღერალ ნ. დორლიაკის, პიანისტ ა. გოლდენვეიზერის, მსახიობ კ. ერდელის, მევიოლინე ბ. სიბორის კონცერტები. თბილისში იყვნენ ევაკუირებული კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრების სოლისტები: მ. გრიშკო, ი. კიპორენკო-დამანსკი, ნ. ჩასტი, აგრეთვე მხატვარი ი. გრაბარი, მწერალი ვ. ვერესეევი, არქიტექტორი ვ. ვესნინი.



საუკეთესო საშემსრულებლო ძალები და მხატვრული კოლექტივები მონაწილეობდნენ 1944 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალურ დეკადაში. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ა. ბალანჩივას პირველმა სიმფონიამ, რომელიც შესრულდა ო. დიმიტრიადის დირიჟორობით.

ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდა 1944 წლის მაისში მოსკოვში ქართული ხელოვნების სალამოზე. ქართული მუსიკალური კონცერტები ჩატარდა მოსკოვსა და ლენინგრადში 1945 წლის თებერვალ-მარტში.

ომის ფრონტებზე გამირობა და თავდადება, აგრეთვე, ზურგში დიდი შემოქმედებითი შრომა აისახა ომის დაწყებისთანავე ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების ნაწარმოებებში. 1941-42 წლებში ქართველმა მხატვრებმა შექმნეს მხატვრული პანოები, პორტრეტი, პლაკატი, კარიკატურა, სატირის „ფანჯრები“. 100-ზე მეტი მხატვრისა და მოქანდაკის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი 1941 წელს მოწყობილ ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების გამოფენაზე, რომელზეც საუკეთესოდ იქნა აღიარებული ელენე ახვლედიანის „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, თამარ აბაკელიას „თბილისის დაცვა XVII საუკუნეში“, ს. მაისაშვილის „გ. სააკაძე ბრძოლის ველზე“ და სხვ.

**სამამულო ომის თემას მიუძღვნეს თ. აბაკელიამ ქანდაკება „შურს ვიძიებთ“, ვ. თოფურიძემ „პარტიზანი“, ირ. თოიძემ პლაკატი „დედა სამშობლო გვიხმობს“, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.**

1942 წელს თბილისში დაიდგა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის — შოთა რუსთაველის ძეგლი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი).

ომის წლებში შეიქმნა იაკობ ნიკოლაძის მიერ გენერლების: პ. ჩანჩიბაძისა და კ. ლესელიძის სკულპტურული პორტრეტები, თ. აბაკელიას ქანდაკებები „კავკასიის დაცვა“ და „დაჭრილი პარტიზანი“, მ. თოიძის ფერწერული სურათი „წერილი ფრონტიდან“ და „თბი-

ლისელი ქალები ამზადებენ საჩუქრებს ფრონტზე გასაგზავნად“, ი. თოიძის ტილოები „ფაშისტების მხეცობა“ და „დავიცავთ კავკასიას“, უ. ჯაფარიძის „დედის ფიქრები“, კ. სანაძის „გმირი ჭაბუკი“. მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიაღწიეს მხატვრებმა: ე. ახვლედიანმა, ქ. მაღალაშვილმა, გ. ჯაშმა, შ. მამალაძემ, რ. მირზაშვილმა და სხვ. მხატვარ-დეკორატორებმა ს. ვირსალაძემ, ი. გამრეკელმა, ს. ქობულაძემ, ვ. სიღამონ-ერისთავმა და სხვ.

არაერთი ქართველი მხატვარი იბრძოდა ფრონტზე, მათ შორის ა. გიგოლაშვილი, გ. ჯაფარიძე, ა. კოპალიანი, დ. თავაძე, გ. ვარაზაშვილი — „კაპიტანი მონტი“, როგორც ეს მას იტალიელმა პარტიზანებმა შეარქვეს.

ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ ომის წლებში ქართველი კინემატოგრაფისტები, 1942 წელს ომის თემაზე შეიქმნა კინოფილმები „ხიდი“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი), გამოვიდა ეკრანზე ფილმის „გიორგი სააკაძის“ პირველი სერია, მეორე სერია კი 1943 წელს ამ კინოეპოპეის რეჟისორს მ. ჭიაურელს და მთავარი როლების შემსრულებლებს ა. ხორავას და ვ. ანჯაფარიძეს მიენიჭათ სტალინური პრემია.

ომის წლებში თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა ფილმი „ის კვლავ დაბრუნდება“ (რეჟ. ნ. შენგელაია და დ. ანთაძე) და მუსიკალური კინოსურათი „ჯურღალის ფარი“ (რეჟ. ს. დოლიძე და დ. რონდელი), რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, აღინიშნა სტალინური პრემიით. 1945 წელს ეკრანზე გამოვიდა „ჭირვეული მეზობლები“ (რეჟ. შ. მანაგაძე) ხალხის თავდადებული შრომის შესახებ ომის წლებში.

გაფართოვდა დოკუმენტური კინოფილმების წარმოება, კინოდოკუმენტალისტებმა კინოფორზე ასახეს ქართული 414-ე, 224-ე მსროლელი და 242-ე სამთო მსროლელი დივიზიების საბრძოლო გზა კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე. დოკუმენტური ფილმები: „კავკასიონი“ (რეჟ. ლ. ვარლამოვი და შ. ჩაგუნავა), „გენერალი ლესელიძე“ (რეჟ. კ. გრძე-

ლიშვილი), „ფაშისტი მხეცების კვალდაკვალ“ (რეჟ. შ. ჩაგუნავა), „ომი ზღვაზე“ (რეჟ. შ. ხომერიკი), „ჩანჩიბაძის გვარდიული არმია უკანასკნელ ბრძოლებში“ (რეჟ. გ. ასათიანი), „ჩვენი ჯარების დარტყმა ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან“ (რეჟ. ი. კანდელაკი) და ო. დეკანოსიძის და ვლ. კილასონიას დოკუმენტური ფილმები ყირიმის ბრძოლების შესახებ.

თბილისის კინოსტუდიამ ომის წლებში ფრიად დიდი მოცულობის სამუშაოები განახორციელა, რისთვისაც იგი 1944 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

მართალია, ომმა მოახდინა გავლენა საგამომცემლო საქმეზე, პრესაზე, გამოიწვია მათი მნიშვნელოვანი შეკვეცა, ომის წლებში იბეჭდებოდა როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური და საბავშვო წიგნები. ომის პირველ წლებში შეწყდა ზოგიერთი გაზეთის გამოსვლა, შეიკვეცა ზოგი გაზეთის ფორმატი, მაგრამ ომის ბოლო წლებში აღდგენილ იქნა ადრინდელი სტანდარტები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სამხედრო შენაერთებში, კერძოდ, 414-ე, 406-ე, 224-ე, 286-ე, 292-ე და 349-ე ქართულ ეროვნულ დივიზიებში გამოდიოდა ე. წ. ფრონტული გაზეთები ქართულ ენაზე. საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები ომის წლებში, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტია ყოველი შემოქმედისაგან მოითხოვდა სახელმწიფო დაკვეთების შესრულებას, რითაც მათი შემოქმედებითი ინტერესები მკაცრ ჩარჩოებში იყო მოქცეული, უმძიმეს ყოფით პირობებში გაორკეცებული ენერგიით იღვწოდნენ ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, რაც აისახა ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების არაერთი შესანიშნავი ნაწარმოების შექმნაში.

**მ. ნათქაფაძე,**

**ა. ღაუშვილი,**  
საქართველოს უახლესი ისტორია, თბ. 2004 წ.



ნიკო ჯავახიშვილი

# «ქართველი შინდლერი»

(იხაჟება შაოქლახით)

უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გერმანიის ტყვეთა ბანაკებში თავმოყრილ ათეულათასობით ქართველ სამხედრო ტყვეთა ფიზიკურად გადარჩენა, რაც გერმანიის სამსახურში მდგარმა ქართველმა ემიგრანტებმა ამ ქვეყნის მესვეურთა დახმარებით მოახერხეს.

ემიგრანტთა შორის იყვნენ ისინიც, ვინც გერმანელთა ნდობით სარგებლობდნენ და პოლიტიკური გავლენითა და მაღალი ავტორიტეტით გამოირჩეოდნენ:

1. აღმოსავლეთის (ანუ „ვანზე-ეს“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, **დოქტორი მიხეილ ახმეტელი**. გერმანიაში საქართველოს ელჩის — ვლადიმერ ახმეტელის ძმისწული. მეგობრობდა III რაიხის იდეოლოგ ალფრედ როზენბერგთან;

2. „ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის“ დირექტორი, ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი, **დოქტორი ალექსანდრე ნიკურაძე**. მეგობრობდა როზენბერგსა და არნო შიკედანცთან, რომელსაც გერმანიის ხელისუფლება საქართველოს მომავალ გენერალ-გუბერნატორად ამზადებდა;

3. მდიდარი ქართველი **ექიმი გიორგი მაღალაშვილი**;

4. **შალვა მაღლაკელიძე**, თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი. II მსოფლიო ომის დაწყებამდე დაინიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველად, ხოლო 1944 წლის მაისში მიენიჭა ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება. ახლო ურთიერთობა ჰქონდა „აბვერის“ ხელმძღვანელ ადმირალ ფრიდრიხ ვილჰელმ კანარისთან.

გერმანელთა ნდობით ასევე სარგებლობდა „აბვერისა“ და „გესტაპოს“ თანამშრომელი **მიხეილ კედია**. მამამისი მექი კედია, დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმს ხელმძღვანელობდა.

თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, **მიხეილ კედიას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „ქართველი შინდლერი“**.

1940 წლის შემოდგომაზე, ოკუპირებულ პარიზში გერმანიის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელმა გააუქმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა, ხოლო ოფისის მდივანი დააპატიმრა. აუცილებელი გახდა, სასწრაფოდ გამოენახათ ისეთი ვინმე, ვინც გერმანიის ხელისუფლების წინაშე შეძლებდა ქართული ემიგრაციის ინტერესთა დაცვას და ეს მისია ქართულმა ემიგრაციამ დააკისრა მიხეილ კედიას. იგი დიდხანს ცხოვრობდა გერმანიაში. მის უახლოეს მეგობართა შორის იყვნენ: გერმანიის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში, გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი; როზენბერგის ხელმძღვანელობით მოქმედი აღმოსავლეთის სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გერჰარდ ფონ მენდე; შშ-ის („დამცავი რაზმი“ — გასამხედროებული ორგანიზაცია ნაცისტური პარტიის შემადგენლობაში) კავკასიური დეპარტამენტის უფროსი ერის ენგელჰაუპტი. საგულისხმოა, რომ სამივე მათგანი დაკავშირებული იყო 1944 წელს ჰიტლერის წინააღმდეგ მონყობილ შეთქმულებასთან.

საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ნაცისტებმა ამ ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ებრაელებიც დააპატიმრეს. მათ შორის იყო დამოუკიდებელი **საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწვე-**

ლობის მინისტრის ყოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი. ის იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ქართული ეროვნული საგანძურის ევაკუაციისა საფრანგეთში. მისი მოხერხებულობის წყალობით, 1922 წელს საქართველოს დევნილმა მთავრობამ ხელსაყრელ ფასში შეიძინა პარიზთან ახლოს, ლევილში მდებარე მამული და ორსართულიანი სახლი.

1940 წელს, როდესაც საფრანგეთში შეჭრილ გერმანელ ოკუპანტთა შიშით, პარიზელთა ნაწილი ტოვებდა მშობლიურ ქალაქს, იოსებ ელიგულაშვილმა სოლიდური თანხა გაიღო, რათა ემოვა ავტომანქანა საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის — ნოე ჟორდანიას გადასარჩენად.

**ქართველ ემიგრანტთა ჩარევითა და მიხეილ კედიას მოხერხებულობის წყალობით, გერმანელებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს იოსებ ელიგულაშვილი. ამის შემდეგ იოსები მიხეილთან ერთად იბრძოდა ქართველ ებრაელთა გამოსახსნელად.**

სამხედრო კომენდანტ დოქტორ შტენგერს გაეგზავნა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მემორანდუმი. მასში გატარებული ამგვარი აზრი: **...ქართველებსა და ებრაელებს საერთო აქვთ ენა, ცხოვრების წესი, ეროვნული წეს-ჩვეულებანი, რის გამოც ისინი არიან ქართველი პატრიოტები, ნაციონალისტები და ვერაფრით ვერ გაიზიარებენ ვერც კომუნისტთა ინტერნაციონალისა და ვერც სიონისტურ მისწრაფებებს.**

ხსენებული მემორანდუმი ელიგულაშვილმა მეცნიერული არგუმენტებითაც შეამაგრა და აღნიშნა:

1. ქართველები არიან დოლიქოკეფალები (გრძელთავიანები), ებრაელები — ბრაქიკეფალები (მოკლეთავიანები). ვინაიდან ქართველი



ებრაელებიც დოლიქოკეფალები არიან, ისინი ეთნიკურად არიან ქართველები და არა სემიტი ებრაელები; 2. ქართველი ებრაელები წარმოიშვნენ კავკასიაში გადასახლებულ ქალდეველთა იუდაიზაციის შედეგად; 3. თავის ქალის ფორმის გარდა, ქართველ ებრაელებს ქართველებთან აკავშირებთ: ცხვირის ინდექსი, ნიკაპის პროპორციები, საერთო ფიზიკური კონსტიტუცია.

ეს არგუმენტაცია დასაბუთებულად მიიჩნეის ნაცისტმა მაღალრინოსნებმა, რომლებსაც ამაში დაბეჯითებით არწმუნებდნენ ქართველი კოლეგებიც (ძირითადად, მიხეილ კედია, გიორგი მაღალაშვილი და გივი გაბლიანი) და **ნაცისტებმა გააუქმეს ქართველ ებრაელთა დეპორტაციის განკარგულება**. ამის წყალობით, 70-მდე ქართველი ებრაელი სიკვდილს გამოჰგლიჯეს ხელიდან. მიხეილ კედიას მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტებით სიკვდილს გადაარჩინეს არაქართული წარმოშობის ებრაელებიც.

იოსებ ელიგულაშვილის ღვაწლს ასე აფასებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი: **„ებრაელობა იოსებისგან მოელოდა შველას: მან მოახერხა ქართული ემიგრაციის ერთსულოვნად დაინტერესება ქართველი ებრაელების გადარჩენით და მათი საკითხი საქართველოს ისტორიას დაუკავშირა. იოსების ამ ბრწყინვალე საქმეს ვერ დაივიწყებს ვერც ქართველი ებრაელობა და ვერც საქართველოს ისტორია, რადგან ამ საქმით აღდგა უცხოელების თვალში საქართველოს ისტორიული ტრადიცია — ყველა ერისა და სარწმუნოების პატივისცემისა და დაცვის. თვითონ ასე აფასებდა ამას და ამბობდა ხოლმე: „ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებთ; მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ქართველი დაგვეხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდებაო!..“**

მიხეილ კედიას დაეკისრა კონტროლი ქართველი ებრაელებისათვის პირადობის მოწმობის გაცემა-

ზე. ამისთვის შექმნა ქართველ ებრაელთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში იოსებ ელიგულაშვილი ჩაუყენა. სწორედ აღნიშნული კომიტეტისა და „ქართველი ემიგრანტების საქმეთა სამმართველოს“ თანხმობის შემთხვევაში, გაცემდნენ „ეროვნების დამადასტურებელ მოწმობას“. ამ გზით უამრავი ქართველი ებრაელი გადაურჩა რეპრესიებს.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ, საფრანგეთის ებრაელობამ, მთავარი რაბინის მეთაურობით, სასამართლო პროცესზე ერთხმად დაუჭირა მხარი მიხეილ კედიას.

გერმანიის დამარცხების შემდეგ, მიხეილ კედია ჟენევაში გადასახლდა. 1946 წლის 3 მაისს ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ: **„გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის განმავლობაში, მე შევძელი უამრავი ქართველი და სხვა ეროვნების ებრაელი მეხსნა ზოგიერთი გერმანელი ფუნქციონერის დასჯისაგან... ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ამის გაკეთება შევძელი მხოლოდ სამი ჯენტლმენის შემწეობით. ესენი არიან: გიორგი მაღალაშვილი, მიხეილ ალშიბაია და გივი გაბლიანი, რომლებსაც ამ საკითხზე ჩემნაირი შეხედულება ჰქონდათ და დახმარებაც გამიწიეს“.**

1944 წლის 16 ოქტომბერს, პარიზის მთავარი რაბი იულიუს ვაისი მიხეილ კედიას სწერდა: **„ბატონი ელიგულაშვილისაგან შევიტყვეთ იმ დიდი სამსახურის შესახებ, რაც გაგინევიათ ებრაული აღმსარებლობის მქონე თქვენი თანამემამულეებისათვის, დიდსულოვანი დახმარებით რასისტული კანონისაგან მათი გადარჩენით. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი მადლობა და დიდი პატივისცემა მათი კეთილდღეობის უანგაროდ დაცვისათვის“.**

პარიზში მოქმედი ებრაული კულტურის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი ი. მოსერის მიერ 1944 წლის 18 ოქტომბერს მიხეილ კედიასადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: **„...თქვენ არა მარტო გაილაშქრეთ თქვენი ებრაელი მოქალაქეების დასაცავად, არამედ უფრო მეტიც — წარმატებით შექმლით გეხსნათ მრავალი მეგობარი საკონცენტრაციო ბანაკებიდან. თავს მოვალედ მივიჩნევთ, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ, გამოვხატოთ თქვენდამი უდიდესი მადლიერება“.**

„მოსეს რჯულის ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტი იოსებ ელიგულაშვილის მიერ 1944 წლის 15 აგვისტოს მიხეილ კედიასადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: **„...ჩვენ არ მოვტყუვდით რწმენაში, როცა თქვენში დავინახეთ ქართველი პატრიოტი, რომელიც ოკუპაციის დროს ჩვენს სიცოცხლესა და ინტერესებს დაცავდა. გმადლობთ მამაცობისა და იმ შეუპოვრობისათვის, რაც გამოიჩინეთ ანტიებრაული კანონმდებლობისაგან ებრაელთა გამოსახსნელად. ამას გარდა, ებრაელების შეპყრობისას დაუყოვნებლივ აკეთებდით ყველაფერს მათ გასათავისუფლებლად. თქვენს ასეთ ქცევას არ გავუკვირვებოვართ იმიტომ, რომ ვიცით თქვენი ერის ღირსეული ტრადიციების შესახებ. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით მთელი გულით და გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი საქმეები ყოველთვის წარუშლელად დარჩება ჩვენი და ჩვენს თანამოდმე ებრაელთა მეხსიერებაში“.**

მიხეილ კედიას კი, რომელმაც გადაამწყვეტი როლი შეასრულა მრავალი ქართველი ებრაელის სიცოცხლის გადარჩენაში, თამამად შეიძლება ეწოდოს **„ქართველი შინდლერი“.**

**P.S. სტივენ სპილბერგის ფსიქოლოგიურმა დრამამ „შინდლერის სია“ შვიდი ოსკარი დაიმსახურა.**

სიუჟეტი ერთდროულად მძიმეცაა და გასაოცარიც, თუ როგორ შეძლო ერთმა გერმანელმა მენარმემ დაღუპვისგან ეხსნა 1200-მდე ებრაელი ჰოლოკოსტის დროს მეორე მსოფლიო ომის წლებში. მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ თურმე ქართველებსაც გვყოლია „ჩვენი შინდლერი“.



ომარ ქეშელაშვილი:

# თუ აბრარულ მესნიერებს ვერ გადავარჩენთ, ბედის ანაბარად დარჩება ჩვენი სოფელი

მსოფლიოში ამჟამად „ცოდნის ეკონომიკის“ ხანაა. ეს მიმართულება, რომელსაც „ინოვაციურ ეკონომიკასაც“ უწოდებენ, დღითიდღე მძლავრობს და სულ უფრო მეტ წახნაგებს იძენს. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოების შემდგომი განვითარებისა და მათთვის გლობალიზაციის საერთო სივრცეში ადგილის შენარჩუნებისა და დამკვიდრების გასაღები სწორედ ცოდნის ეკონომიკაში დევს.

მეცნიერების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია ბიზნესის განვითარება. ბიზნესის დღევანდელი მიღწევები განპირობებულია სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რომლის შედეგადაც შეიქმნა ბიზნესის სრულიად ახალი მიმართულებები. დასაბამი მიეცა ახალ ტექნოლოგიებს, ახალი პროდუქტის გამოშვებას, ახალ და სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კომპიუტერულ და რობოტიზებულ სისტემებს, მოდერნიზებულ მენეჯმენტს და ა. შ.

ბიზნესის ორგანიზებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის (ბაზრის — ფართო გაგებით) მოთხოვნების შესწავლას და კვლევის ისეთ ორიენტაციას, რომელიც დააკმაყოფილებს და გააჯერებს ამ მოთხოვნებს. ბოლო ხანს საქართველოში სწორედ ამ კუთხით წამოიჭრა მწვავე პრობლემა, რომელსაც ქვეყნის განვითარებისთვის მიწის ყიდვა-გაყიდვის მწვავე პრობლემაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

გამოყენებითი მეცნიერების წინსვლისა და წარმატების გარეშე მოუგვარებელი დარჩება საქართველოსათვის ისეთი დიდი და გადამწყვეტი როლის მქონე დარგის განვითარება, როგორცაა სოფლის მეურნეობა.

ამ დარგს დღეს სჭირდება ახლე-

ბური მიდგომა, პროგრესული და ზონურად დიფერენცირებული მაღალი ტექნოლოგიები, მანქანათა სისტემა, აგროტექსერვისი, მარკეტინგული მოტივაციებისა და სიტუაციის შესაბამისი მენეჯმენტი, სასურსათო უსაფრთხოებაზე მორგებული, სწორი, ყოველმხრივად შეჯერებული სტრატეგია.

ყოველივე ამის უზრუნველყოფა და მიღწევა ჰაერში გამოკიდებული რჩება, რადგან **ალარ არსებობს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამ ინსტიტუტების ვითომდა ნებაყოფლობით მიერთება აბრარულ უნივერსიტეტთან, რომელიც უმჯობეს კერძო სამართლის იურიდიულ პირად მოგვევლინა, ბეჭეზე დასცა კვლევითი სამიანობა. ამ უნივერსიტეტმა მიერთებულ კვლევით ინსტიტუტებში წინასწარ გამიზნული და ჩაფიქრებული მეთოდებით ჯერ შტატები შეამცირა, შემდეგ კი საერთოდ გააუქმა კვლევითი სფერო,** იმის მომიზეზებით, რომ კერძო უნივერსიტეტს ეს ხელს აღარ აძლევდა და მისთვის არ იყო გამართლებული. რა გაენყოფა, საბაზრო ეკონომიკაა, რომელიც ყველას თავისებურად ესმის.

ტკივილიან მოგონებად რჩება

ამ პროცესის ის შედეგი, რომ შეწყდა (მცირე გამოწვევის გარდა) კარგად აგებული და მწყობრ სისტემაში მოქცეული მეცნიერული მუშაობა სოფლის მეურნეობისთვის ისეთ აუცილებელ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა: მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, აგროქიმია, მელიორაცია და ირიგაცია, მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, მინათმოქმედება, მემინდვრეობა, მეხილეობა და მევენახეობა, მეტყევეობა, მეცხოველეობა და ვეტერინარია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია და სხვ.

საკვირველია, რატომ დაუშვა საქართველოს მთავრობამ ყოველივე ეს (ძველ მთავრობას რას გაუგებდი, როდის რას მოიმოქმედებდა), მაგრამ ეს უკვე ისტორიაა.

**ვანი, რომ გალა ალარ გვეყოლება უმალესდამთავრებული სწავლული აგრონომი, მესილი, მევანახე, ნიადაგმცოდნე, აგროქიმიკოსი, მცენარეთა დამცველი, მექანიზატორი, აგროკომომისტი და ა. შ. ამის გაგრძელება იქნება ის, რომ, აგრეთვე, აღარ გვეყოლება ამ დარგების სფეროების მეცნიერი მკვლევარები. კვლავ კადრს ამ სფეროებში მოღვაწეობის საშუალება არ აქვს, ახალი კადრის აღზრდა კი ვერ ხერხდება.**

აქედან გამომდინარე, **საქართველოს მთავრობის გასაგონად უნდა ითქვას, რომ პრინციპულად დგება საკითხი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჯერ კიდევ მძლავრ სისტე-**



**მასთან, სახელმწიფო დაწინააღმართვის საფუძველზე, აღდგინოს ოპტიმალური სტრუქტურის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მიეცეთ მათ საქმიანობის საშუალება ახლებურ, პროგრესულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.** ეს კარგი საქმე

ლოგიკურად მოითხოვს ამავე აკადემიასთან სადისერტაციო საბჭოს შექმნასაც, რათა გზა გაეხსნას ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდას. ახლა ამ მიმართულებით ჩავარდნა გვაქვს.

აგრარული მეცნიერების გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ არსებობს. თუ იგი ხელიდან გაგვიფრინდა, ჩათვალეთ, რომ მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე, ბედის ანაბარად დარჩება ჩვენი სოფელი.

დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაუქმება და ამ მიმართულებით კვლევითი პროცესის შეჩერება ადვილი იყო და ეს, ხელის ერთი მოსმით გაკეთდა კიდევ, მაგრამ ახლა ამ საქმიანობის დაბრუნება, ახალ კალაპოტში ჩაყენება და ახლებურ, პროგრესულ მეთოდოლოგიაზე აწყობა-მორგება რთული და ართუ ხანმოკლე პროცესი იქნება. როგორმე მაქსიმალურად და მაღალი უკუგებით უნდა გამოვიყენოთ ძველი გამოცდილი კადრი, თვალსაჩინო მეცნიერ-მკვლევართა ჯერ კიდევ მოღვაწე მცირე ჯგუფი, თუ არადა, დაუძლეველი პრობლემისა წინაშე აღმოვჩნდებით.

ჩვენს მეცნიერებს გადმოცემით ახსოვთ და კარგად იცინან. როგორ საზეიმო ვითარებაში და ამაღლებული განწყობით გამოეყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გასული საუკუნის 30-იან წლებში აგრონომიული ფაკულტეტი და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტმა სახელოვანი გზა განვლო 70 წლის განმავლობაში და წარუშლელი კვალი დაამჩნია სოფლის მეურნეობის განვითარებას. აქ მოღვაწე დიდმა მეცნიერებმა დაასაბუთეს დასავლეთ საქართველოს პირობებში (ნი-

თელმინა ნიადაგებზე) ისეთი ახალი დარგების განვითარების შესაძლებლობა, როგორცაა მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, რამაც სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციას სრულიად ახალი პროფილი შესძინა.

ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები: **დ. ბაღვაშიანი, ი. ლომოური, ლ. დეაპარაძე-ვიჩი, ს. დურმიშიძე, მ. საბაშვილი, ვ. გულისაშვილი, ნ. სომიშვილი, ვ. მახალაძე, ი. ბათიაშვილი, ა. მენაღარიშვილი, ი. ჯაში, ვ. ჭიანჭი** და სხვები. მათ მიერ დაწყებული საშვილიშვილო საქმე მივიწყებას არ უნდა მიეცეს და ახალი რეალობის პირობებში ინტენსიურად გაგრძელდეს.

ამიტომაც პრინციპულად უნდა დაისვას საკითხი, რომ აღდგეს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურა, დიდი ტრადიციებისა და უნიკალური სპეციფიკის მქონე სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, აგრონომიული, მეხილეობა-მევენახეობა-მეღვინეობის, მეტყვევობის, მექანიზაციის, მცენარეთა დაცვის, აგროქიმიის, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, აგრობიზნესისა და სხვა მიმართულებებით. სასოფლო-სამეურნეო განათლება და კვლევა-ძიება საქართველოში — დიდი აგრარული პოტენციალის მქონე ქვეყანაში — სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში და არეგულიროს ცოდნის ეკონომიკაზე დაყრდნობილ-მორგებული მარკეტინგული სტრატეგია და ადამიანური რესურსების უნარიანი გამოყენება.

მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში გათვითცნობიერებულ ადამიანს ესმის, რომ XXI საუკუნეში მსოფლიო ლიდერის პოზიციებს დაიკავებენ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ, წარმატებით ივაჭრონ მეცნიერული იდეებითა და მაღალი ტექნოლოგიებით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლებიც წარმატებით განავითარებენ ცოდნის ეკონომიკას.

როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ქვეყნის განვითარება ცოდ-

ნის (ინოვაციური) ეკონომიკის გზით შეიძლება გახდეს გამაერთიანებელი ეროვნული იდეა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ქვეყანა აღმავლობისკენ — ეს XXI საუკუნის ერთ-ერთი იმპერატივია.

შესაბამისად, განმსაზღვრელ პარამეტრად თანდათან შემოვაცნება „ეროვნების (ნაციის) ინტელექტუალური რესურსი“.

საქართველოსათვის, თავისი დიდი მეცნიერული ტრადიციებისა და მიღწევების, აგრეთვე, ჯერ კიდევ მდიდარი და ღონიერი მეცნიერული პოტენციალის გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზარზე მომგებიანად (თავის სასარგებლოდ) გაღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმდიდრე სწორედ ინტელექტუალური პროდუქტია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაკნინოთ.

თანამედროვე ეტაპზე ხელიდან გაშვება ამ სპეციფიკური შანსისა, რომელსაც შეუძლია, საქართველოს სტრატეგიული განვითარების იმიჯის შექმნა და მისთვის ადგილის შენარჩუნება მსოფლიო წესრიგში დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სიბეცე იქნება.

მეცნიერებამ უნდა შექმნას ის რეალური ბაზა და პოტენციალი, რომლითაც ეკონომიკის განვითარების პირობები და დონე სულ უფრო დაექვემდებარება ხალხის ცხოვრების დონის ამოცანებს. ასე უნდა განისაზღვროს მეცნიერების განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზანი და იდეოლოგია.

ზემოთ გაშლილი მსჯელობის საფუძველზე, პრინციპულად უნდა დაისვას საკითხი, რომ ცოდნის ეკონომიკა მოითხოვს „ახალ“ ადამიანს, რომელსაც, ახლებური პირობებისა და გარემოს შესაბამისად, როგორც სახელმწიფოს, ასევე თავის მხრიდან, ალღოს ალება, მომავლის ხედვის ინტუიციის გამოუმუშავება და ხელშეწყობა სჭირდება. ეს პრობლემა დაფიქრებას მოითხოვს და სტრატეგიული გადაწყვეტილების წინაშე გვაყენებს.

ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ ამის გარეშე ქვეყანა რაიმე წარმატებებს მიაღწევს.

**ოზარ ქაშვლაშვილი,**  
აკადემიკოსი



აკაკი წერეთელი

# როსტომ წერეთელი და ბორდოელი ვაჭრები

ვისაც აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ წაუკითხავს, არ შეიძლება, მეხსიერებაში არ ჰქონდეს ჩარჩენილი პოეტის მამის, როსტომ წერეთლის, შთამბეჭდავი სახე — ერთსა და იმავე დროს მიმტევებელი და დამთმობი, და მეორე მხრივ კი — ფიცხი და ახირებული კაცისა. როსტომ წერეთლის პორტრეტი დასრულებული არ იქნებოდა, თუ გამოვტოვებდით აკაკი წერეთლის ვრცელ პუბლიცისტურ თხზულებას — „შავი ქვა“ და დასკვნით ქვეთავს ამ ნაწარმოებიდან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იქ მოთხრობილი ამბის მიხედვით, მართო ერთი კაცის კი არა, ზოგადად ქართველი კაცის კეთილშობილებისა და სათნოების ქრესტომათიული სურათია დახატული. ამ პატარა ისტორიაში აღწერილია როსტომ წერეთლისაგან უცხოელების მასპინძლობა. და დღეს, როცა საქართველო მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ეძიებს ეკონომიკურ-პოლიტიკურ თანამშრომლობას, ქართველი თავადის თუმცა გულუბრყვილო, მაგრამ ხალხის პატიოსნებაზე დაფუძნებული ურთიერთობა იქნებ ერთგვარი ნიშანსვეტიც კი იყოს უცხოელებთან ქართველების დამოკიდებულებისთვის.



ერთხელ ვილაც ბორდოელი ვაჭრები მოსულიყვნენ ჩვენში, დაეთვალე რეზინათ ადგილობრივ, გაესინჯათ შავი-ქვა და დალილ-დაქანცულელები მოგვადგნენ კარზე. ჩვენ, ჩვეულებისამებრ, პატივი ვეცით უცხო სტუმრებს და მოუსვენეთ იმ ღამეს სასტუმროში. შუალამე გადასული იყო, რომ რაღაც უცნაური ხმაურობა შემომესმა იმათ სანოლითგან და თანაც მამაჩემის ხმა გავარჩიე: „რას შვრებით? როგორ გეკადრებათო?“ და სხვანი!.. შევიჭერი საჩქაროდ მეც და რა გამოდგა: თურმე ფრანცუზებს ძილი გასტეხოდათ. ჩამოგდოთ საუბარი სხვათა შორის პოლიტიკაზე, ველარ შეთანხმებულიყვნენ და მოსვლოდათ ხმა-მაღალი ლაპარაკი. მამაჩემს გამოჰღვიძებოდა იმათს ხმაურობაზე და, რადგანაც მათი სიტყვა არ ესმოდა, ჩხუბობენო ჰგონებოდა და გასაშველებლად შესულიყო. სტუმრებიც, უდროოდროს მათთან შესული მასპინძელი რომ დაენახათ, და ისიც უც-

ნაურის ტანისამოსით, შემკრთა-ლიყვნენ და აღარ იცოდნენ, რა უნდა ექნათ... რომ მაღალი სახლი არა ყოფილიყო, ვგონებ, იკადრებდნენ ფანჯრიდან გადახტომას. ეს რომ გავიგე, სიცილი ამიტყდა... ბაზელმა და პონშარმაც, ამ გვარებისანი იყვნენ, სიცილით მოიხადეს მამაჩემთან ბოდიში, მაგრამ მოხუცებულ მასპინძელს კი ეუცხოვა და ველარ მოიბრუნა გული: „**რა დროს პოლიტიკაზე ლაპარაკია და ისიც ამ სიშორესო? ...მე კი გული გადამიტრიალეთო-და?..**“ — უპასუხა ძალდატანებულის ღიმილით. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: „**შვილო, ეს სულ შენგან მჭირდეს! ღმერთი! რჯული! ეს შავი-ქვა ჩვენ ხეირს არ დაგვყრის და ერთხელაც იქნება, უხიფათოდ არ ჩაივლის!...**“ ამითი გავათავეთ იმღამინდელი ახირებული შემთხვევა. მეორე დღეს დილა-ადრიან შემოვიდა ჩემს ოთახში მამაჩემი და მითხრა: ის ფრანცუზები, გათენდა თუ არა, ბაღში წავიდნენ

და ვაითუ რაღაცა დუელი უქვიათ, ის გამართონ და ერთი უბედურება მოახდინონო. ჯერ კიდევ არ გაეთავებინა საუბარი, დავინახეთ ფანჯრიდან, რომ ისინი ორივე ხელი-ხელ გამოყრილი მეგობრულად დაბრუნებულნი მოდიოდნენ!.. შემოვიდნენ ჩვენთან, მოგვემშვიდობნენ და ჩვეულებრივის ზრდილობიანობით ბოდიში მოიხადეს მამაჩემთან წუხანდელ შემთხვევის გამო: „**არ გვეგონა, თუ თქვენც ისე ახლოს ბრძანდებოდით და გესმოდათ ჩვენი ბაასიო!..**“ იმათმა ზრდილობიანობამ მამაჩემს გული მოუბრუნა: „ღვთის მადლმა, არ ყოფილან ესენი ურიგო კაცებიო. და თითონაც ალერსითა და ბოდიშით უპასუხა: მეც-კი უკაცრავათა ვარ, რომ უცბად შემოგეჭერით, მაგრამ ერთხელვე შეშინებული ვარ უცხოელ სტუმრისაგანო და მისი ბრალი იყო. მაგრამ მართალი უთქვიათ: **ერთის ხისგან ჯვარიც გამოვა და ბარიცო!** ხალხიც ყოფილა და ხალხიცაო... მე — კი ჯერ



თქვენ ქვეყნელი სტუმარი არა მყოლია და თქვენც იმისთანა ტუტუცი მეგონეთ, როგორც ის ერთი უცხო ქვეყნელი, ღუბერნატორმა რომ გამომიგზავნაო, სთქვა სიცილით და მოაყოლა: ამ ათის წლის წინად გენერალ-გუბერნატორს გამოეგზავნა ჩემთან ერთი ვილაც უცხო ქვეყნელი!.. „მეცნიერი კაცია, ჩვენის ქვეყნის გამოკვლევა უნდა, ბუნების გამოკვლეულია და მიიღე, ხელი შეუწყვეო. მაშინვე-კი მკრა რენჩხად გულზე და ვსთქვი: როგორ თუ ბუნების გამოკვლეული? ღვთის გაჩენილსა და გამართულ ბუნებას რაღა გამოიძიება ეჭირვება? მე გეტყვი, წუნს ვინმე დასდებს-მეთქი! ვფიქრობდი, მაგრამ მიღებით კი მაინც მივიღე. სწორედ მოგახსენოთ, ამხელა კაცი დავბერდი და ჯერ იმისთანა ახირებული სტუმარი არა თუ არ მინახავს, ამბადაც არ გამიგონია. მისგან არც გამარჯობა და არც გაგიმარჯოს. იყო თავისთვის გაბერილ-გაბუტული, თითქო ბუზადაც არავინ მიაჩნიაო, მაგრამ ნამდვილს ბუზებს-კი ძალიან დასდევდა. დილიდან საღამომდე სულ ტყე და ველში იყო. ყვავილებსა ჰკრეფდა და ჭიებს იჭერდა. არც იცინოდა, არც ხმას იღებდა, თუმცა თარჯიმანი ერთის მაგიერ ორი ახლდა. ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე: „ია! იაო!“, თითქოს პატარა ყმანვილს აბოდებდესო, და ან „ნეინ-ნეინო!“, თითქო ღორებს უძახისო. ამის მეტი მისის პირიდან არა

ამოდოდა-რა! ექვსი დღე დარჩა ჩემსას, მაგრამ ისე-კი მომაბეზრა თავი, რომ ექვსი საუკუნე მეგონა. ან კი რა სასიამოვნოა მისთანა სტუმარი, რომელიც მგლოვიარე ჭირისუფალსა ჰგავს? წასვლის დროს პატივი ვეცი და მოვინვიე დიდ-ძალი ხალხი, სუფრა გარეთ გავშალეთ. კარგი დღე იყო. ის, როგორც საპატიო სტუმარი, თავში დავსვით და გაიმართა ლხინი. ის მაინც სულ იბღვირებოდა. ბოლოს, როდესაც იმის სადღეგრძელოსა ვსვამდით, აილო თავი მალლა, წამოვარდა უცბად ზეზე, გავარდა მინდვრად, ხან იქით გარბოდა და ხან აქეთ!.. ღმერთმა ისე თქვენი მტერი შეაწუხოს, მე მაშინ შევწუხდი და მოწვეულებსაც დამწარდათ ლხინი. ვიფიქრე: „ვეჰ, გამიწყრა ღმერთი და სტუმარი გადამერია-თქო“... გამოუყენე მსახურები, რომ არსად გადაჩეხილიყო, და რა გამოდგა: თურმე ის, ხატის პეპელა რომ არის, ჭრელი, იმას გამოსდგომოდა დასაჭერად... ამ შემთხვევამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია. ისეც არ იყო ალერსიანი სტუმარი და მაშინ ხომ სულ კოლოტივით გაიბერა. აღარც ბოდიში, აღარც ალერსი, არაფერი აღარ გაგვივიდა იმ დალოცვილთან. ჯავრობდა: „ხელი რად შემეშალეთ და იმისთანა პეპელა გამაშვებინეთო!“ ვეუბნები: „ბატონო, ფილოსოფოსს გეძახიან, როგორ გეკადრებათ პეპელების დევნა, ეგ ხომ ბავშვების საქმეა!.. მაგრამ, აჰ, არა

ჰქნა, არ მოიბრუნა გული და აღარც კი გამოგვთხოვებია, ისე წავიდა გამწყრალი. ქუთაისში რომ ჩავედი, ერთის წლის შემდეგ გუბერნატორმა მკითხა სიცილით, იმ კაცს, მე რომ გასტუმრეთ, რა უყავით იმისთანა, რომ ასე გაჯავრებით გიხსენიებთ აი ამ წიგნშიო, გადაშალა რალაც წიგნი და წამიკითხა: იქ თავის მოგზაურობის აღწერაში, იმ ახირებულს კაცს ცუდად მოვეხსენებთ და სხვათა შორის იმას იხსენიებდა, რომ პეპელა გამაშვებინესო. აბა, მე, თუ გინდა, გამლანძღა პატივისცემის სამაგიეროთ! რა გაეწყობა. კაცია და გუნებაო, ნათქვამია, მაგრამ პეპელას დაჭერა რაღა დასატრახახებელი იყო. ჩვენში ყურებით დათვს იჭერენ და ისიც არაფრად მიაჩნიათ.

ამ მუსაიფის დროს მოხუცებულ ბაზილი ძლივს იჭერდა სიცილს, მაგრამ ახალგაზრდა პონშარი-კი ხარხარებდა და ეს ძალიან მოსწონდა მამაჩემსაც: აი, სტუმარი ამისთანა მეამებაო!.. ქრისტიანულად კიდეც იცინიან, კიდეც ჩხუბობენ და სიტყვა-პასუხიც ადამიანური აქვთო!.. სადილობაში სულ სხვა-და-სხვა გვარს მუსაიფში გაატარეს დრო. სადილად მასპინძელიცა და სტუმრებიც გამხიარულდნენ. მამაჩემმა დასცალა თასი და გადაუგდო პონშარს, დაიჭი და იმ შენის საყვარლის სადღეგრძელო დალიე, იმისი, წუხელი რომ ესარჩლებოდიო!.. სტუმარმა მარდად დაიჭირა თასი და პასუხად ეს უთხრა: მე რომ ჩემის საყვარელის რესპუბლიკის სადღეგრძელო დავლიო, ამ ჩემს მეგობარ-ამხანაგს ეწყინება, რადგანაც ბონაპარტიელიაო!... განა იმის სადღეგრძელოს-კი არ დავლევთო, უპასუხებდა მასპინძელი... მაგრამ არ იქნა, აქაც ვერ შეთანხმდნენ სტუმრები და ბოლოს ესა სთქვა ბაზილმა... მართალია, ჩვენ, ფრანცუზებს, სხვა-და-სხვა პოლიტიკური რწმუნება გვაქვს, მაგრამ ყველას ერთად-კი მაინცა გვყავს ერთი საზოგადო საყვარელი, ე. ი. სამშობლო ქვეყანა, და თუ თქვენი ნება არის, იმის სადღეგრძე-

**«ეგ რაღა საქიროა? თუ სიტყვას კალა დაუპარგავს და სანდო აღარ არის? თუ კი ვინმე იმ ღვთის მოსაქმულს ნიჭს ენას უბატუნებს და სიტყვას გასტახს, კასის ხელით გაქათაბულს მამ პატარა ქალაქს რაღად ინაშავსო! აბა, მე კველი კასი ვარ, ჩვენის მეფეების მომსწრა, და ისა ვნირაჰ, როგორც ღვამდი მინირაჰსო. მე ჩემს სიტყვას არ შევუღლი და თქვენ თქვენი ისითო»**



ლოს-კი დავლევით. მამაჩემს ისე მოეწონა ეს, რომ ჩუმად მეკითხებოდა: კოცნა არ იციან მაგათშიო?.. ღმერთმა აკურთხოს თქვენი ქვეყანაც და თქვენი ხალხიცაო, მაგრამ ვაი თუ იქაც პეპელეების დევნა იცოდნენო!.. — ღიმილით უთხრა სტუმრებს და ძალზედაც გამხიარულდა.

რამდენსამე დღეს დარჩნენ ჩვენსა სტუმრები და მამაჩემი ისე მიეჩვია, რომ ხანდახან მუნჯურადაც კი ანიშნებდნენ ხოლმე ერთმანეთს... მასპინძელი ჩვენის ძველების ამბავს მოუყვებოდა ხოლმე თარჯიმანის პირით და სამაგიეროდ იმათაც ათქმევინებდა. განსაკუთრებით ბონაპარტის ამბები და ომები მოსწონდა ხოლმე. როდესაც ბორდოელებმა წასვლა დააპირეს, მთხოვეს, რომ პირობა შემეკრა მათთან შავი-ქვის შესახებ, მაგრამ რადგანაც მამულები მამაჩემისა იყო, კანონით იმასთან უნდა შეეკრათ პირობა. აქაც ერთი ახირებული ამბავი მოხდა. სხვათა შორის პირობაში ისიც იყო მოხსენებული, რომ წლამდე ჩვენ სხვას ვერ გადავცემდით მადანს სამუშაოდ და თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი აღარ მოვიდოდნენ, მაშინ კი ხელ-გახსნილი ვიქნებოდით. ხელის მოწერაზე რომ მიდგა საქმე, მოხუცმა მასპინძელმა იწყინა და ასე სთქვა: „**ეგ რაღა საქიროა? თუ სიტყვას ძალა დაუკარგავს და სანდო აღარ არის? თუ კი ვინმე იმ ღვთის მოცემულს ნიჭს ენას უმტყუნებს და სიტყვას გასტეხს, კაცის ხელით გაკეთებულს მაგ პატარა ქალაქს რაღად ინამებსო! აბა, მე ძველი კაცი ვარ, ჩვენის მეფეების მომსწრე, და ისე ვწირავ, როგორც დღემდე მიწირავსო. მე ჩემს სიტყვას არ შევშლი და თქვენ თქვენი იცითო**“, — ესა სთქვა და დასამტკიცებლად ულვაშზე გადაისვა ხელი, ფრანცუზები გაოცებით მისჩერებოდნენ, და როდესაც მე ავუხსენი მათ, თუ რას ნიშნავდა ჩვენში ძველად ულვაშზე ხელის გადასმა და რა დიდი ალთქმა იყო, ბაზილმაც მაშინვე, თავის მხრითაც, დარბაისლურად გადაისვა ხელი ულვაშზე და ახალგაზ-



რდა პონშარმა-კი სიცილით სთქვა: „**მე რომ ჯერ არც-კი მეტყობა ულვაში, არ უნდა გადავისვა ხელიო?**“, მაგრამ მასპინძლისაგან ეს პასუხი მიიღო: „**ვისაც ულვაში სწამს, ის არც საულვაშეს უღალატებსო!**“ — და გადაასმევინა ხელი. ამით გათავდა იმათი პირობა და ხელ-შეკრულობა!..

წლის განმავლობაში ყოველ დღე მოუთმენლად ელოდა მამაჩემი თავის ნაცნობ სტუმრებს, ერთი წელიწადიც კიდევ პაემანზე მეტი უცადა და, რომ მაშინაც აღარ მოვიდნენ, როგორღაც დაფიქრდა... ამასობაში სხვებმა, ვისაც კი ჰქონდა შავი-ქვა, მუშაობა დაიწყეს და ჩვენ-კი მხოლოდ ბორდოელების შემჩერე ვიყავით.

ერთხელ ჩემმა უფროსმა ძმამ მოახსენა მამას: „**ბატონო! ქვეყანა გაკეთდა ამ შავის ქვით და ჩვენ-კი ვსხედვართ გულხელდაკრეფილი და ფრანცუზებს ვუცდიეთო!.. ეგების ახლა ისინი ცოცხალიც აღარ იყვნენო!.. ამასწინათ რომ ომი ჰქონდათ გერმანელებთან, შეიძლება იმ ომში მოჰკლესო!**“

„**ჰმ, სწორედ მაგრე იქნება, მამაჩემი ნუ წამინყდება... თორემ, მე რომ ის ხალხი მიცვნია, ცოცხალი პირობას როგორ გას-**

**ტეხდნენო. ვაი, საცოდავები, უთუოდ მოუკლავთ და მით უფრო აღარ გვმართებს პირის გატეხაო!.. იმ კაცს ქვეყნისათვის თავი დაუდვია და რომ ვუმტყუნო, რაღა პირით შევხვდე იმ დიდსოფელსო?**“ ეს შეიცხადა როგორც ნამდვილი ნათესავები და მეგობრები და ბოლოს, როცა მოიმგლოვა, იკითხა: „**იქაურის კანონით ხომ შვილები იქნებიან მათი მემკვიდრეები და ყოველგვარი მოვალეობაც შვილებზე გადადისო**“. ჩვენ დასტური მივეცით, მაგრამ ესეც-კი დავამატეთ, რომ ულვაშების მემკვიდრეობა არ იციან იმ ქვეყანაში-თქო, არაო, „**მე მაინც ობლებს უნდა მოვუცადო, სანამ დაიზრდებოდნენო**“, — სთქვა და გაათავა. სიტყვის შებრუნება ტყუილი იქნებოდა.

მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა მამაჩემმა და ვინც უნდა მოსულიყო, შავ-ქვაზე ყველას ამას ეუბნებოდა: „**სხვასთან მაქვს საქმე დაჭერილი და გათავებულო!**“. როცა კვდებოდა, მიმისმო და მითხრა: „**შვილო, ერთი ანდერძი, მიწა, დაგიგდო და შემისრულეო! სანამ ობლები არ დაიზარდნენ, შავ-ქვას ნურავის გადასცემო**“. ჯერ არ გასულა ოცდა-ერთი წელიწადი, ნიშანი სრულ წლოვანებისა, და მეც ვიცდი. როდესაც ზოგიერთები თითქმის ჩემს გასაგონად იტყვიან ხოლმე: „**ვინ პოეტი და ვინ შავი ქვაო!.. დაიწყო და ბოლო კი ველარ გაატანაო. აღარც თითონ მუშაობს და აღარც უნდა სხვას გადასცეს ის შავი ქვაო!**“ მეც ამას გავივლებ ხოლმე გუნებაში: **დიახ, პოეტების საქმე ქვა-კი არ არის, გულია! კარგად ვიცი, რომ იმ ორის ბორდოელის მემკვიდრეები არ მოვლენ, მაგრამ რა ვქნა, რომ მამაჩემის უპანასკნელი ნაანდერძი სიტყვა მაინც რჯულის კანონად მაჩინა ბულის ფიცარზე!... ბავტეხო? არა... დეე, სხვების მცნება ჯერ ფული იყოს და მერე ბული. მე კი პოეტების ბიჭურს მცნებას ვერ ვუღალატებ! ჯერ ბული და მერე ფული!**





# გიორგი ლეონიძე – 115

13 მარტს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში ლიტერატურის მუზეუმის პირველი დირექტორის (1931-1953) გიორგი ლეონიძის გამოფენა გაიხსნა, რომელიც ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო პოეტის (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის დაბადებიდან 115 წლისთავს მიეძღვნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნა ლიტერატურის მუზეუმის ფონდში დაცული გიორგი ლეონიძის ფოტოები, ხელნაწერები, მემორიალური ნივთები, ნაწარმოებების ილუსტრაციები, კარიკატურები, გამოცემები, ასევე ფოტოები საქართველოს ეროვნული არქივიდან. გამოფენა 2 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.



## უკანასკნელი შესვლა გიორგი ლეონიძესთან

ეს მოხდა 1965 წლის ნოემბრის დასასრულს ან დეკემბრის დასაწყისში, ახალი წელი რომ მოგვილოცა თავისი ხატოვანი ლექსიკით, ამით მოვიხზე გული და ნახვად მივითვალე. როცა ახალმა წელმა ძალა მოიკრიბა, მისი ნახვა კვლავ შემომენთო, მაგრამ ინსტიტუტში არ დამხვდა. ვიკითხე და შეუძლოდ არისო, გულისტკივილით მითხრეს. შინდარეკვით აღარ შევანუხე და დაველოდე მის გამოჯანმრთელებას. სხვაგვარად ვერც წარმომედგინა, მაგრამ მის გამოჯანმრთელებას პირი აღარ გამოუჩნდა. საზომუზიანობასა და ჭაპანწყვეტაში გაიარა გაზაფხულმა, რის იმედი-თაც გამოჯანმრთელებას ველოდი, მაგრამ იგი „ლეჩკომბინატის“ საავადმყოფოში მოათავსეს. ნავედი სანახავად, მაგრამ არ შემიშვეს: არავის ნახვა არ ესიამოვნებო. ნირნამხდარი გამოვბრუნდი. გამომჯობინდება და სხვა დროს მოდიო, დამაიმედეს. მერე გავიგე, მანამდე ერთი სახელოვანი პოეტი შესულიყო ძალდაძალ და ლეონიძე ძალიან გამწარებულიყო მის დანახვაზე: ლოგინში ჩავარდნილი არ უნდა ვენახეო. ვიცი, რატომაც გამწარდებოდა: ეს, ალბათ, იმ პოეტს არ უნდა დაენახა ლოგინში ჩავარდ-

ნილი, ვისაც მისი ჯანმრთელობა და შემართება არ უხაროდა. ჩემი დანახვა კი... ჩემთან უკვე წინასწარ ჰქონდა გამოტირებული ლოგინად ჩავარდნის საშინელება და თავს დამცირებულად არ იგრძნობდა. ასე მჯეროდა და დღესაც ასე მჯერა.

მეორედ რომ მივედი „ლეჩკომბინატის“ საავადმყოფოში, გაყვანილი დამხვდა. ინსტიტუტში ვიკითხე და წყნეთშიაო. ყველას იმედი ჰქონდა გამოჯანმრთელებისა და მოუთმენლად ელოდნენ მის გამოსვლას. გამოსვლით კი აუცილებლად უნდა გამოსულიყო. ის ხომ გიორგი ლეონიძე იყო და არა წარამარა მოკვდავი?! რომელ ავადმყოფობასა და სიკვდილს შეეძლო ამ ბუმბერაზის დაჯაბვნა?!

ამასობაში ცხელი ზაფხული დაიწყო. მნახველები ადიოდნენ ლეონიძესთან წყნეთში. ზოგს თუ საიმედო ცნობები ჩამოჰქონდა, ზოგი უიმედობით გვავესებდა. ამ ორ საპირისპირო აზრს წყნეთიდან დაბრუნებული კარლო კალაძის ლექსმა დაუსვა წერტილი: „ლეონიძე წევს და ლეონიძე იწვის“. „იწვის კაცი, იწვის, სიცხისაგან დნება“, — გულს ელდა მეცა ამ სტრიქონების ნაკითხვისას. საშინელი ეჭვი დამემტერა.

წყნეთში დავრეკე. ქალმა მიპასუხა. გავეცანი, ვინც ვიყავი და ლეონიძის ჯანმრთელობა ვიკითხე. არ არის კარგადო, შევშინდი. აგვისტო ძალას იკრებდა და სიცხე მატულობდა, რაც ასე ძალიან ეჯავრებოდა ბატონ გოგლას. თითქმის ყოველდღე ვრეკავდი და ჯანმრთელობას ვკითხულობდი. მაინტერესებდა, შეიძლებოდა თუ არა ნახვა. და, როცა ერთ დღეს დავრეკე — უკეთესად არის და ხვალ შეგიძლიათ ამოხვიდეთ სანახავადო. მაშინვე ჩემს დისქმარს, ლეონიძის ნათლულს, სულხან გულაშვილს ვახარე, რომლის ბინაშიც არაერთხელ გვსტუმრებია ბატონი გოგლა და რომლის ქალიშვილის — ნანას დეკლამატორობით აღტაცებული იყო. თავისი ლექსების ერთტომეულიც აჩუქა ამ აღტაცების გამომხატველი წარწერით. საქმე ის არი, რომ ნანა მეორე დღეს უკანასკნელ გამოცდას აბარებდა უნივერსიტეტში და სამიანის გარდა, რა ნიშანიც უნდა მიელო, ჩაირიცხებოდა. ამ სასიხარულო ამბავმა ისე ალაფროთოვანა, ხუთიანს მივიღებო და მართლაც შეასრულა დანაპირები. ასე რომ, სიხარულით გავემზადენით წყნეთში წასასვლელად. იმასაც კი ვგეგმავდით, იქამდე დავიცა-

დოთ, სანამ გამოჯანმრთელდება და ჩარიცხვის „სამალარიჩო“ სუფრაზე ლეონიძე მოვიწვიოთ თამადად. რამხელა გულუბრყვილობა იყო ჩვენი მხრიდან! ის ისაა, უნდა გავსულიყავით შინიდან, რომ ვიფიქრე, ერთხელ კიდევ დავრეკავ, გუშინ რომ კარგად იყო, დღეს როგორღა არისმეთქი. დავრეკე და... გარდაიცვალაო, მაცნობა ქალის ხმამ. ყველას მდულარე გადაგვასხა. ველარაფრით ვანუგეშეთ ერთმანეთი და უმწეოდ ჩამოვყარეთ მხრები. მამის სიკვდილი არ გამომიცდია, ექვსი წლისა ვიყავი, როცა დამიპატიმრეს, მაგრამ თუ დახვრიტეს, ეგ არ ვიცოდი და მუდმივად ველოდი მის დაბრუნებას. საყვარელი ადამიანის სიკვდილი რა იყო, ახლა გავიგე... რა ძნელი ყოფილა მასთან შერიგება. თანაც ადამიანის სიცოცხლე გაუფასურდა ჩემს თვალში: თუ ლეონიძისთანა უძღვევლი და სიცოცხლეზე შეყვარებული ადამიანის სიკვდილი შეიძლებოდა, ვერ წარმომედგინა. აი, თურმე რატომ იხეთქავიდა გულს კარლო კალაძე: „ლეონიძე ნევს და ლეონიძე ინვისო“. სხვათა შორის, ამ სიკვდილის შემდეგ ბატონი კარლო მთლიანად შეიცვალა და უფრო სევდიანი და უიმედო გახდა. თუ ადრე გამხუმრებია კიდევ: ლეონიძეზე ნაკლები არაფრითა ვარ და ჩემზე მეტად ტყუილად გიყვარსო, მას შემდეგ გულმოკლული გაიხსენებდა ხოლმე მის ყოველ მოქმედებას.

იმ დღისით უადგილოდ გვეჩვენა წყნეთში ასვლა: ელდა და განამანია იქნებოდა, გაპატიოსნებაც სჭირდებოდა და მეორე დღისთვის გადავწყვიტეთ. როცა ავედით, ლეონიძე უკვე ტახტზე დაესვენებინათ და პროფესორი გიორგი ჯიბლაძე, რომელიც მისი დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე თუ მოადგილე იყო, თავშეყრილ საზოგადოებას აცნობდა:

— ეს მუხის მორი აქვე ვნახეთ, ტყეში, ჩავაჭერით და მოვატანიეთ, სწორედ მუხაა სიმბოლო ლეონიძის პიროვნებისა და შემოქმედებისა. ეს ყვავილები და მწვანე



ტოტებიც, ჩემი აზრით, კარგად ეხამება.

მდუმარედ უსმენდნენ და ოხრავენენ. ცრემლი მომეძალა.

ლეონიძის მძლოლი წამომიდგა გვერდით. მკლავზე ხელი შემახო და გამომაფხიზლა. ეზოში გავედით და მიამბო, ლეონიძის გარდაცვალებაზე რაც იცოდა: სიკვდილს დავესწარიო. რალაც სამინელი სანახავი იყოო. წამოინევდა ხოლმე სანოლიდან, თითქმის მთელი ტანით წამოიმართებოდა და არ ვიცი, რა მოხდებოდა, ქალბატონი თინა რომ მთელი სიმძიმით არ დასწოლოდა და მუდარით არ ეთხოვა, დამშვიდდი, მამა, დამშვიდდი, შენი ჭირიმეო. რამდენჯერმე წამოინია და ისევ დაეცაო. ასე იბორგა და, როცა გვეგონა, დამშვიდდა და ჩაეძინა, გარდაცვლილიყო, — ...მიყვებოდა თვალცრემლიანი. „ლოგინში სიკვდილისა მეშინიაო“. ეგებ სარეცელს გაურბოდა და ხესავით ფეხზე მდგარს უნდოდა მომკვდარიყო? არადა, ეგეც ნათქვამი ჰქონდა: „ხეები ბედნიერები არიან, ფეხდგომელა რომ იხოცებიანო“.

...ვიღაცამ ისიც თქვა, დილით უკითხავს, დღეს რომელი რიცხვიაო, და, როცა უპასუხიათ, ცხრა აგვისტოაო, დღეს მოვკვდებიო, უთქვამს. დღევანდელ დღეს ორ-

მოცდათოთხმეტი წლის ვაჟა-ფშაველამ ვერ გაუძლო და მე როგორ გავუძლებო?! ეგებ იმიტომაც წამოინევდა და დაენარცხებოდა ხოლმე, რომ სწორედ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების დღეს მომკვდარიყო?! მას ხომ გამორჩევით უყვარდა მისი პიროვნება და შემოქმედება. მარტო შენი კია არა, ჩემი მამაც იყოო ვაჟა, უთხრა ერთხელ ვახტანგ რაზიკაშვილს და აკი, თავის სულიერ მოძღვრადაც მიაჩნდა რუსთაველთან და გურამიძეებთან ერთად.

მწერალთა კავშირში როცა ჩამოასვენეს, ბევრმა დასასვენებელი აგარაკები მიატოვა და საყვარელ პოეტთან გამოსათხოვებლად გამოცხადა. თვალიდან არ მშორდება ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას აქვითინებული სახე, გოგლას ქვრივთან მისამძიმრებისას. კუბოსთან მჯდარს ხელი რომ ჩამოართვა, გაშვებას ველარ ახერხებდა, რადგან სათქმელი ჰქონდა და ბოლმა იმდენად ებჯინებოდა ყელში, სიტყვის თქმა უჭირდა. ბოლოს ქვითინმა ამოაგდო ბოლმის გორგალი და ორიოდე სიტყვით გამოხატა თავისი მწუხარება. ხელი გაუშვა და ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ რალაც გაახსენდა, ყელში ხელახლა მონოლილი გორგალი ქვითინმა კვლავ



ამოგდო და კვლავ მიუბრუნდა ამოტირებით. ისევ დააპირა გაბრუნება, მაგრამ ასე იოლად ვერ შეძლო და ისევ ქვითინით მიუბრუნდა. რამდენჯერმე შებრუნდა ბატონი კონსტანტინე ქალბატონ ეფემიასკენ და იმდენჯერვე ააქვითინა მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზი.

მთანმინდის მინაზე გული შემეცვალა, ლეონიძის კუბოს რომ მიეყარა. ისეც გვალვიან თბილისში მთანმინდის მინა თითქოს კიდევ უფრო გამოფიტულიყო, მტვრადქცეულიყო და მინა კი არა, ქვა-ლორღი ეყრებოდა ხრივით. მწარედ გამახსენდა პოეტის ნათქვამი ნინო ჭავჭავაძეზე: „შენ მოგაყარეს მინა ბელტებად, მკერდზე ვარდსაც რომ ძლივს იკარებდიო“. ნეტავი მართლა ბელტი მინა ყოფილიყო და როგორმე აიტანდა ადამიანის თვალი. რახარუხით ეყრებოდა ლოდები და ხრივით ცვიოდა გამოფიტული მინა. ამან შემიღონა გული და ვინატრე, ნეტავი, თავის ეზოში, ფშატის ხის ძირას დაესაფლავებინათ-მეთქი, ასე ძალიან რომ უყვარდა და ესათუებოდა.

ბევრი კარგი სიტყვა ითქვა პოეტის სადიდებლად, მაგრამ ჩემი მწუხარება ვერაფერმა გაანელა. მარტო ბატონი გოგლა კი არა, ჩემი სიხარული დაემარხე მასთან ერთად. იქიდანვე შინ წავედი კრიჭაშეკრული: ეგებ დავწვე, დავიძინო და სიზმრად მექცეს-მეთქი ეს ყველაფერი. მაშინ არ ვიცოდი, ასე რად დამემართა, მაგრამ, როცა ხანი გავიდა და ჰოროსკოპებში ჩავიხედე, თურმე ჩემს ჰოროსკოპს — თევზს მფარველი მეგობრის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. იგი დაჟინებით ეძებს ასეთ მფარველს და კიდევ პოულობს. მეც ვიპოვე, მაგრამ მალე დავკარგე. მასთან მეგობრობა ჩემთვის უდიდესი ფუფუნება იყო, როგორც კი ნებისმიერ ბედნიერს შეუძლია ინატროს. გიყვარდეს და პატივს სცემდე ისეთ დიდ ადამიანს, როგორც გიორგი ლეონიძე იყო, აუნონავ და გაუზომავ ბედნიერებას ნიშნავს.



გიორგი ლეონიძე და სერგო ხაჭაქიანი

მეოთხე ათეული წელი დაიწყო, რაც ბატონი გოგლა ფიზიკურად ჩვენთან აღარ არის, მაგრამ ასე მგონია, მისი სული ხშირად მოდის და მეჩურჩულება, მანერინებს, მიკიჟინებს, მამხნევეებს, როგორც სიცოცხლეში მამხნევებდა და მიკიჟინებდა. ხშირად მესიზმრება და ტირილით ვსაყვედურობ: რატომ აქამდე არ გამაგებინე, თუ ცოცხალი იყავი-მეთქი? არ მპასუხობს, გულს არ მიჩვენებს და ძველებურად აღარ მიღიმის. ნაღვლიანია და ახლოს არ მეკარება. ერთხელ იყო შედარებით მხიარული, ახალი ლექსი დაწვნიეო და ერთი სტროფი წამიკითხა. ვითომ დავიმახსოვრე კიდევ, მაგრამ, როცა გავიღვიძე, აღარ მახსოვდა. ამ სიზმარმა ერთი შეხვედრა გამახსენა: ერთხელ რიგის ქუჩის გადმოსწვრივ, სტუდენტალაქის ბოლოში მოულოდნელად შევეფეთე. შევატყვე, ლექსის წერით იყო გათანგული და არ მინდოდა, ხელი შემეშალა, მაგრამ თვითონ დამიძახა. მაშინ ჯერ ისევ მხნედ იყო. ძალიან გაუხარდა მოულოდნელი შეხვედრა და მახარა, ახალი ლექსი დაწვნიეო და უნდა წაგიკითხოო. ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და წამიკითხა. გოგლასებური ძლიერი ლექსი არ იყო, მაგრამ ცალკეული სახეები განსაკუთრებულ

შთაბეჭდილებას სტოვებდა. ერთი ასეთი სახე დამახსოვდა: „მანქანები გარბოდნენ, ვით დაჭრილი სკვითებიო“. შეიძლება, არც ისე მომწონებოდა, ამგვარი განმარტება რომ არ დაერთო: „სკვითები, ხომ იცი, ვისი წინაპრები იყვნენო“? და სანამ პასუხს გავცემდი, განმიმარტა, ვინც იყვნენ. საინტერესოა, დაბეჭდა სადმე ლექსი თუ დაჭმუჭნა და გადააგდო?

ლეონიძის ცნობა და პატივისცემა ყველას ვალი იყო. მის სახელს ყველა შეგნებული ეთაყვანებოდა. ამის დასამტკიცებლად ერთი შემთხვევა, მინდა, გავიხსენო. დედაჩემს, რომელსაც ლეონიძე დედას ეძახდა, თუმცა მასზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო, ჩვევად ჰქონდა, ყოველ ნოემბერში დედა ინდაური დაეკლა მისთვის, რაკი შეიტყო, რომ ყველა საჭმელებში ღოღო შეჭამანდი და შემწვარი ინდაური უყვარდა. იმ წელიწადს, როცა გარდაიცვალა და ნოემბერი დადგა, ამოიოხრა, მისი ინდაური ვინ უნდა შეჭამოსო. გამოსავალი მოვძებნე. მის საფლავზე ავალ და იმ ბიჭებს დავპატიუებ, ვისთან ერთადაც დუშეთში ბოლო შეხვედრაზე ვიყავით-მეთქი. მოეწონა ჩემი აზრი, ყველაფერი გამიმზადა და გამომატანა. ოთარ გვინჩი-



ძე და გურამ შენგელაია დავაპატიყვე. სწორედ ისინი ახლდნენ ლეონიძეს ჩემთან ერთად დუშეთში. პარტიული კრება გვაქვს, მალე დავამთავრებთ, ადით მთანმინდაზე და ჩვენც აუცილებლად ამოვალთო. „სამგორის“ რედაქციიდან ოთარ ხუციშვილი წავიყვანე, ამჟამად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ეკონომიკის განყოფილების გამგე და ჩემი ათიოდე წლის გია, რომელსაც ფანატიკურად უყვარდა ლეონიძე და ისიც ძალიან ეფერებოდა, ცანგალას ეძახდა. რაკილა სტუმრებმა დაიგვიანეს და ნოემბრის ყინვა საკმაოდ იკბინებოდა, ვიფიქრეთ, თითო ჭიქით შევხურდეთ და ამასობაში გამოჩ-

ნდებიან-თქო. მერხზე გავშალეთ სუფრა. ერთ ჭიქას მეორე მოჰყავა, მეორეს — მესამე და ნელ-ნელა შევეყვით. ამასობაში ჩამოგვალამდა. მაინც არ წამოვედით და სმა გავაგრძელეთ, კრებას დაამთავრებენ და მოვლენ-თქო, ვიფიქრეთ. როცა ყველა დიდი ადამიანის საფლავი ჩამოვიარეთ და იქამდე ვსვით მათი შესანდობარი, სანამ ყველა ჭიქა არ გაგვიტყდა, სიმთვრალისგან ხელში რომ ველარ ვიჭერდით, საღვინეც რომ წამოვაპირქვავეთ და ორიოდე ჭიქისოდენა წამოიღვარა, მაშინდა ავიკარით გუდა-ნაბადი. ავიკარით, მაგრამ ცა და დედამინა დატრიალდა და ფეხზე ველარ ვდგებოდით. ნოემბრის სიცივეში ღვი-

ნოს ისე გამოვებრუყეთ და გავებუყებინეთ, სიარულის ნაცვლად ვლაცლაცებდით და ვბარბაცებდით.

ჩვენს ბედზე გამოჩნდა ერთი დინჯი მძლოლი, რომელსაც ზომიერი სიჩქარით მოჰყავდა ტაქსი. ამით ვისარგებლე და წინ გადავუდექი:

— რას შვრები, თუ შენი თავი არ გიყვარს, ჩემს ცოლ-შვილს რაღას ერჩი? — მისაყვედურა, როგორც კი დაამუხრუჭა.

— შენი ჭირიმე! — დავინყე ხვეწნა, — გიორგი ლეონიძის საფლავზე ვიყავით, სხვებიც უნდა მოსულიყვნენ, ოთხის დასალევი ღვინო ორმა დავლიეთ, ძალიან დავთვერით და ქუჩაში დავრჩებით, თუ არ წავიყვან!

— გიორგი ლეონიძის სულს ვენაცვალე! — დამშვიდდა მძლოლი და კარი გაგვიღო.

— აი, ფული! — გავუნოდე ოცდახუთმანეთიანი.

— სად ცხოვრობთ?


— ეს ავჭალაში, მე კი ორხევში.

— ავაშენათ ღმერთმა! — დავვლოცა მძლოლმა და ამით თავისი შენუხება გამოხატა: თურმე ერთი საათით დავვიანებით ბრუნდებოდა „გარაჟში“ და ახლა ჩვენ გავუხანგრძლივეთ დავვიანება: ავჭალა და ორხევი ქალაქის თავი და ბოლოა.

ეგ კიდევ არაფერი. როცა მეორე დღეს გავიღვიძე და ჩავთვალე, რომ მძლოლმა ის ოცდახუთმანეთიანი მთლიანად ჩაიდო და ჯიბეში ფული აღარ მექნებოდა, ჩავიყავი ხელი და ოცდაორი მანეთი ამოვიღე. მხოლოდ სამი მანეთი აეღო. რაც ის მძლოლი ვლოცე, ღმერთმა იმის ოჯახსაც არ მოაკლოს და ამ სტრიქონების წამკითხველსაც, ლეონიძეს კი სამარადისო ხსოვნა და დიდება!

ვახტანგ მეფე ხალხს უყვარდაო, ხალხური ლექსია. ხშირად ამეკვიატება ხოლმე ეს სტრიქონი და ჩემებურად გადავასხვავებ ხოლმე: ლეონიძე ხალხს უყვარდა.

**გიორგი კაკუაშვილი,**  
„მწვანეყვავილა“, № 2,  
2000 წელი



გიორგი ლეონიძემ როგორც პოეტმა, პირველი ნათლობა ვაჟა-ფშაველასაგან მიიღო. ვაჟა-ფშაველამ „დამსკდარი ხელი თავზე დამადო“, — იხსენებს გიორგი ლეონიძე. როგორც ჩანს, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა მთის არწივი.

1912 წლის 29 ნოემბრითაა დათარიღებული ლექსი „გიორგი ლეონიძეს“, რომელიც ვაჟამ 12 წლის გოგლას მიუძღვნა.

**სიჭაბუკის დროს პირველად  
როს ვახილებდი თვალებსა  
და ვუცქეროდი მტირალი  
სამშობლოს განანვალებსა,  
ვეძებდი აქეთ-იქითა  
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,  
არავინ უჩნდა დარაჯად  
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა,  
ვტიროდი უფრო ძალიან,  
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა,  
დღეს ვხედავ, გაჰმრავლებიან  
მშობელ ქვეყანას შვილები,  
მტერს არ მისცემენ სათელად  
თავის სამშობლოს გმირები,  
მირჩება წყლული გულისა,  
ვყურდები ანატირები.**

1912 წ. 29 ნოემბერი



# «საქართველო იყო მათი სოცნებო სახელი...»

## თამრო

### ვაშლოვანელი

თამროს დედა მალე მოუკვდა. მამაც რომ გამოესალმა ამ წუთისოფელს, ბატონმა თამრო ვილაც გადამთიელს მიჰყიდა, მაგრამ თამრომ თვითონვე დაიხსნა თავი. მამის ოჯახში რომ ბრუნდებოდა, გამოიარა ერთ ტყეში, სადაც დათვი დახვდა წინ და დაეჭიდა, მაგრამ უშიშარმა გმირმა ქალმა მოკლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე განსაცდელისაგან. თამრო ცხოვრობდა სოფელ ვაშლოვანში. ყოფილა სასტიკი და გაუტყებელი, მეხი დედაკაცი, რის გამოც მისი სახელი განთქმულა საქართველოში. სოფელში უიმისოდ არა კეთდებოდა რა. ერთხელ ვაშლოვანს თათრები დასცემიან, აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და მცხოვრებნი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომა თათრებს, დასწევია თავისი რაზმით და საკვირველი გმირობა გამოუჩენია. მტერი დაუმარცხებია და გაუთავისუფლებია ქართველი ტყვეები. ეს ამბავი ერეკლე მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსათვის:

— ოჰ, შვილო! შენ გენაცვალოს ჩემი მოხუცი თავი, რომ შენის მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო. მეფეს მიუცია მისთვის და მისი ამხანაგებისატვის ტყვია-წამალი და ერთ ზარბაზნსაც დაჰპირებია.

თამროს თავის რაზმში ბევრი მეომარი ქალიც ჰყოლია. თამროს და მის რაზმს ბევრჯერ გადაურჩენია ვაშლოვანის მცხოვრებნი ლეკებისა და თათრების თარეშისაგან.

ერთ ავ აზნაურს მისი დიდება და ქება შეშურებია და ქვეყნის ღალატი დაუბრალებია. მეფეს

პირზე დაუყენებია მახეზლარი თამროსათვის. თამროს დაუმტკიცებია თავისი ერთგულება სამშობლო ქვეყნისა და მტრობა და ღალატი თვით იმ მახეზლარი აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამროსათვის:

— წადი, შვილო თამრო, ეცადე შენი მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლოსო.

ამ დროს მეფესთან ყოფილან თავადები და რადგან მოსწონებიათ თამროს ახოვანება, უთხოვიათ, აი იმ ფალავანს დაეჭიდეთ, თამროს უარი არ უთქვამს, დასჭიდებია და დაუმარცხებია ეს ფალავანი.

ფალავნობამ თამროს ბევრი მტერი გაუჩინა. ამიტომ დამალულა და არავის ეჩვენებოდა. იგი იცავდა გლეხების ოჯახებს ბოროტმოქმედი ბატონებისაგან, რის გამოც ბატონები გადაემტერენ. ერთ დღეს დაუჭერიათ და მდინარე მტკვარში გადაუგდიათ. თამროს ბევრი უწვალა და ერთ ბურჯზე ასულა, მაგრამ იქიდან სისუსტის გამო ვეღარ ჩამოსულა და მშიერ-მწყურვალს სული განუტყევებია. მისი გვამი დიდი პატივით დაუსაფლავებიათ თრიალეთის ეკლესიაში.

### მაია ფხნეთელი

გლეხის ქალს, მაია წყნეთელს, მეფე ერეკლეს დროს უცხოვრია (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). უასაკო ყოფილა, როცა ბატონს ძალით მიუყვანია სახლში და ნამუსი აუხდია. მაიას მშობლებს ვერ აუტანიათ ეს მწუხარება და მალე გამოსალმებიათ წუთისოფელს. მამას ტყეში ჩამოუხრჩვია თავი, დედას შიმშილით თავი მოუკლავს. ერთ ღამეს ჩაუტვამს მამამისის ტანისამოსი, შემოურტყამს ხმალი, ხანჯალი, მხარზე მამის თოფი გადაუკიდია და ჩასულა თბილისში. ასე ვაჟურად გა-

მონყობილი მისულა მეფე ერეკლეს კარზე და მფარველობა უთხოვია. მეფეს მიუღია იგი. მაიას სახელად მათე დაურქმევია. არ გასულა დიდი ხანი, რომ კახეთის მხარეს დასცემიან ლეკები. მეფეს შეუყრია საჩქაროდ ჯარი და თან გაუყოლებია შინაყმანიც. მათრიცხვში ყოფილა მაიაც. ყველანი კარგად გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მაიასებრი ვაჟკაცობა ვერავის გამოუჩენია. ამ დროს მაია ოცი წლისა ყოფილა. მეფე გაუკვირვებია მის მხნეობას, სიმარდესა და ვაჟკაცობას. გახარებული გადახვევია, ორთავ თვალეში უკოცნია და უთქვამს:

— აი, შენ კი გენაცვალე! კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებიაო!

თბილისში რომ დაბრუნებულან, მეფეს კიდევ მოსვლია ამბავი, სომხებს თათრის ჯარი შემოესიაო. მაშინ მდევარი შეუგროვებიათ. შემდგარა რჩეული ბიჭების დასტა, რომელიც პირველად უნდა შებრძოლებოდა მტერს. მათეც იქ ყოფილა. ომი ყოფილა სოღანლულს ქვევით. ხმალამოლებულ მაიას შეუჭენებია ცხენი მტრის გუნდში და მეთაურისათვის ანაზად გაუგდებინებია თავი. არეულა მტრის ჯარი და ქართველებს ისე დაუმარცხებიათ, რომ ამბის წამლები კაციც აღარ დარჩენილა.

მაია თურმე თავზარს სცემდა გარეშე და შინაურ მტერს. მისი დროის პირშავ კაცებს თორმეტი გოგო-ბიჭი მიუყვანიათ სპარსელებისათვის. ამ ამბის შესატყობინებლად მეფესთან ერთი მოხუცებული კაცი წამოსულა. მეფის კარზე მაია დახვედრია, მოხუცს თავისი გასაჭირი უთქვამს თუ არა, მაიას მაშინვე შეუკრებია თავისი ამხანაგები, შემსხდარან ცხენებზე და გამოსდგომიან ყიზილბაშებს. მისწევინან ლილოს-



თან, დაუხოცავთ, გაუთავისუფლებით დაყიდული გოგო-ბიჭები, მერე მეფის კარზე მობრუნებულან. მაია წამდგარა მეფის წინაშე და უთქვამს გლეხობის მძიმე მდგომარეობის შესახებ:

— გლეხობა განადგურდა და განყდა, ბოროტმოქმედ კაცთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჰყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადარჩა, იმათ კიდევე გუთანში, ურემსა და კალოში სულს აძრობენ. მეფევე გთხოვთ, მოსპოთ ასეთი ავკაცობა და ბოროტმოქმედებო.

მეფეს მეორე დღესვე მოუწვევია სასახლეში მღვდელმთავრები და ჯვართა და სახარებით შეუჩვენებიათ ავნი კაცნი. ამგვარი საჩივრებით ისე შეუწუხებია მაიას ბოროტმოქმედნი, რომ მათ გადაუწყვეტიათ მაიას მოკვლა.

ერთ დღეს მეფეს მაია სადღაც გაუგზავნია. ეს შეუტყვიათ მის მტრებს და გამოსდგომიან უკან; მაგრამ მაიას მდევარი დაუხოცავს. ერთ მათგანს მოუტყუებია: ერეკლეს ნებავე შენი სიკვდილიო. მაიას თავზარი დასცემია, ეჭვი გასჩენია, იქნებ მართლა უნდა მეფეს ჩემი სიკვდილიო, თან გული სტკენია, გადაუწყვეტია: — გავშორდები და ყაჩაღად გავალო. თრიალეთისაკენ გადასულა და დაბინავებულა ერთ თყეში, რომლისთვისაც ხალხს „მაიას საბუდარი“ დაურქმევია. აქედან გამოდიოდა თურმე გზებზე, უსაფრდებოდა გამვლელ-გამოვლელ თავგასულ კაცებს, ხოცავდა და ძარცვავდა მათ. ბოლოს შეუტყ-

ვიათ მტრებს მისი ბინა და დაუწყიათ დევნა. მაშინ მაიას დაუტოვებია თავისი საბუდარი და წასულა სომხეთისაკენ. დასახლებულა სოფლად და თავისი ვინაობა დაუფარავს.

ერთ დღეს მეფე ერეკლე მისულა იმ სოფელში, სადაც მაია ყოფილა. ერთი სოფლიდან მეორეში აცილებდნენ თურმე მეფეს სოფლები, მაიაც გაჰყოლია. იმჟამად უკვე მოხუცებული ყოფილა და მეფეს ვეღარ უცვნია. ხმა იყო გავარდნილი, რომ მაია დიდი ხანია რაც მოკვდაო. გზაში მეფეს მტერი შემოხვდა. მაიას მეტს თოფ-იარაღი არავის ჰქონია მზად. იმან კი თურმე ჯერ თოფი ესროლა მტერს, მერე კი ხმალი დახმალ მიუხდა. ამის მხილველი სხვებსაც გული მისცემიათ, გამხნევებულან, შებმიან მტერს და გაუმარჯვიათ. მეფეს უკითხავს მაიასათვის: შენ ძმობილო, ვინა ხარ ეგეთი გამირიო?

— ბატონისაგან გამოდევნილი მათე გახლავარო. ...ამასთანავე ვაცხადებ დიდებული მეფის წინაშე, რომ მე ვარ დედაკაცი და არა მამაკაციო.

ამის შემდეგ, მაიას გაუხდია კაცური ტანისამოსი და ჩაუცვამს ქალური; მაგრამ დიდხანს აღარ დასცლია სიცოცხლე. სპარსელები შემოსევიან საქართველოს, მაიაც გარეგია ქართველთ ლაშქარში, ქალური ტანსაცმელი სცმია. სპარსელებს გაჰკვირვებიათ მისი მამაცობა და ხანებს უბრძანებიათ ცოცხლად მისი დაჭერა. მართლაც, დაუტყვევებიათ და თან

წაუყვანიათ; მაგრამ მაია გზიდან გამოპარულა და ერეგის ბოლოს მოუკლავთ.

### თინა ჯაფარიძე

თინა წავეციელი გაბაშვილის ყმა ყოფილა. ისეთივე გმირობა და გულშემატკივრობა გამოუჩენია გლეხებისადმი, როგორც მაია წყნეთელს. სიყმანვილეშივე შეურაცხყოფისათვის მოუკლავს თავისი ბატონი, მაგრამ თინაზე ეჭვი არავის მიუტანია.

ამის შემდეგ გასულა ხანი. თინა და კიდევე სხვა გოგო-ბიჭები ბატონის ნათესავებს მიუყიდათ სპარსელებისათვის. გზაზე მყიდველთ მოუწოდებიათ მათზე ძალადობა. თინას შეუტყვია მათი განზრახვა, დაურიგებია თავისი ამხანაგები, წაურთმევიათ სპარსელებისათვის ხანჯლები და დაუხოცავთ ყველანი, შემსხდარან მათ ცხენებზე, წამოსულან მეფე ერეკლესთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბიათ. მეფეს გაკვირვებია მათი მხნეობა. სხვა ქალები დაუთხოვნია, თინა კი სასახლეში შეუნახავს. სასახლეში ყოფნისას თინას კარგად შეუსწავლია თოფის სროლა, ხმლისა და ხანჯლის ხმარება და ცხენზე ჯდომა. მას არა ერთხელ უსახელებია თავი მამაცობით, მხნეობითა და ხმლის ხმარებით.

ერთ ომში თინას და ერთ გლეხს ისე მამაცურად უომიათ, რომ მეფეს ძლიერ მოსწონებია ისინი, მიუწვევია თავისთან ორივენი და უბრძანებია მათთვის შეუღლება. მათ აღუსრულებიათ ბატონის ბრძანება და დასახლებულან ნავკისს. თინას შესძენია ორი ვაჟი, მაგრამ მაინც არ მოუკლია ქვეყნისათვის სამსახური: ის ყოფილა თავისი სოფლის, ნავკისის მცველი მტერთაგან.

თინას ალა-მახმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა (1795 წ.). გადმოცემით, იგი ბოლნისის მხარეს მოუკლავთ და ერეკლემ იქვე, ბოლნისის სიონთან, დაასაფლავებინა ქმრის გვერდით, საფლავის ქვაზე მათი სახე ამოაჭრევიან, მათ ობლებს კი სასახლეში ზრდიდა.

**„ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები, მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები, და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები. ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი, გმირი თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი. მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი, საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის. სადაც უნდა ყოფილიყვნენ, მარად დაუზრახველნი, — საქართველო იყო მათი საყვარელი სახელი...“**  
**ლადო ასათიანი**



# პეტრიწონის ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ქართული ხატი

1083-1086 წლებში ტაოელმა ძმებმა, გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეებმა, ბულგარეთში ააშენეს მონასტერი ქართველთათვის, რომელსაც პეტრიწონის მონასტერი ეწოდა. თავად გრიგოლი ბრძანდებოდა დიდი მაგისტროსი, ჰქონდა ვრცელი მიწები, მამულები. მისი სურვილი იყო, ქართველი ბერ-მონაზვნებისთვის აეშენებინა ერთი დიდი სახანე, სადაც მხოლოდ ქართველ ბერებს უნდა ემსახურათ. თავის მიერ დაარსებულ მონასტერს თავადვე დაუდგინა საგანგებო ტიპიკონი, მასზე ხელი მოაწერინა იერუსალიმის პატრიარქს — იუბენალს, რომელმაც დაამტკიცა, რომ ეს მონასტერი აბაზული იყო ქართველებსა და მხოლოდ და მხოლოდ ქართველები იმსახურებდნენ და ბერძენი ბერი ამ მონასტერში შეიძლება მხოლოდ ერთი ყოფილიყო, ისიც მართლდენ იმისათვის, რომ ბიზანტიასთან მიწარმოწარა ჰქონოდათ. ტიპიკონშიც კი ჩანერილია ამის შესახებ: ბერძენები შურიანები არიან, გამრავლდებიან და შემდეგში ქართველებს აქედან გაგვყრიანო.



კლუბიის წმ. მთავარანგელოზთა ტაძარი

პეტრიწონის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახანის ყველაზე დიდი სიწმიდეა ღმრთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატი. მონასტერში დაცული გადმოცემით, ეს ხატი ლუკა მახარებლის მიერ არის დანერგილი და იგი საქართველოდან ჩამოაბრძანეს. ხატის დღესასწაულს აღნიშნავენ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს.

ღვთისმშობლის ხატი 1311 წელს ტაოელმა ძმებმა, ათანასემ და ოქროპირმა შეწირეს პეტრიწონის მონასტერს. ხატს დღემდე უდიდეს პატივს მიაგებენ ბულგარეთში. იგი აქ ისევე გამორჩეულია, როგორც ათონზე ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. გრიგოლ ბაკურიანის ძმა — აბაზი ვერ მოესწრო მშენებლობის დასრულებას. იგი მონასტრის საძვალეშია დაკრძალული. თავად გრიგოლი ომში დაიღუპა და, როგორც გადმოცემების მიხედვით ცნობილია ჩვენთვის, მისი საძვალის ადგილსამყოფელი არავინ იცის. ძველი მონასტრიდან მხოლოდ და მხოლოდ საძვალეა შე-

მორჩენილი, ის პირველი ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დაინგრა და მოგვიანებით მის ადგილზე ახალი აიგო.

ღმრთისმშობლის ხატი სასწაულთმოქმედად გადარჩა დამანგრეველი ხანძრის შემდეგ, როდესაც მთელი სამონასტრო სინმინდენი და განძეულობა განადგურდა. იგი გადაურჩა დამპყრობლის ხელსაც — მონასტრიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე სამხრეთ აღმოსავლეთით, ერთ თვალწარმტაც ქვაბურში, წმიდა წყაროსთან შემორჩენილია პატარა ბერული სენაკი „კლუბიისა“ („კლუბიატა“); აქ იფარავდა თავს დამპყრობთა თვალთაგან მონასტრის ყველაზე დიდი სინმინდე.

**მღვდელმონაზონი კლიმენტი რილელი გადმოგვცემს:**

თურქთა შემოსევის დროს (1363-1393) ბერებმა ხატი გახიზნეს და დამალეს პეტრიწონის მახლობლად მდებარე ერთ კლდოვან ადგილას, რომელსაც „კლუბია“ ჰქვია. XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც დაიწყო მონასტრის აღდგენა, ერთმა მწყემსმა კლუ-

ბის გამოქვაბულში გადამალული ხატი აღმოაჩინა. 1604 წლის აღდგომა დღეს ღმრთისმშობლის ქართული ხატი დიდი საეკლესიო პროცესიით მონასტერში გადმოაბრძანეს და განახლებულ მთავარ ტაძარში იმ ადგილას დაასვენეს, სადაც დღემდე იმყოფება. ხატის აღმოჩენის ადგილზე ააშენეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელსაც ახლა მთავარანგელოზთა ტაძარს ეძახიან. ძველი ტრადიცია დღემდე შემონახულია. ყოველწლიურად, აღდგომის მეორე დღეს, ეწყობა ღმრთისმშობლის ხატით მსვლელობა: პეტრიწონის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრიდან გამოაბრძანებენ ღმრთისმშობლის საკვირველთმოქმედ ხატს და მიასვენებენ კლუბიაში, წმ. მთავარანგელოზთა სამლოცველოში, სადაც ეწყობა სადღესასწაულო მსახურება. ამის შემდგომ ხატს კვლავ პეტრიწონის



სავანეში მიაბრძანებენ.

სწორედ ამ მოვლენის ამსახველია ვრცელი პანორამა მონასტრის სატრაპეზოს გარეთა კედელზე, რომლის მარცხენა ქვემო ნაწილში გამოსახულია ბრწყინვალე ორშაბათს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საკვირველთმოქმედ ხატთან ერთად კლუბიაში მიმავალი გრძელი პროცესია.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში არსებობდა ასეთი ტრადიცია: მღვდელმსახურების დამთავრების შემდეგ იღუმენი მხურვალე სიტყვით მიმართავდა მრევლს, თანამემამულეებს შეასხენებდა თავისი ფესვებით შორეულ წარსულში ძირგამდგარ მყარ ეროვნულ ფასეულობებს და ტრადიციებს; ამას მოჰყვებოდა დღესასწაულში მონაწილეთათვის მონასტრის მესვეურთა მიერ მოწყობილი სახალხო ტრაპეზი, რომლის შემდეგაც კლუბიაში გადასვენებული ხატი მსვლელობით უბრუნდებოდა მონასტერს. **ქართული ხატისაგან გაკვალული გზით, ათაულ ათასობით მომლოცველის ერთმანეთისადმი თანადგომა ურჯულოთა უღელქვეშ მყოფი გულგარეული ხალხისათვის რწმენისა და უკვდავების იმედის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ტოლფასი იყო.**

დღეისათვის დედამრთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატი მთავარი ტაძრის ცენტრალურ ნაწილში, ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე არის დაბრძანებული. ორივე მხრიდან ხატი მოჭედილია მოოქროვილი ვერცხლით, სავარაუდოდ, 1311 წელს. ხატის ძველი პერანგი ნაწილობრივ გადაფარულია ვერცხლისაგან გამოჭედილი აყურული საპირეთი. მაზე ამოტვიფრულია თარიღი — 1819 წ. და სახელი — პეტკო ჰაჯი. ხატის ძველ პერანგზე ლამაზი ასომთავრული ასოებით შესრულებულია შემდეგი წარწერა, რომელიც, თუკი ქარაგმებს გავხსნით, ასე იკითხება:

„ქ. მოიჭედა წმიდაი ესე ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისაი



**სატრაპეზოს გარეთა კედლის პანორამის ფრაგმენტი: ბრიგოლ და აბაზ გაკურინის-ქენი ალექსი კომნენოსთან ერთად და მსვლელობა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატით**

პეტრინონს ორთა ხორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღურისა ათანასის და ოქროპირისა პერპერიოთა რკე (125) და წინაშე ხატისა საკანდლითა ვეცხლისაითა. საბერძნეთს მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე, მიხაელ და ანდრონიკესა პალეოლოლოს ძეთასა, ხოლო ქართლს კონსტანტინესა და დიმიტრისა ბაგრატიონიანთასა დასაბამითგანთა წელთა ბერძულად ხყით (6819), ხოლო ქართულად ხშიე (6915). წმიდაო ღმრთისმშობელო, შეინირე მცირე ესე ძღუენი მათი და შეუნდეე და მეოხ ეყავ მათ და მშობელთა მათთა დღესა მას დიდსა სასჯელისასა წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა. ამინ, ამინ იყავნ, ამინ. ქორონიკონსა ფლა (531), ინდიკტიონსა თ (9). ქრისტე ღმერთო, შე-

იწყალენ სულნი მათნი, კაცთმოყუარე, ამინ“.

ზემო აშიაზე, შარავანდედის მარჯვნივ და მარცხნივ, ხატს ბერძნული ასომთავრული ასოებით აწერია: „მიტერ თეუ ვლახერნიოტისა“, ე. ი. „დედა ღმრთისა ვლაქერნისა“. სიტყვა „ვლაქერნი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს ხატის ტიპს და არა მის სადაურობას.

ქვემო აშიაზე ორი ბერძნული ქარაგმაა: „იისუს“ და „ხრისტოს“ — იესო ქრისტე.

ხატის წარწერა უაღრესად საყურადღებოა. უწინარეს ყოვლისა, 1311 წლით დათარიღებული ქართული წარწერა გვიდასტურებს, რომ XIV საუკუნეში პეტრინონის მონასტერი ქართველთა განმგებლობაშია. ძმები ათანასი და ოქროპირი პეტრინონში ბერად შემდგარი ტაოელი ქართველები არიან. ამათგან ათანასი მოძღვ-





რად იწოდება. სიტყვა მოძღვარი მასწავლებელს ნიშნავს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ XIV საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობს პეტრიწონის სემინარია, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძემ დაუწესა მონასტერს და რომ ათანასი ამ სემინარიის ერთ-ერთი მასწავლებელია.

რაც შეეხება ხატის პეტრიწონში მობრძანების თარიღს, მას გრიგოლ ბაკურიანის ძის მოღვაწეობის პერიოდსაც უკავშირებენ და XIV საუკუნესაც. პირველის სასარგებლოდ იხსენებენ აპოკრიფულ გადმოცემებს, რომელთა თანახმადაც იმ დროს, როდესაც გრიგოლ ბაკურიანის ძე კარში მსახურობდა, ეს ხატი ერთხანს იქაურ ეკლესიაში ყოფილა დასვენებული. გარდა ამისა, წესდებატიპიკონში გრიგოლ ბაკურიანის ძე მონასტერს მისი უდიდესი სინდისის მიხედვით მოიხსენიებს: „...მონასტრისა ჩემისა ქართველთა ღმრთისმშობელისა პეტრიწონისადა“. მეორე ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს თვით ხატის ქართულად დამამშვენებელთა — ძმების: ათანასისა და ოქროპირის მოღვაწეობის ხანა.

**მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხატს დაუმკვიდრდა პეტრიწონის ქართველთა ღმრთისმშობლის ხატის სახელი და იგი საუკუნეებში განდიდდა საკვირველმოქმე-**



ხატის დედანი და ასლი

**დებებით.** ხატთან დღემდე მიდიან მთელი ბულგარეთიდან მომლოცველები დახმარებისა და შემწეობის სათხოვნელად, სულიერი თუ ფიზიკური სიმრთელის მოსანიჭებლად. ხატის მიერ აღსრულებულ სასწაულებს აღწუსხვადნენ მონასტრის საგანგებო წიგნში, რომელსაც „კონდიკა“ ეწოდება. 1999 წელს მონასტრის ბიბლიოთეკაში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა მრავალი ძვირფასი რელიქვია და მათ შორის ის წიგნიც, რომელშიც ღმრთისმშობლის ხა-

ტის სასწაულები იყო აღწერილი. მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც თავისი რწმენის საპასუხოდ ყოვლადწმიდა ქალწულისაგან იღებენ შეწევნას, ცოცხალ მათიანეს წარმოადგენენ, დამადასტურებელს პეტრიწონის ღმრთისმშობლის ქართული ხატის საკვირველთმოქმედებისა.

წიგნიდან „პეტრიწონის ქართველთა სავანე ბულგარეთში“, თბილისი, 2001 წ.

P.S. ბულგარეთში ქართველების მიერ XI საუკუნეში დაარსებული პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრიდან მთავარეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) და მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა თანმხლებ სასულიერო და საერო პირებთან ერთად 2006 წლის 26 აგვისტოს საქართველოში ჩამოაბრძანეს ამ მონასტერში დაცული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ქართული ხატის ასლი. ხატის ასლის დაწერა და საქართველოში ჩამობრძანება საქართველოს საელჩოსა და იქაური ქართული დიასპორის სურვილითა და შემწეობით გადაწყდა. თხოვნით მიმართეს ბულგარეთის პატრიარქს — მაქსიმეს, რომლის ლოცვა-კურთხევითაც დამზადდა ზუსტი ასლი პეტრიწონის მონასტერში არსებული ქართული ხატისა.



ბულგარეთიდან ჩამობრძანებული სინდისი საპატრიარქოს კარიბჭისთან



# ქუთაისის ბოტანიკური ბაღი

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი თითქმის ორ საუკუნეს ითვლის და საქართველოს ბოტანიკურ ბაღებს შორის ყველაზე ასაკოვანია თბილისის ბოტანიკური ბაღის შემდეგ.

ქუთაისში ევროპული ტიპის ბაღი პირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში გაშენდა. საზოგადოებრივად, რომ ამ ევროპული ტიპის ბაღის ნაშთს დღეს ქალაქის ცენტრალური პარკი წარმოადგენს. მცენარეთა მრავალფეროვნებით თავის დროზე იგი დეკორაციულ ბაღს წარმოადგენდა და ფართობითაც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დღეს არის. გადმოცემით ცნობილია, რომ ეს ბაღი მდ. რიონის გასწვრივ იყო გაშენებული და თითქმის ბალახვნამდე გრძელდებოდა. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, იმერეთში პირველად აქ გაშენდა ამერიკული დიდიფორა მაგნოლია (*Magnolia grandiflora*), ავსტრალიური ლეგა აკაცია, ანუ ვერცხლისფერი აკაცია (*Acacia dealbata*) — ჩვენში ეს მცენარე „მიმოზას“ სახელით არის ცნობილი, თეთრი აკაცია, ანუ ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*), იასამანი (*Siringa vulgaris*) და სხვ. ამ ბაღს ბულვარსაც უწოდებდნენ.

მოგვიანებით, მაგრამ საკმაოდ მოკლე ხანში, ქუთაისში გაშენდა მეორე ბაღი, რომლის ბაზაზე შეიქმნა ქუთაისის ბოტანიკური ბაღი. **რატომ გახდა საჭირო თითქმის ერთდროულად ქალაქში ორი ბაღის დაარსება?**

ცნობილია, რომ ბულვარის ძირითადი ფუნქცია ადგილობრივი საზოგადოებისათვის დროის გასატარებელი, გასართობი, სასეირნო ადგილი იყო. აქ ყოველ საღამოს სასულე ორკესტრი უკრავდა და მოსახლეობა ერთობოდა. მოგვიანებით დაარსებული ბაღის დანიშნულება კი იმთავითვე სხვა იყო. აქ უნდა გაეშენებინათ საცდელ-საჩვენებელი მცენარეები, გამოეყვანათ ვაზის, ხეხილისა და ბოსტნეულის უახლესი ჯიშები და ქალაქის გამწვანებისა და ბაღ-



პარკების განაშენიანებისთვის გაეხარებინათ სხვადასხვა ეგზოტური მცენარე.

ქუთაისში ახალი ბაღის შექმნის ინიციატორი ქუთაისის იმდროინდელი მმართველი, გენერალ-გუბერნატორი ბელიავსკი იყო, მაგრამ მან ვერ მოახსრო ამის გაკეთება და, როგორც ა. ლავრენტიევი გადმოგვცემს, „ბაღის მოწყობის პატივი ეკუთვნის მის შემცველს, გენერალ-გუბერნატორს თავად ა. გაგარინს“ (А. Лаврентьев – Военно-статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства. 1858 г. გვ. 50).

ამ ბაღისადმი ადგილობრივი მოსახლეობის კეთილ დამოკიდებულებას ადასტურებს ის სახელწოდებები, რომლებითაც ის მოხსენიებულია იმდროინდელ სხვადასხვა საარქივო დოკუმენტში. იმდროისათვის ბაღს ეწოდებოდა „საჩვენებელი სახერგე“, „სანიმუშო ბაღი“, „სახაზინო ბაღი“ და სხვ.

რამდენიმე წელში აქ დაარსდა ჯერ ორწლიანი, შემდეგ კი ოთხწლიანი მებაღეობის სკოლა, რომლის მიზანი იყო, დაინტერესებუ-

ლი მოსახლეობისთვის გაეცნოთ იმდროინდელ ევროპაში არსებული აგრონომიული ცოდნა და გამოცდილება.

პირველი, ვინც ბაღი დააგეგმარა და განაშენიანა, საფრანგეთიდან მოწვეული სპეციალისტი **რეგნერი** იყო. რეგნერი შეცვალა ასევე სპეციალურად მოწვეულმა შოტლანდიელმა **იაკობ მარმა**. იაკობ მარი ცნობილი ლინგვისტის, ენათმეცნიერისა და ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკო მარის მამა იყო. ნიკო მარი სწორედ ამ ბაღში დაიბადა და ოთახი, სადაც მარები ცხოვრობდნენ, დღესაც პირვანდელი სახითაა ბოტანიკურ ბაღში დაცული.

ჩვენ მიერ მარების საოჯახო არქივში მოძიებული წერილის მიხედვით ჯერ კიდევ 1846 წელს კავკასიის მეფისნაცვალის მიმართავს იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს: „Об оказании великобританскому подданному Марру содействия по заведению казенными садами и питомниками Имеретии“... (Господину Грузино-Имеретинскому Гражданскому Губернатору. №8845 16 декабря 1846 г.).



მე-20 საუკუნის დასაწყისში ბაღში უკვე გაშენებული იყო რამდენიმე ათეული სახეობის, ძირითადად, დეკორაციული ეგზოტიური მცენარე, სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ბაღი, ზვრები ვენახის ადგილობრივი და ევროპული ჯიშებით, ბოსტნეულის ნაკვეთები და მცირე ზომის ორანჟერეა ტროპიკული მცენარებისთვის.

1868 წლამდე ბაღი ხაზინის ხარჯზე არსებობდა და ყოველწლიურად მის შესანახად 3000 მანეთს განკარგავდნენ. 3000 მანეთი ოქროთი საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო იმ პერიოდის ქალაქისთვის, ამიტომ, ამ ხარჯისგან განთავისუფლების მიზნით, 1868 წელს ბაღი **ბარონ ლონგეს** გადასცეს. ამ უკანასკნელს ბევრი არაფერი გაუკეთებია და 1875 წელს ბაღი იჯარით ავსტრიელმა **ბარტონმა** ჩაიბარა. რადგან ამ პერიოდში ბაღის შემოსავალი მიზერული იყო და მისი მოვლა არავის სურდა, ბაღის შემდეგ მმართველს, ჩეხ გორიარეკს უფლებას აძლევდნენ, ბაღში აეგო როტონდა, სადაც სპირტიანი სასმელებით ივაჭრებდნენ. მალე აღმოჩნდა, რომ არც ამ მეთოდმა გაამართლა და დაისვა საკითხი ბაღში, მეზობლების სკოლის ნაცვლად, უფრო მაღალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების თაობაზე, რომელიც თავისი უმთავრესი მოვალეობის შესრულებასთან ერთად ბაღსაც სათანადოდ მოუვლიდა. ასე დაარსდა ქუთაისში 1891 წელს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

1922 წელს ეს სასწავლებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად გადაკეთდა, ხოლო 1952 წლიდან ბაღი ქუთაისში ახალდაარსებული სუბტროპიკული პროფილის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზა გახდა. ინსტიტუტის მეურვეობა ბაღზე მხოლოდ 8 წელიწადს გაგრძელდა. 1960 წელს, ინსტიტუტის სოხუმში გადასვლის შემდეგ, ეს ბაღი ჯერ თერჯოლის სანერგე გახდა, ხოლო მოგვიანებით მისი მფლობელი ქუთაისის გამწვანების ტრესტი შეიქმნა.

ისტორიული მნიშვნელობის ბაღის მეურვეთა ხშირმა ცვლამ და აქედან გამომდინარე, განსხვავებულმა ფუნქციონალურმა დატვირთვამ უარყოფითი დალი დაასვა ბაღს — ყურადღება არ ექცეოდა უცხო, ინტროდუცირებულ მცენარეთა დაცვას, ნადგურდებოდა ძვირფასი ეგზოტიები.



1969 წელს ასეთი საინტერესო ისტორიის მქონე ბაღი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა და, მთავრობის სპეციალური დადგენილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღის ქუთაისის ფილიალი გახდა. ამ დროისთვის ბაღის ძველ ნარგავებში მხოლოდ 200 სახეობის ინტროდუცირებული მცენარე იყო შემორჩენილი. 1969 წლიდან დღემდე ჩატარებული საინტროდუქციო სამუშაოების შედეგად სახეობათა რაოდენობამ 700 გადააჭარბა. დღეისათვის ქუთაისის ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა რიცხვი 7 ასეულზე მეტია, ეს სახეობები 80 ბოტანიკური ოჯახის 207 გვარის წარმომადგენელია. ამ სახეობათა უმრავლესობის სამშობლო აღმოსავლეთ აზია და ჰიმალაია. აქვე მრავლად არის ჩრდილოეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მცენარეები.



მეურვეთა ცვლა და არასტაბილური მდგომარეობა ქუთაისის ბოტანიკურ ბაღს 2000-2010 წლებშიც არ დაკლებია. ეს კარგად ჩანს მის სახელწოდებაშიც. ამ პერიოდში იგი ხან თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის ქუთაისის კოლხური ბოტანიკური ბაღი იყო და ხან ილიაუნის ქუთაისის კოლხური ბოტანიკური ბაღი. ამ წლებში განეულმა მცირე დაფინანსებამ მეტად უარყოფიდად იმოქმედა ქუთაისის ბოტანიკური ბაღის განვითარებაზე. 2010 წლისთვის კი მას საერთოდ შეუწყდა დაფი-



ნანსება და სრული განადგურების რეალური საფრთხე დაემუქრა და, რომ არა ქალაქ ქუთაისის ამ პერიოდის მმართველთა უდიდესი ძალისხმევა, იგი ამ საფრთხეს ვერ გადაურჩებოდა.

2012 წელი მნიშვნელოვანი საეტაპო წელი იყო ქუთაისის ბოტანიკური ბაღისთვის. ამ წლიდან იგი დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და მისი მეურვე თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი გახდა. ამ დროიდან პირველი, რაც სასიკეთო ცვლილებაა ბაღის ცხოვრებაში, ის იყო, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ბიუჯეტი და დაიწყო ბაღის ინფრასტრუქტურის მოწყობა. კაპიტალურად შეკეთდა და განახლდა წყლის აუზები, კეთილმოეწყო სა-



ვალი გზები და ბილიკები, ბაღის პარტერში გაშენდა როზარიუმი, სადაც რამდენიმე სახეობისა და ჯიშის 1000 ძირი ვარდია განთავსებული. ბაღში ღია ცის ქვეშ მოეწყო ამფითეატრი, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები ტარდება. კაპიტალურად შეკეთდა და ფუნქციონირება აღადგინა საუკუნე-ნახევრის ორანჟერეამ და სხვ.

ცალკე უნდა ითქვას 4-საუკუნოვანი მუხის ბუნებრივ ფულეროში (რომლის დიამეტრი 2 მეტრზე მეტია) მოწყობილ სალოცავზე, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და მნახველთა აღფრთოვანებას იწვევს.

2013 წელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ისტორიაში. იგი დამოუკიდებელი ორგანიზაცია გახდა და შესაძლებლობა მიეცა, გამხდარიყო მსოფლიო ბოტანიკური ბაღების ასოციაციის (BGCI) სრულუფლებიანი წევრი, რაც უდიდეს შესაძლებლობას ქმნის ბაღის სამეცნიერო მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვისთვის.

**ბორის თვალთაძე,**  
ქუთაისის ბოტანიკური ბაღის  
დირექტორის მოადგილე,  
სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა დოქტორი



# როგორ დაიბადა საყოვლადმინდო საღვთობა

დღეს ყოველი ქართული სუფრა, როგორც წესი, „საყოვლადმინდოთი“ მთავრდება — თანამეინახენი დედა ღვთისმშობელს სთხოვენ შენევენასა და დახმარებას. თუ როდის და რა ვითარებაში იქნა შემოღებული ეს წესი, ამის თაობაზე თავის წიგნში „თელავი“ წერს XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი, რომელსაც ერთ სახელდახელო, მწვანეზე გაშლილ სუფრასთან, ქართველ გლეხკაცებთან თავად დაუღევია ეს საღვთობა და თანაც განუმარტავს მისი წარმომავლობა:

„კათხა ავიღე ღვინით და საყოვლადმინდო ვთქვი: ახლა საყოვლადმინდო უნდა დავლიოთ და უკანასკნელი ეს იქნება-მეთქი. იმათგანმა ერთმა მთხოვა: „გეცოდინებათ ეგ სიტყვა რათ არის შემოღებული ჩვენში?“ მე კათხა ძირს დავდგი და მოვყევი:

„მეფე ირაკლი, დარეჯან დედოფალი, ზოგიერთი ბატონიშვილები ქალი და კაცი, ზოგიერთი დიდი კაცნი, ზოგიერთი თავად აზნაურნი მომავლებულან კახეთიდან და ნინოწმინდელს სწვევიან ნინო წმინდას. იმ ღამეს უცხო პურობა გადაუხდია და ყველანი იმასთან ყოფილან ვახშმათ, სადაც უბრძანებია მეფეს გამხიარულება და თვითონაც აპყოლია იმათ. იმ დროს იქ სხვა სიმღერა არა ყოფილა რა, თვინიერ გალობისა და საუცხოვო წარსათქმელებისა: ყოფილა დიდი სიმხიარულე, ურთიერთმანეთთან გადაღევ-გადმოღევა და საღვთობა-

ლოები რიგზე შესაფერად. შუალამიდამ ბევრი დრო გასულა კიდევ, რომ ზრდილობიანი ღვინის ისევე ყოფილა და თავაზიანი სიმხიარულე. ბოლოს მეფეს უბრძანებია ნინოწმინდელისათვის:

— ჭეშმარიტად უცხო ღვინია, მაგრამ დრო არის, საკმაოა. კარგი ღამე გავიდა და საღვთობა-ლოებსაც მოვრჩით, უბრძანეთ სუფრის აღება.

პასუხი ნინოწმინდელისა.

— არა, ჩემო ხელმწიფეო, მართალია ყველას საღვთობა გეახელით, თქვენის ბედნიერებით და თქვენის მოწყალებით უცხო ღვინიც გადავიხადეთ, მაგრამ ერთი კიდევ დაგვრჩა, ნება მომეცით ისიც გიახლოთ.

მეფე ირაკლის რომ ნება დაურთვია, ნინოწმინდელი ფეხზე წამომდგარა, ამას მეფე-დედოფალი აპყოლიან და სხვანიც ფეხზე დამდგარან ყველანი. ამასთან, ნინოწმინდელს თასი მოუთხოვია,

უტვირთავს; მოსამსახურესაც მარჯვენა ხელში წითელი ღვინო დაუსხამს და მასუკან რავდენიმე სიტყვა უთქვამს:

— ეს არის საყოვლადმინდო, ჩემო ხელმწიფეო ირაკლი. რადგან ჩვენი ქვეყანა წილხდომილია ღვთისმშობლისა, რადგან ჩვენი ქრისტიანობის მიზეზი ის არის და იმის საუფლისწულონი ვართ ჩვენ, ამისთვის იმისი მადლი, იმის მოწყალება იყოს შენს სახლზე, მეფეო ირაკლი, და ამ შენს ქვეყანაზე. იმ ყოვლადმინდას ვევედრები ჩემი ცოდვილის პირით: შენ შენი სახლობა და ეს შენი საქართველოს შვილები, რომელნიცა შენთან ღვრიან სისხლსა მარადის, განგაძლიეროსთ, ბედნიერად გამყოფოსთ და დღეგრძელობა მოგცესთ მრავალჟამიერ... ამ ნინოწმინდელის სიტყვაზე,

მრავალჟამიერ წარსთქვეს მგალობლებმა გალობით და სხვანიც ამათ შესდგომიან საღვთობა-ლოებს: — აი, ძმებო, საიდგან არის შემოღებული ჩვენში ეს საყოვლადმინდო.

ამ სიტყვასთან ფეხზე წამოვდეგ, სხვანიც ამყვენ, საყოვლადმინდო დავლიე კარგის გულით და კარგადაც დავლოცე ისინი, გძელი მრავალჟამიერის შემდეგ სხვებმაც დალიეს“.

ასე მთავრდება ალექსანდრე ორბელიანის მოგონება, სადაც ჩვენთვის კიდევ ის არის საგულისხმო, რომ ისინი, ვინც ალექსანდრე ისტუმრა (მისი აღწერით, „ამ გულმარტივ, წრფელთა კაცთა, უარი როგორ ეთქმოდა, მიველ და კარგის გულით იმათ შუაში დავჯექ“-ო), ეს ალალი გლეხკაცნი მთელი პურობის მანძილზე ისე მღეროდნენ თურმე ხალხურ სიმღერებს, რომ, ვინ იცის, ნინოწმინდელის მგალობლებსაც არ ჩამოუვარდებოდნენ!

**ალექსანდრე  
თაქთაქიშვილი**



ფიროსმანი



# ქართული ვაზის გამორჩეული ჯიშები



## რქაწითელი

რქაწითელი ქართული თეთრ-ყურძნიანი ვაზის ჯიშია დამნიფების გვიანდელი ვადით. ეკუთვნის კახეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. კახეთის გარდა იგი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვა რეგიონებშიც, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფოთლები საშუალო ზომისაა, მომრგვალო, სამ-ხუთფრთიანი. რქაწითელის ყურძენი გამოირჩევა თავისი ლამაზი გარეგნული შეხედულებით – მოზრდილი საშუალო სიმკვრივის მტევნებით, საშუალო ოვალური მოვარდისფრო-ყვითელი მარცვლებით და სასიამოვნო გემოთი. რქაწითელის ყურძნის წვენი ფიზიოლოგიური სიმნიფის დანეებიდან თითქმის გადამნიფებამდე ინარჩუნებს შაქრიანობა-მჟავიანობის სასურველ შეფარდებას.

კახეთში რქაწითელი სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ დამაკმაყოფილებელი გამძლეობით ხასიათდება. იგი ჭრაქის მიმართ უფრო გამძლეა ვიდრე ნაცრის მიმართ. დასავლეთ საქართველოში, იქაურ ჯიშებთან შედარებით რქაწითელი ჭრაქის მიმართ ნაკლებად გამძლეა და საჭიროებს დამატებით წამლობას. ზამთრის ყინვებს რქაწითელი კარგად იტანს. გვალვის მიმართ მისი გამძლეობა საშუალოა.

კახეთში რქაწითელი კვირტის გაშლას იწყებს აპრილის მეორე დეკადაში. ყურძენი სრულ სიმნიფეს აღწევს სექტემბრის შუარიცხვებიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე. მაღალხარისხიანი ღვინოების მისაღებად ერთ ჰექტარზე მოსავალი 7-8 ტონას არ უნდა აღემატებოდეს. რქაწითელის ჯიშიდან საქართველოში დგება უმაღლესი ხარისხის კლასიკური (ევროპული) და კახური ტიპის (ქვევრის) ღვინოები. რქაწითელისგან ასევე მზადდება სადესერტო ღვინოები. საუკეთესო მიკროზონებია: კარდენახი, ტიბანანი, წინანდალი, გურჯაანი, ნაფარეული.



## საფერავი

საფერავი ქართული წითელ-ყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია დამნიფების გვიანდელი ვადით. ძირითადად გვხვდება კახეთში. კახეთის გარდა ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვა რეგიონებშიც, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.


საფერავის ფოთლები დიდი და მომრგვალოა, ხშირად სამფრთიანი, იშვიათად ხუთფრთიანი. მტევანი კონუსურია, საშუალო ან

დიდი ზომის. მარცვალი საშუალო ან დიდია, ოვალური, მუქი ლურჯი ფერის. კანი მკვრივია. კანზე ცვილისებრი ფიფქი საკმაოდ სქელია. რბილობი წვნიანია და ყურძნის სხვა წითელი ჯიშებისგან განსხვავებით, მონითალოა. წვენი ვარდისფერია. გეიმო ჰარმონიული, სასიამოვნო ტკბილი.

გამძლეობა ნაცრის მიმართ შედარებით მაღალია, ხოლო ჭრაქის მიმართ საშუალო. სუსტი გამძლეობით გამოირჩევა ფილოქსერას მიმართ. სააფერავი მაღალი ყინვაგამძლეობით ხასიათდება. აღსანიშნავია აგრეთვე კარგი გვალვაგამძლეობა და მარცვლების გამძლეობა ლპობის წინააღმდეგ.

საფერავი კახეთის პირობებში კვირტის გაშლას იწყებს აპრილის პირველი დეკადის ბოლოს. სრულ სიმნიფეში შედის სექტემბრის მეორე ნახევარში. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 8-10 ტონას აღწევს.

საფერავიდან მზადდება უმაღლესი ხარისხის წითელი მშრალი ღვინოები (როგორც სუფრის, ასევე ადგილწარმოშობის) დაძველების დიდი პოტენციალით. საფერავი ასევე გამოიყენება ნახევრადტკბილი და ვარდისფერი ღვინოების დასამზადებლად. საუკეთესო მიკროზონებია: მუკუზანი, ახალმენი, ხაშმი, ქინძმარაული, ნაფარეული, ყვარელი, კონდოლი.





**ალექსანდროული**

ალექსანდროული ადგილობრივი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად რაჭა-ლეჩხუმში.

მქრქალი მწვანე ფერის ფოთოლი საშუალო ზომისაა, ფორმით მომრგვალო ან ოვალური, ხშირად სამ ან ხუთნაკვთიანი. მისი ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებული ან წვრილბურთულეებანია.

მტევანი საშუალო ზომისაა, ძირითადად კონუსისებრი, იშვიათად ოვალური ფორმის. გვხვდება აგრეთვე ცილინდრულ-კონუსისებრი და დატოტვილი მტევნებიც. უფრო ხშირად მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად თხელი.

მარცვალი საშუალო სიდიდისაა ფორმით მომრგვალო, იშვიათად ოდნავ ოვალური, მუქი ლურჯი ფერის. კანი თხელი და მკვრივია, დაფარულია სქელი ცვილისებრი ფიფქით. რბილობი წვნიანია, წვენი უფერული, ჰარმონიული გემოსი.

ალექსანდროული კვირტის გაშლას იწყებს აპრილის მეორე დეკადის დასაწყისში. მისი სრული სიმწიფე სექტემბრის მეორე ნახევარში დგება. სასშუალო მოსავლიანობა 4-6 ტონაა.

სოკოვან დაავადებათა მიმართ ჯიში შედარებით კარგი გამძლეო-

ბით ხასიათდება. უფრო მგრძობიარეა ჭრაქის მიმართ, ნაცრით თითქმის არ ზიანდება. გვალვას შედარებით კარგად უძლებს, ზამთრის ყინვების მიმართ სხვა ჯიშებზე უფრო მგრძობიარეა.

ალექსანდროული უძვირფასესი ვაზის ჯიშია. მისგან დამზადებული მაღალი ღირსების ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო ფართოდ ცნობილია „ხვანჭკარას“ სახელწოდებით. ჯიში იძლევა აგრეთვე კარგი ღირსების სუფრის წითელი ღვინოს.



**ციცქა**

ციცქა ქართული თეთრყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიშია. იგი მიეკუთვნება იმერეთის აბორიგენულ ვაზის ჯიშთა ჯგუფს. საგვიანო პერიოდის სიმწიფისაა. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს რაიონებში, უმთავრესად იმერეთში.

ფოთლები საშუალო ზომისაა, სამ ან ხუთნაკვთიანი. ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებული ან წვრილბურთულეებანია, მუქი მწვანე ფერის. ფოთლის ქვედა მხარე შბუსუსებულია სქელი აბლაბუდისებრი ბეწვით და მოკლე ჯაგრისებრი ბუბუსით, რომლებიც ერთად ქმნიან საკმაოდ სქელ ქეჩისებრ შებუსუსებას.

ციცქას მტევანი საშუალო ზომისაა, მისი ძირითადი ფორმა კონუსისებრი ან ცილინდრულ-კო-

ნუსისებრია, იშვიათად ცილინდრული ფორმისა (გვხვდება). მტევნები ძლიერ მკვრივია, ან მკვრივი. მარცვალი საშუალო ზომისაა, ძირითადად მომრგვალო, იშვიათად ოდნავ ოვალური ფორმის. ფერი მომწვანო-ყვითელია. კანი დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებრი ფიფქით. თხელია, მაგრამ საკმაოდ მკვრივი. რბილობი წვნიანია, წვენი უფერული. გემო ჰარმონიული.

ციცქა შედარებით მაღალი გამძლეობით ხასიათდება ფილოქსერას მიმართ, აგრეთვე ჭრაქის მიმართ. სუსტი გამძლეობით – ნაცრის მიმართ. ზამთრის ყინვების მიმართ უფრო გაძლეა, ვიდრე ცოლიკაური. კვირტის გაშლას იწყებს აპრილის მეორე დეკადაში. სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის მეორე ნახევარში. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 8-10 ტონას აღწევს.

ციცქა იძლევა საუკეთესო ღირსების ევროპული და იმერული ტიპის ღვინოებს და ხარისხოვან მასალას ცქრიალა ღვინისათვის. ციცქას სუფრის ღვინო ღია ჩალისფერია მომწვანო იერით, იგი ხასიათდება სხეულით, ენერგიითა და სიხალისით.



**ცოლიკაური**

ცოლიკაური ფართოდ გავრცელებული ვაზის ჯიშია, მეოთხე პერიოდის სიმწიფის. ძირითადად გვხვდება დასავლეთ საქართვე-



ლოს რაიონებში, უმთავრესად იმერეთში.

ცოლიკაურის ფოთოლი საშუალოზე დიდი ზომისაა, ფორმით მომრგვალო. უფრო ხშირად სამნაკვითიანია, იშვიათად თითქმის დაუნაკვითავი. ფოთლის ზედაპირი სწორია, ან ოდნავ დანაოჭებული, ფერად მუქი მწვანე. ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საკმაოდ სქელი ქეჩისებრი ბუნვით.

მტევანი საშუალო ზომისაა განიერ კონუსისებრი ან კონუსისებრი ფორმის. ხშირად მხრიანი, იშვიათად უფორმო დატოტვილი. მტევანი საშუალო სიმკვრივის ან მეჩხერია, იშვითად მკვრივი მტევნებიც გვხვდება.

მარცვალი საშუალო სიმსხოსია, ფორმით მომრგვალო, იშვითად შეზნექილი ან ოდნავ ოვალური. მარცვალი მომწვანო-ყვითელია მოყავისფრო ლაქებით მზისკენ მიმართულ მხარეზე. კანი სქელია და უხეში, დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებრი ფიფქით. რბილობი მკვრივია, წვნიანი. წვენი ჰარმონიული გემოსია.

ცოლიკაური კვირტის გამლას ინყებს აპრილის პირველი დეკადის დასასრულს. სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის მეორე დეკადაში. საშუალო მოსავლიანობა 10-12 ტონას აღწევს.

ცოლიკაური სხვა სტანდარტულ ჯიშებთან შედარებით უფრო მეტი გამძლეობით ხასიათდება სოკოვან ავადმყოფობათა, განსაკუთრებით ჭრაქის მიმართ. ნაკლებად ზიანდება აგრეთვე ანთრაქნოზისაგან და საშუალო გამძლეობას იჩენს ნაცრის მიმართ. კარგი გამძლეობით ხასი-

ათდება აბლაბუდის მკეთებელი ტკიპისა და გვალვის მიმართ, სამაგიეროდ მისი გამძლეობა ფილოქსერასა და ზამთრის ყინვების მიმართ საკმაოდ სუსტია.

ცილიკაური ძვირფასი ვაზის ჯიშია, მასში ზომიერადაა შეხამებული გარემო პირობებთან კარგი შეგუება, უხვი მოსავალი, პროდუქციის მაღალი ხარისხი და ავადმყოფობათა მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა.

ცოლიკაურიდან ძირითადად ევროპული და იმერული ტიპის ღვინოები მზადდება. ევროპულად დაყენებული ღვინო ღია ყვითელი ფერისაა, ხასიათდება სისრულით, ენერგიით, ჰარმონიულობითა და სასიამოვნო სიხალისით.

### გორული მწვანე

გორული მწვანე მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ქართული თეთრყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიშია, საგვიანო სიმწიფის პერიოდის.

გორული მწვანე გავრცელებულია ძირითადად ქართლსა და სამაჩაბლოში, შემდეგ იმერეთში, სადც იგი „ქვიშხეთურას“ სახელწოდებითაა ცნობილი და რაჭაში.

ფოთოლო დიდი ზომისაა, სამ ან ხუთ ნაკვითიანი, მუქი მწვანე ფერის. კარგადაა გამოხატული მეორადი დანაკვთვა. მტევანი საშუალო ან დიდი ზომისაა, განიერკონუსისებრი, საშუალო სიმკვრივის. მარცვალი მომწვანო ყვითელი ფერისაა, საშუალო ზომის, მომრგვალო, ზოგჯერ ოდნავ შეზნექილი. რბილობი მკვრივია და



წვნიანი. წვენი უფერული, ტკბილი. მარცვლის კანი მკვრივია და უხეში.

გორული მწვანე ადვილად ავადდება ჭრაქით, შედარებით გამძლეა ნაცრის მიმართ. აგრონესებით გათვალისწინებული ქიმიური დაცვის ღონისძიებები უზრუნველყოფს ჯანსაღი მოსავლის მიღებას.

გორული მწვანე კვირტის გამლას ინყებს აპრილის მეორე დეკადაში, ხოლო სრულ სიმწიფეს აღწევს სექტემბრის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე.

გორული მწვანესაგან მზადდება მაღალი ღვინოსების სასუფრე და შამპანური ღვინომასალა. მისი ღვინო ღია ჩალისფერია, ხასიათდება საშუალო სხეულით, ენერგიითა და სასიამოვნო გემოთი.

[gigol.net](http://gigol.net)







# ზაქარია მაისურაძე — პროფესიული კერამიკის სალოვნების პიონერი

ქართულმა პროფესიულმა კერამიკამ, კარგა ხანია, გარღვია თავისი დარგობრივი ზღვარი და მთელი ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. საყურადღებოა ისიც, რომ მისმა ასეთმა წარმატებებმა სულამ აიყოლია გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებიც და ხელი შეუწყო ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ჩამოყალიბების ერთიან პროცესს. ამ დარგის წამყვან მხატვრებს კარგად იცნობენ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, როგორც საბჭოთა კერამიკული ხელოვნების გამოჩენილ ოსტატებს.

ზაქარია მაისურაძის, როგორც მხატვარ-კერამიკოსის, შემოქმედება არ არის რიცხვმრავალი, მაგრამ მის თითქმის ყოველ ნამუშევარში ჩასახულია მომავალი ჟანრის ან სახეობის მზარდი მარცვალი. მისი შემოქმედების სანყისი ოცდაათიანი წლებია. მაშინ საქართველოში პროფესიული კერამიკა მხოლოდ ფეხს იდგამდა, შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდნენ აკადემიის პირველი კურსდამთავრებულნი, რომელთა შორის პირველთაგანი ზაქარია მაისურაძე იყო. იგი იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი ნიჭით და ინტერესების დიაპაზონით. ბუნებრივია, რომ სწორედ მისი შემოქმედება შეაღწევს შემდგომ თაობათა შემოქმედებაში და ზოგ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდევ მას.

გარდა ამისა, იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა და ეს პროცესი ბუნებრივად მიმდინარეობდა. ავიღოთ, თუნდაც, ის ორგანული სიახლოვე ტრადიციასთან, რომელიც ასე დამახასიათებელი და განმსაზღვრელია ჩვენი თანამედროვე კერამიკისათვის. ქართულ კერამიკას უმეტესობა სწორედ ნაციონალურ კულტურისადმი ერთგულად აღიქვამს. საიდან მოდის ეს, თუ არა მათი პედაგოგების და, კერძოდ, მაისურაძის მიერ გაკვალული ბილიკებიდან. ზ. მაისურაძის ხელიდან გამოდიოდა ნატიფი, ხალხური ხელოვნების

სიბლით მომადლებული ჭურჭელი, კერამიკული პლასტიკა, ფერადოვანი პანოები, არქიტექტურული დეტალები. იმ დროისათვის მან ქართული კერამიკისათვის ახალი ჟანრი შექმნა — მოხატული რელიეფური პანოები. ბევრის მთქმელია დიდი სპეციალისტის, მხატვრის და აღმზრდელის, დავით ციციშვილის შეფასება, რომელიც მან ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1954 წლის ნომერში გამოაქვეყნა: „რამდენადმე განსხვავებულია ცნობილი კერამიკოსის ზ. მაისურაძის მცირე ზომის ფერწერული პანოები. ხაზგასმული კერამიკულობა, ძერწვის განზოგადებული მანერა, რომელიც სქემატურამდეა დაყვანილი, რაც



არ უკარგავს ნახატს სიმკვრივეს, რადგან ნახატი ფერთაც არის ხაზგასმული. ზ. მაისურაძის და ქართველიშვილის ნამუშევრები სრულიად ახალი მოვლენაა ქართულ კერამიკაში, ისინი მიანიშნებენ საბჭოთა მხატვრული კერამიკის განვითარების ახალ გზაზე“. ეს შეფასება სრულად ესადაგება მაისურაძის მთელ შემოქმედებას. იგი მართლაც ხალხური ოსტატის ძალის მქონე კერამიკოსია, დარგის ყველა ტექნიკისა და ტექნოლოგიის მცოდნე. ნებისმიერი მისი ნახელავი, განურჩევლად სახეობისა, პირველ რიგში, მასალის საკუთარ ენაზე მეტყველებს (იქნება ეს თიხა, ფაიანსი თუ ფაფიური). მასალას კი დიდი ხვედრითი წონა აქვს ნაკეთობის მხატვრული სახის შექმნაში. ეს მომენტი საგანგებოდ არის აღსანიშნავი დღევანდელი კერამიკის ხელოვნებასთან დაკავშირებით. ახლის ძიება, ჩაკეტილი სივრცეების გარღვევა მისასაღმებელია, მაგრამ გააჩნია, რის ხარჯზე, საკუთარი სახის და არსის დაკარგვის ხარჯზე? წინსვლა გენეტიკური ჯაჭვიდან რგოლების გამოკლებას და წყვეტას როდი



ნიშნავს. დედაენის ცნება ხელოვნებაზეც ვრცელდება. თავისი დროისათვის ახალი და მოდური ხელოვნებით გატაცება ზ. მაისურაძესაც შეეძლო, მაგრამ მან აირჩია უფრო ძნელი და რთული გზა — შეექმნა ახალი, მაგრამ კვლავ ეროვნული სულის მქონე ხელოვნება. ამ მისიის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარ კულტურაზე დაყრდნობით. მისი ნამუშევრები ყოველთვის მიგვანიშნებენ, თუ ვისი გორისა არიან.

ზ. მაისურაძის შემოქმედებაში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის მთელი ხალხური ხელოვნების ცნება. ეს არ არის ერთი რომელიმე დარგიდან მიღებული იმპულსი ან მათი მექანიკური აღრევა. ეს არის თვითმყოფადი, დღევანდელი ქართული ხელოვნება. მაგალითისათვის მოვიშველიებ თუნდაც მცირე ზომის სხვადასხვა ტექნიკით და მასალაში შესრულებულ ირმების გამოსახულებას. თავისი უშუალოებით, თითქმის ერთი ხელის მოხმით შექმნილი ფორმით, ხალისიანი მოხატულობით, მართლაც რომ ხალხური ხელოსნის ნაკეთობად აღიქმება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. უფრო ხანგრძლივი დაკვირვებით კი აღმოაჩენ, რომ მას პირდაპირი პარალელი საერთოდ არ გააჩნია მეთუნეთა ნახელავში. შეამჩნევ მის დახვეწილ, მოხდენილ,



წვრილმანებადმდე გააზრებულ ფორმას, აღმოაჩენ, რომ სამკაულად ქსოვა-ქარგულობიდან ნასესხები ჩუქურთმებია აღებული, რომლებიც არ გვხვდება მეთუნეობაში, რომ ეს ჭურჭელი გარკვეულ ხასიათს წარმოადგენს, რომ არა მარტო სამომხმარებლო ამოცანას პასუხობს და მიხვდები, რომ ისინი მხატვრის სულიერი სამყაროს ანარეკლია — ზ. მაისურაძის შემოქმედებაა.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშ, რატომ წარმოგვიდგა თვალწინ ხალხური პლასტიკის და ზოომორფული ჭურჭლის ნიმუშები? ალბათ, იმიტომ, რომ ზ. მაისურაძეს და ანონიმ ქართველ ოსტატს გარე სამყაროს აღქმის და ხედვის ერთნაირი უნარი ჰქონიათ, ეროვნული კოდით განპირობებული. მის ამ ქანდაკებებს თუ ჭურჭელს ყველა სხვა ერის მსგავსი ნამუშევრებიდან გამოარჩევ პირველ რიგში,

როგორც ქართულს. ამავე სულით არის გამსჭვალული ქართული ზღაპრების თემაზე შექმნილი მცირე ზომის მოჭიქული ჯგუფური ქანდაკებები. **ხალხურ სანყისებთან ეს კავშირი კიდევ უფრო რთული ფორმით ვლინდება მის ცნობილ სერიაში „ბერიკაობა“.** ამ თემამ ბევრი ჩვენი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვარი გაიტაცა — მოსე თოიძე, ლადო გუდიაშვილი, ვანო ხოჯაბეგოვი, კ. იგნატოვი, ზ. ფორჩხიძე, ს. მაისაშვილი, რ. ცუხიშვილი, რ. მელიქიძე, ი. გაბაშვილი და სხვები. ბუნებრივია, რომ ეს თემა ყველა მხატვარმა თავისი ხედვის და გემოვნების მიხედვით გადანყვიტა. **ზ. მაისურაძე პირველი იყო, ვინც ეს თემა გამოყენებითი ხელოვნების საშუალებით გამოსახა.**

მხატვარმა აქაც მოახერხა მათი დაკავშირება ეროვნულ ძარღვთან, რომელიც ამ ბერიკების სიმბოლურად გადანყვიტებულ პორტრეტებშია ჩაქსოვილი. ეს სერია 1957 წელს არის შექმნილი, თითქმის 60 წელი გვაშორებს მისგან, მაგრამ ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილი შემოქმედება ყველა დროისათვის თანამედროვედ და გასაგებად აღიქმება.

ზ. მაისურაძის შემოქმედების ამ ასპექტის განხილვა იმიტომ არის საინტერესო, რომ იგი გვევლინება თავისებურ ესტაფეტად. ეროვნული კულტურის ჩირაღდნის მატარებელი ხელი არ უნდა მოგვეშალოს. ამისათვის იღვწოდა ზაქრო მაისურაძე, პროფესიული კერამიკის ხელოვნების პიონერი.

**ნანა კიკნაძე**



**ფარცხისის ბრძოლა** 1074 წელს მოხდა განძის გამგებელ სარანგსა და საქართველოს მეფე გიორგი II-ს შორის.

სულთნანმა მალიქ-შაჰმა განძის აოხრებისა და ამირა ფადლონის დატყვევების შემდეგ განძის გამგებლობა სარანგს დააკისარა. მას 48 ათასი მხედარი დაუტოვა და დაავალა ქართლის დარბევა. სარანგმა მოიშველია დვინისა და დმანისის ამირები და ქართლს შეესია, გიორგი II-მ სწრაფად შეკრიბა ჯარი, მოკავშირედ გაიხადა კახთა მეფე აღსართან I, მტერს ფარცხისთან (ახლანდელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) შეება, დაამარცხა და გააქცია იგი.

ფარცხისთან ქართველთა გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით ნახალსებულმა გიორგი II-მ, ისარგებლა რა ბიზანტიის იმპერიის დასუსრებით, გაილაშქრა და დაიბრუნა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი (ციხე ანაკოფია და, აგრეთვე, კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთისა და არტაანის მრავალი ციხე).





ISSN 1987-5908



9 771987 590006